

ქილილა ჭ ღამანა

საარსულიდაჲ ჰართულად ნათარგმნი

მეფის ვახტანგისაგან.

თ. გრ. გურგულის
ვაჰოცემა.

ილია ჭყონას
რედაქციით.

ტფილისი. 1886 წ.

ქილილა და დამანას


გამოცემისათვის.

13

«ქილილა და დამანას», ანუ როგორც ჰქვიან მისს სანსკრიტულს დედანს — «ქოლეილაჰ-ვაჰ-დიმნაჰ», * არის შესანიშნავი კრება ინდოურთ იგავთა, თარგმნილი და გამოცემული ქვეყნიერების უველს დამუშავებულ ენებსე. დირსებას ამ იგავთ კრებისას ამტკიცებს, გარდა ამ მოხსენებულის ფაქტისა, ის გარემოებანიც, რომ იგი ვერ შთანთქა რამდენიმე ასს საუკუნეთა განსვენებამ უამთა წუვდიადში და მისის უხვის შინაარსით ნოეიერად ჰკვებადენ თავიანთს ნიჭს გამოჩენილნი შეიგავენი სხვა ხალხთა, როგორც, ძავალითებრ, ბერძენთა — ესოპოსი, ფრანგთა — ლაფონტენი ** და, როგორც უეჭველად ვატყობთ: «სიბრძნე-სიც-

* «ქოლეილაჰ-ვაჰ-დიმნაჰ» — სსელებია იმ ორთა ტურათ, რომელნიც ამ ქმნილების უმიჯრასს ნაწილში გამოყვანილნი არიან მოქმედ შირებად. ის. «Исторія всеобщей Литературы» Шерра т. I. თავი ინდოეთის მწიგნობრობასე.

** ის. *Essais sur la mythologie comparée les traditions et les coutumes*, Max Müller. თარგ. George Parrot, Paris 1874. «ქილილა და დამანას» შესახებ წერილი ჩვენთვის გადმოთარგმნა რუსულად ბ. აღს., რომელსაც გულისთადს მადლობას ვუძღვნით.



რუეს» ჩვენი სულსან-საბა ორბელიანიც, მარჯვენა ხელი ვასტანკ VI-ისა «ქილილა და დამანას» ქართულად თარგმნაში (პროზა ვასტანგისაა და ლექსნი საბასი). ვინ არის შემოქმედი ამგვარის შესანიშნავის ქმნილებებისა, როგორიცაა ჩვენ წინ ბდებარე «ქილილა და დამანას?» მსოფლიო მწიგნობრობის მეისტორიენი და გამოჩენილნი ლინგვისტები, მათ შორის მაქს მიულლერიც, ვერ იძლევიან ამ ფრიად საინტერესო კითხვაზე არათუ გადაჭრილს, არამედ დასსლოვებითს ჰასუსსაც. მხოლოდ ქართული ვარიანტების დასაწყისი, „შესავალად თქმული ბრძნისა ანვარისოილისა“ გვეუბნება თამამის კილოთი, რომ იგი «ინდოურითა ენითა უთქვამს ბრძენსა და გზიანს ჭილოსოფოსს, ბარამად სასეღდებულსა, ინდოთა და ბიძლიძის თემთა განმკებელად წოდებულს, რომელიც ინდოეთისა რომელთამე თემთა სელმწიფე ეოფილიეოფო.» სპარსეთის მეფის სოსრო ნუშრივანის წადილისამებრ «ქილილა და დამანას» გადაუთარგმნია ინდოურიდან (სანსკრიტულიდან) ფალაურზედ, ნუშრივანისვე კარის ექიმს ზავიას.* შემდეგ ამბუჯაფარ ხალიფას ბრძანებით ფალაურიდან თავჯურად გადაუთარგმნიათ ორს „მოსუცებულთა თავს“ —მაჟანის-მეს— აბდულას და აბდულას-მეს—აბულასანს; მერმე „აჰმად სულთანის-ძის ნასრის და ნასრის-ძის აბუსალან სამანელის ბრძანებით თავჯურიდან მაშინდელს სპარსულზე გადაუთარგმნია ერთს ვიდაცა მუერს, რომლის თარგმანი „რუდექ მომხირეს“ სელმწიფის ბრძანებით ლექსით „მუემჭევრებია“. შემდეგ აბულ-მუსაფარ-ბარამ ეაზანელის ბრძანებით „ბრძენს სანაისს“ და ნასრულს გადმოუღიათ ზ გადამოუთარგმნიათ (რა ენაზე? ჩვენი აზრით უნდა იგულისხმებოდეს ერთ-ერთი მონკოლთ ენა) და ამ უკანასკნელ თარგმანს ეკუთვნის ეს „ქილილა და დამანას“ —ამბობს იგივე შესავალი ანვარი სოილისა.

* მაქს მიულლერის სიტყვით «ბირზუიექს»-ს.

როგორც სსკათა მწიგნობრობაში, ისე ქართულშიაც იმ თავითვე შესანიშნავი ეურბდლება მიუქცევია „ქილილა და დამანას“. სარწმუნო სიტყვა ვახტანგ მეფისა * გვაუწყებს, რომ დიდი თამარის დროსვე ეთარგმნათ ეს წიგნი, რომელსაც დიდი გავლენა მოუხდენია ქართველთა საზოგადოებაში, რამეთუ „როდენსაც არაკსა, ანუ იგავსა, ანუ სეპირს მუნასიბსა ლექსსა იტყვიან“ უფროსი ერთი „ქილილა და დამანიდან“ არის ამოღებული. სამწუხაროდ, ჩვეულებრივი ხვედრი ქართული წიგნებისა ამ თარგმანსაც სწვევია და „ქამთა ვითარებით“... დაკარგულა... შემდეგ ბატონს დავითს ** სელასლაჲ ეთარგმნა იგი „კუსა და მორიელის“ არაკამდის, ულექსოდ და სიტყვა ნაკლულადაც. ვახტანგმა კანიზრასა ამ ჩინებული ქმნილების სელასლაჲ თარგმნა, და, თუმცა უღმობელმა ბედმა იგი მოაშორა მამულსა და მისს საკანბეგო საშეფოს და მიიუვანა ქირმანს (სპარსეთში,) მაგრამ მანც თავისი განსრასვა, საბას დახმარებით, საქმედ აქცია, (1712—1717 წ.) და მით შესძინა სამშობლო მწიგნობრობას კიდევ ერთი უძვირფასესი განძი. როგორც შემოდ ვსთქვით, ლექსები (ზოგიერთების გარდა, რომელთაც მიწერილიცა აქვთ, რომ „მეფის თქმულნი“ არიან,) ეკუთვნის ჩვენს გამორჩენილს მეიგავეს სულხან—საბა ორბელიანს. ამას ამტკიცებს შე-586 გვერდზე მოქცეულის შაირის ბოლოს მინაწერი შემდეგი სიტყვები ვახტანგისა:

„ვით წინა ლექსები აჩენს, მე დამრჩა გაულექსავი და სულხან კალექსა ეაფლანის-შვილმან, რომელი ბოლოდ მონასონ იქმნა და ეწოდა საბა“.

მკითხველთა თვალ-წინ მდებარე წიგნის დაბეჭდვისათვის ჩვენ გვქონდა ოთხი ხელნაწერი. პირველი, რომელიც

* ის. გვ. 11.

** დავით II მეფე კახეთისა, მეუღლე ქეთევან დედოფლისა † 1608 წ. ო. გ.

დანარჩენებზე უსრულესი აღმოჩნდა, ვიმოვნეთ თავადთ ვაჩნა-
 ძიანთავან; მეორე სელნაწერი ეკუთვნის ამ წიგნის ქველს გამოძ-
 ცემელს, თავადს გრიგოლ დავ. გურიელს და შენაძენია სახელ-გან-
 თქმულის ღენერლის თ-დის ვ. ო. ბებუთაძვილის ოჯახითგან,
 რომელსაც თავის მხრით შეუძენია იგი იმერეთის მეფის სოლომონ
 II-ის სახლთ-უსუცესის სახლობისაგან; მესამე ეკუთვნის «წერა კით-
 ხვის სასოგადობის» წიგნთ-საცავს და შუაწელში აკლია რამდენ-
 ნიმე გვერდი; * მეოთხე ეკუთვნის თავადს ბაჩნაბა ლორთქიფა-
 ნიმეს, (იმერეთში,) რომელსაც იგი შენაძენი აქვს სამეგრელოს
 უკანასკნელი მთავრის დავითის წიგნთ საცავიდან, და, ჩვენდა სამ-
 წუხაროდ, აკლია თავის, შუა-წელის და ბოლოს რამდენიმე გვერ-
 დი. პირველი სამი სელნაწერი ჩინებულის ხელით არიან ნაწერნი.
 ტექსტი დაზებულთ პირველი სელნაწერიდან და განსხვავებული
 ვარიანტები დანარჩენ სელნაწერებიდან სხოლიოებად შევიტანეთ.
 სოკს მათგანს აუცილებლად საჭირო განმარტება დავსძინეთ.
 მართლ-წერა, რომელიც თითქმის არაფრით განსხვავდება
 ოთხსავე ვარიანტებში, შეუცვლელად დავიცავით, ისე, როგორც
 იყო სელნაწერებში, რაღა თქმა უნდა დამასვენებელ ნიშნით გარ-
 და, რომელნიც სრულიად არ იყო მათში. ტექსტის ბოლოს და-
 ვურთეთ მცირე ლექსიკონი უღრმესთა სიტყვათა, რომელთ უძრავ-
 ლესობის განმარტება არ მოიპოვნება საბას ლექსიკონში, და ვი-
 ჰოვნეთ ამ ქმნილების ვარიანტთა არშიებზე.

ტექსტის ბეჭდვის გათავების დროს ჩვენ მივიღეთ ჰატივცე-
 მულის ილია ოქრომჭედლიძვილისაგან (მოსკოვიდან) მესუთე
 ვარიანტი, რომელიც ჰგავს ნამდვილს პირს ჩვენი პირველი ვა-
 რიანტისას.

P. S. არ შეგვიძლია აღუნიშნველად დავსტოვოთ შემდეგი გა-
 რემოება: ამ წიგნის 45 გვერ., მესუთე სტრიქონში ქვემოდან,

* რაიცა თავის ადგილზე გვაქვს მოხსენებული.

სიტყვათა „ფრთოსანი აწივისაებრ“ შორის გამოტოვებულია ძველი ჰწკარი—„დილის ტრედი ცასედ ბუდიდამ ამოფრინდა, ღამის ეორანი, შავ ფრთოსანი“... ეს ჰწკარი ვინაჲნეთ მხოლოდ ბატ. ჩუბინაშვილის ქრისტომატიასში (პირველი გამოცემა) „ქილილა და დამანიდან“ დაბეჭდილს ნაწევეტში.

ილია ჭყონია.

იანვლის 3, 1886 წ.

ქილილა და მანასი.

სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები

მეფისა გახტანგისაგან.

მეტ მიჰყუკ სპარსთა ზღაპრისა თარგმანებისა მკებართა,
არავინ მიშეებს გარეგან. მათა და გინა მე ბართა,
არ ვგავარ არას საქმიითა კარდთა გოგობთა მერებაართა,
და რა უფო, გაბრჭკო¹, სამუდმოდ სასმილსა მძაფრად გზებართა.

გერ ვიტყვი ღირსად საფერად წმიდის სამების ქებასა,
მოსუტ შლის ამოებაზე ღვთის სასელისა ნმობასა.
ზღაპარი მეთქვა ისიცა ვაჟმარე ამ ამბობასა,
და ამისთჳს აღარ მივხედე უშესავლობის გზობასა.

დასაწყისი პირველი წიგნისა ამის, შესავალად თქმული
ბრძნისა ანვარი სოილისა.

სრული სიბრძნე ამისად შემსგავსებულად საფუძველად დაუც, და უოკელთა
წიგნებთა შინა მთქმელისა სასელი დიდად უსახელოვსებია სიბრძნეთა იგავთა
შეწუბობათა მიერ სწავლისა აღმატებთა. ქილილას და მანას წიგნია, ინდოელთა
რიტორთაგან სასურველად გარდასწლისებულა. ბრძნთა და მეცნიერთა თვით-
სოფოსთა ამისნი შეკრებების რიგები მრავალი ერთ-რიგად სასენი შეუწყვიათ:
სასაბრძნო სწავლა—სამისარყოფოდ, და საცრუფო არაკები ერთმანერთში აურე-
ვიათ. სიტყვით მაგალითნი მრავალთა ბუნებათა საწადელად საცდურის კალთ-
თა გამოუსკევია: ნადირთა, მსეტთა, თვესთა და მუარინველთა ენათა მაგაჳრნი
არაკნი და სიბრძნისა გრები მოუყვანიათ. ამა მეცნიერებისა სარიგებულთა
ბი—ფერად-ფერადად, სიბრძნე და სწავლანი სკებუნდნიერობით გამოუჩინიათ.

¹ ვარიანტი: გამბრჭკო.

მეცნიერნი — სისარგებლოდ; და უმეტარნი საღიზღობელად უნდა იკითხვიდნენ; მათი სწავლა ოსტატისათვის შეკანებასა და ყრმათათვის საადგილო და გულთა საამო.

ესე არს წიგნი ერთი, სიბრძნით შეწყობილი, რაკვარადაც წაღკოტი ერთი — სესალით, სასკაშიადლო და მისთა მნასკათათვის სსამოთისს შეკების მსგავსად სიღვითა; ვისიცა გული, გონება და თვალი განიხდის, ტებილის გემოთი გაძღობის, და მისის სავარდეთა მიდამოს სიტყვის სუნსელებათა ფშვანი სავარდობელთაგან გასარცარია!

შ ა ი რ ი

თითო სიტყვაზედ დამხრით უცხო წაღკოტნი ათობენ,
დაშე, ანთრაკებარ სანისოდ, ბრწყინებენ და ეგრე ნათობენ;
ამის იგავნი, სიცოცხლის წყაღთაებარ, მოაწყვად მათობენ,
და სიტყვა ქვეულები, ჭაბუკებარ, ლალსა და ბროლში სათობენ.

გულის სმა და ცნობა იგავთა სისშირეთა ერდოსა სარისსთა ზედა აღწევენულ არს, და პირველთაგან მოკამომდე რიტორებათა მოცადინეთა, ამა ტაბლათაგან ბედნიერობის საწადელი სარგებელი მრავალთა მიუღიეს, და ამა ლექსებთათვის მარავანად ტრიქნთა ტანსა ზედა შესაფერად მოსდომილი სამოსელი გაწეობით ჩაუტყვიათ უე.

ჩ ა ს რ უ ხ ა უ ლ ი

ამის სასენი მეფეთ ვასენი, ვით სამოსელი, შესამკობელად;
აგრე იგავნი, არ თუ იგავნი, სვებედთა ბეჭდვის თვალთა მცნობელად,
ფერ კეთილ-ლექსნი, ათასჯერ ექსენი, ვარდის გუგურთა გამაზობელად,
მასნი უბნობა, სიღრმეთა ცნობა, მუშე თმათა მსგავსად. გრესვიით მწყობელად.
ჟამოვან მწიფე სიტყვა, სელმწიფე სიბრძნისა სსივთა მომნათლებელად,
და სასკაშიადლო, ვინ ვის მიანდლო ნანდვილ მართლობით, სარწმუნებელად.

წიგნი ესე ბრძენსა და ვზინს იელიოსოფოსს, ბარამად სასელდებულსა, ინდოთა და ბიშლიის თემთა განმკებელად წოდებულს, რომელიცა ინდოეთისა რომელითა თემთა სელმწიფე ყოფილიყო, მას ინდოურითა ენითა უთქვამს. თუცა აწ მთქმელებთა ასპარესთა შინა მისის წარიღის მიხრითა ერთსა მცირესა რასმე იტუვან, მას ბრძენსა იგი ამა სასწავლოსა სიტყვისა იატავად დაუფენია: მეფეთაგან ყმათა შუასისუა და შეწყალება, გადიდება და გამდიდრება უმოქმედება; თემთა და ქვეყანათა გარიგება და სვე სვიანობათა დიდად აღმატება განძლიერებას თანა შეუძნადება; მტერთაგან მოცლისა და მოშორებისა, და მათის გაცდების საქმეთა შინა დიდად გამოუყენება, და ბიშლიმ ამა წიგნისა ვითხვითა გულის საწადლის, და ომისა და ნებისა აღსრულებისათვის ამა წიგნისა ვითხვისა კლიტეთა მოეჭიდა, და სამსელოდ დასმული კარი ამით ზოგა და განასვსა; და ეს დაუფასებელი სპეკალი მის ყმათა შინა, სრულიად ობლის მარგალიტის მსგავსად, სადაფთა სარსანსოთა დაფარულ იყო. რაკვარადაც უებარა

ლალი ლითონთა შინა, თუ არ მრავლისა ჭირითა და ცსკელის ოფლის დენითა, შრომითა და სისხლის დათსკვითა, პირსა არავის უჩვენებდა. მასუგან, რომელნიც მისის ტომთა და ნათესავთაგანი მისის სკლმწიფობის ხარისხთა დაჟდებოდნან, აგრევე სვაშიადად ინასკედან, და მასკე საქმესა ცდილობდენ, და ამ წიგნისა ამბისა ნიაკითა მის ჭკეუნისა მიდამოთა წალკოტნი და სავარდენი გაასულენელა, და მისმა მუშკისებრი მითქმა-მოთქმათა ჭებამა, სურვილის წადილის ნიშანმა, ამბართა სუნითა საუნოსელნი აავსნა.

შ ა ი რ ი

სიკეთე მუშკს ჭკავს: დაჭფარო, ეცადო სრულ დაშობასა, შორით ფუკის, არ დაიმაღლის, ტრინთ აძლევს სუნთა ცნობასა; გერც შესვრის მწკირე ნათელსა, სსიკთა და მზისა მზობასა, და მნათობს და მატობს ყოველგან, მიმოსთქმენ არაკობასა:

ნუშრეკან მეფის გამომჩინადე ესე ამბავი ყოველგან განფენილ იყო: ინდოეთისა მეფისა ზარდახშათა შინა ერთი წიგნია, ყოველთა ნადირთა, მსეცთა და მფრინველთა ენათა მაგეარ შუემზადებიათ, და რაც მეფეთ რიგია, ანუ განჭირებულაი რჩევა, ერთ-გულთა წყალობა, და ორგულთა მისაგებელი, ანუ სკლმწიფეთა და სკლთ-უფალთა წესნი, პატრითა არმაგანი, ² მისსა გაზადონთა ზედა იპოებისო და ამით ყოველთავე ასწავლისო, და ყოველთა საქმეთა მოსსმარებლად, ყოველთა სარეგებლისა მადინებულად გამოიყენებისო. ნუშრეკან სახელ განთქმულსა, რომელსა ჭკეუნისა გორდი თვისისა სიუესისა წვიმითა შეკმწკანებინა, ჭკელის მოქმედებითა სამოთხენი და სავარდენი მრავალ ფერად აყუბებინა და უამავრის სიკეთის ცვარისა რწყვითა გაეფურჩნა.

ტ ა ე შ ი

თემი სიმართლით გაეწყო, უგბილთა სისხლი აეწყო.

რა ამა წიგნის ჭება სემოდა, გული და გონება მისის კითხვისა ნდომასა შესწმასნოდა. მაშინ გამოჩნდა სპარსთა ბრძენთა ნამაშთა მტკერთაგანი, ზავია, მეურნალი ნუშრეკანისა, და მისისა წადილისათუას ინდოეთს წასულა და მრავალნი ხანნი მუნ დაუყვია, მრავალის სერსითა და სრიაკებით ცდილა და ერთს დროს ეს წხენი სკლად შემოუგდია, და ინდოეთის ენასაგან ფალაურს ენაზედ გარდმოუღია. მაშინ მის უამისა ერანის მეფენი მას ენას თურე ლაშარაკობდენ, და ეს წიგნი მან მეურნალმან ნუშრეკანის წინ მოიღო.

გულის საწადელი რა აუსრულდა ნუშრეკანს, უხვის ნიჭითა და დიდის პატრითა მეურნალის ხარისხნი მეფეს სამსახურად დიდებით აღამაღლა. ნუშრეკანის საქმეთა საფურცელნი, და სახელ-განიუენილობა, და სიუესის სიმრავლე, და ჭკეუნის დაჟყრობის სერსნი, დამშვიდებისა და დაწყენარების გზები, ამა წიგნისა კითხვათა და რჩევითა მომხდარა. ნუშრეკანს უკან აჯამთა სკლმწიფენიცა დიდის სურვილით ამასკე აკითხვიდენ, ვიდრემდი ახსნას ქე ახდულა, და ახდულის

² ვარიანტი: არმანგნი.

მე ალი, და ალის მე მოჰმად, და მოჰმადის მე მანსურ, და მანსურის მე ამბუჯაფარ მეორედ სალიფად გამოხსნდებოდა. მან რა ამ წიგნის ამბავი შეიტყო, სისარულიანის ნდომითა გულ-აღძვრით ძებნა დაუწყო და, მრავლის სერსისა მოპოებითა, ფალაურის კნით დაწერილი ნუსხა სულად იგდო, და მასისა მე აბდულა, და აბდულას მე აბულასან მოსუცბეულთ თავნი იყენეს, მათ უბრძანა და ფალაურის კნისაგან თავისაგან კნითა ათარგმნინა.

ამას უოველ დღე იკითხვიდა, და სალიფობის საფუძველი და განწესება ამის ანდერძის სწავლასად დაამყარა, და მისსა საქმეთა უოველთა მიუთხრობდა. მერმე აჰმად სულთნის ძემან ნასრი, და ნასრის ძემან აბულასან სამანელმან, მის უამისა ერთს მეურს უბრძანეს, და ის რომელი ნუსხა სმარსულისა კნითა თარგმნა, და რუდეჰ მოშარიძემან სელმწიფის ბრძანებითა ლექსით შეამკურა. მასუგან აბულ მეზაფარ ბარამ, სელმწიფის სულთან მამად ყასანელის ძემან და ყასანელმან შემსძელსა და ბრძენსა, ტკბილ მოუბარსა სნაის და დიდის მამის აბდულ აჰმადის ძეს ნასრულს უბრძანა ამისი გადმოღება, და ამ ნუსხის თარგმნა. აწ რომ ამ წიგნს ქილილა და მანას უხმობენ, ეს მის დიდის მოსუცბეულის ნათარგმნია, სიტუბოთა სულთაებრ გემოკანი, იეროკნებითა მოწსავით შეკნიერი, გულის სატყუარად შაკარ-ბაგან სათუთის საუბარსავით მცდილობელი და მომადუნებელი, მისნი იგანნი, კველუტა დახუტუტებულს თმასავით, გულსა და გონებათა ზედ შემწებელი.

ლ ე ქ ს ი

ამისნი შავნი ასონი, ვით ქალთ წინამო დაწვისა;
მათგან მოთხრობა იგავთა მისეს თუ გამსგავსო აწ კისსა.

მისნი შავთა ასოთა იგანნი, სპეკლთაგან შემზადებულს თვალის საოლავთაებრ, თვალის ბაიათა სინათლესა უძღუნის, და მისი ქვე სპეტაკობა მსიარულსა დილასა ჰტავს, და ქვეუნი მსედექლსა თვალსა ნიადავ ქვეშე უცს.

ლ ე ქ ს ი

ბეშტთ სალლთა გამოხატვით შესაფერად, ვით სწამთ, აჯდა.
ამა ნუსხის ჰირთა საქმე უნათლუა თვალთა ქავთა.

ამა წიგნის გავგარანსებისათვის ღუგია სასლთა სნატთა მჯდომელნი რიტორნი და სიტყვათა შემკურებელნი ერთს სიტყვასად და ერთ სმობით დაჯერებულ იყვნენ, მაგრამ საკვირველად სიტყვის საქტეები და სიღრმე, არაბული და სხვა კნათა ძნელი სიტყვები ჩაერთოთ ღელარქნილად და გულისა გასახბეველად. სიგრიისა და სიყვარულისაგან მკითხველი ნათელს ვერ ამოიცნობდა, სიტყვის დასლათვისაგან ტკეის გრები დაეუფრტებოდა, საგონებელში დარჩებოდა, და მკითხველის გონება არაკებითა და სწავლისა დასსოვნებისაგან³ უცდლო

³ ვარიანტები: ა) არაკებთა და სწავლისა და დასსოვნებისაგან. ბ) არაკებთა დასწავლის დასსოვნებისაგან.

იქნებოდა, ნამეტნავად ამ დროსა, რომ სიტყვის საქცეპები და გვარნი ასეთის რიგით გაურთავთ, იგავთა გამოწვლილვის ნდომა მამინეუ მრავალ რიგად მობრუნდება, და ზოგი მისი სიტყვა ლექსიგონთა შიგა საძებარი იყო. ამ საქმით ეს შენეირი წიგნი გაუგებრებულიყო, და ქვეყნიერი კაცნი ამის ნაყოფისაგან უსარგებლო და გემო-შეუტოებელი დარჩომილ იყო. ამისთვის უბრძანა ამ უამად მკვდომელმა მალაქმა სელმწიფემ მცოდინარეთა კაცთა შემოკრება, და მათმან მომგროვებულმან, მისის ბრძნის გონიერებითა, რომელს სიბრძნისა აღმატება უბრწყინავს სიჭკელითა, დიდებულთა თავნი მონებენ. მის უამისა და დროს მეფე და საყანი, მშვიდობისა და დაწინარების მეოფელი, სიკეთისა და სწავლათა აღმარძინებელი, ნიჭთა მიმინჯებელი, ნიშატა მახეენებელი, ცის მზე და მეფეთა გვირგვინი, და თემთა მპყრობელი კარსკვლავი.

ლ ე ქ ს ი

მეფეთ თვალი, მთავართ ძალი, სელმწიფეთა დიდებანი,
ახულ უაზი უსეინსა რიგითა აქვს დიდებანი.

ღმერთისაგან მისი სელმწიფობა და დიდება ⁴ საუგუნომდე ჰტეისმცა, და სწავალი მისი, ქიმაის მსგავსი, წყალობისა კალთით, სადაცა მტკერი დაეკრავს; განუსრტოს თვისის გონების სიწმიდითა.

ლ ე ქ ს ი

ს-უთ დღე მუხთლისა სოფლისა უგუნურებით მდომელთა,
საქონელად და სამკვიდრად უწოდებიათ რომელთა.

ამის საწუთროსათვის გული არ შეუმსჭვალავს, ამა პატროსანთა იგავთა სიტყვისაებრ.

ფისტიკაური

მღიერებისა წინ დიდად მოღვაწეთ საღნი გამოჩნდებიან,
პატროსნების შესამოსელი სიწმიდის ტანთა მისგან შვენანს.

გინც ეს შაირი გულის სმა ჰყოს, ჭირვეულნი შეიწყალოს და დავრდომილთა ხელი აღუზერას, საუგუნოს მიმავალბის საგზლად წაიღოს ის წინად თქმული. იმწმებს

ლ ე ქ ს ი

წუთის სოფლისა სურვილი, უგუნურება მგონია.
მოყვარე, კეთილს ჰყვარობდე, ბრძენთაგან გამოგონია.

არ უნდა კაცმან თავისი თავი ამ საქმეზედ მოაუძღუროს.

ქ ე ბ ა

მას მრავლის სიკეთით შემოკობილსა და სიბრძნითა ამაღლებულსა, ქველსა, სელმწიფეთ-სელმწიფესა, ღვთივ პატრე-დიდსა და მისგანვე შეწყალებულსა, ბედა

⁴ ვარიანტი: დიდობა.

სვიანობით ქვეყნის მეურნესა, დიდს შის-აჭმადს, ანვარად სოილად სასკლ-
დუბულსა. ანვარი მნათობად გამოითარგმანება და სოილი — განსკვლავად, რა-
მელსა ქართულად თაგთირი. ჭქვიან, რომელი რა აღმოაჭნდების, იგი მისცემს
სიწითლესა ყოველთა ნივთთა.

ლ ე ქ ს ი

შენ თაგთირი სარ სად ნათობ, შუქთა სად მიჭყენ, სად არა!
სადა შეადგამ, ბედისა მუნ ნიში იქნას, სად არ-ა.

კაცთა თვალთა სასილველად — მისნი უდარესნი სათქმელნი — ჩემდა ამაღლე-
ბული სიტყვა მიბრძანა მე, ამა ყოველთა უნარსწევსსა, შეუძლებელსა, მდაბალსა
და შეურაცხსა ჭუსეინ-აღის-შილსა: ამა წიგნისა გამოძწვილველმან დიდად
შეგმართო, და ეს წიგნი ახლითა სამოსელითა შეემოხე; და შეკნიერნი ამისნი
იგანნი, საწადელნი ამისნი სიტყვანი ბნელისა და ღრმის, და მიუსდომელისა
არეულისა, და მიივარულისა სიტყვისაგან გამოვასრწყინე. აწ ყოველთა მსკდეულ-
თა თვალთა სიღრმით გამოცნა და სასვა ძალ-უც. და ამ შეკნიერის სასის მტ-
ველებისა ნაყოფსა მოისთლობენ, და ყოველთა მეცნიერთა გული მსიარული-
თა სურვილითა სასვით გაწყობა და ამ წალკოტისა ნაყოფსა. სკამს.

რ გ ე უ ლ ი

ბრძენმა მითხრა სიტყვა ჭირად,	სიტყვის ძალთა მრგველო სშირად,
ეგრე ბალი ვნასე ძვირად,	იგავთ სენი დარგე სირად,
ვინცა ჭამონ აქონ ძირად,	შენდობა გრქვან შესწირად,
და მრავალ სილთა იგდებ ვირად,	მვობის მვობთა მოკლი მშირად.

ასეთის გულს-მოადგინებით მიბრძანა, უარის თქმა აღარ შემეძლო, და
ერთმან სსიემან თაგთირისამან აღმოსავალით პირი მიახყრა.

ლ ე ქ ს ი

რა მნელია ეს ამარტა არაბთ მეფის ბრძანებითა,
რომ თაგთირმა ფერი მისცეს ნიშატისა გუნებითა.

ბრძანების უგან გონებასა დაკვეითსე და უმჯობესნი ამ იგავებზედ ვადა-
დუნე. რაც მიივარული მეცნიერებისაგან გამოიჩინებოდა, კალამი ესად და ენა
კალამად ვეავ, და აღმოადინა სასემ წერილოვნება, და გამოაცხადა ღვლარსწილო-
ვნება. აწ უნდა შეეიტყოთ, რომ ქილილა და მანას წიგნის სამეცნიეროს საძირ-
კველში ერთი საცოდინარი არის, და სამეცნიეროს ცოდნაში — ერთი საუბარ-
სანდომი, იგავთა ბრუნვის შემატყობინებელი, კაცთა ბუნების რივის გამმარ-
თავი. ამ გზითა კაცსა თავის სიფოცხლის საწილოს ცდაში გამოადგების, და
მათის აგებულებისა სისრულეზედ მიაწვიებს, ამ გზით, რომე თავი სიბრძნე
ორად განიკვეთების: პირველი ეს არის, კაცი თვით ბუნებით იყოს და სსვა შემწე
არ ესმარებოდეს, ⁵ მეორე; რომე სსვათა შემწეთა-თანა მოყვსობა და ამსა-

⁵ ვარიანტი: აღარ ესმარებოდეს.

ნაგობა შეთქმულობით ჰქონდეს. ზირველი, თვითან თავით თვისით რომ უნდა იყოს და სსვა შემწე არ ესმარებოდეს, ეს არის ჭკვა, ზუნება უნდა აგუელობით სსრული ჰქონდეს. და მეორე, რომელი მოყვისას შემწეობითა არის, ესეცა ორად განიკეთების: ერთი ეს არის, მოსასლე კაცი უშემწოდ არ იქნების, და ამას სსასსლის-სსუფლო ჰქვანს; მეორე—შემწეთა სსმარება მეფობისა და ჰქვეანათა ზერობისათვის, თემთა უფლებათა და ადგილებთა ჭერისათვის. ამას სსაქვეყნის სსუფლო ჰქვანს. ეს წიგნი ამა ორთა სსაქმეთა ზედა უფლებელა, რომლისაცა შემწეობითა, ამსანაგობითა და სსმსასსურით კაცისა სსარგებელი იქნება, და კაცი რომ თავით თვისით უნდა იყოს, მისი აქ ეკოდენი არა დაკვიწრია, თუცა ადგილ-ადგილ სსადმე გამოურიოს. ამასეც ვინც რამ დაკვიწუნოს, მისთვისეც დაკვიწებია. ჩვენ არ დაგსწერეთ, მან იზრუნოს. ჩვენ იმ სსაქმეზედ სსაუბარს ამ წიგნი გზა არ ვაზრუნებთ, და ამ ინდელთ ბრძენთ ნათქვამის წიგნიდამ ორი ზეთი კარი ამოვსოცეთ, ამისთვის რომე მაგდენი სსასარგებლო არა იყო რა, და არც ამ წიგნის სსაფერი გზა ჰქონდა; და ეს თოთხმეტი კარი რომ დარჩა, ბრწინვალეს ჟარტითა და ადგილის უდითა შეემოსე, სსადვილოს სიტუეითა და ამოსა სსაუბრითა გავარიკე. ბარამანის რხევაები, რომელიც რომ ამის გვარში თქმულ იყო, ისე აღვწერე, და შეტუობისათვის ზირველის კარის გასაღები ასეთის არავით გავსენ, რომ სიტუეები მით გავაშვენერე. ჩვენ რიგინა და კარგი გვგონია, და ჩვენს უკან ვინც ამ წიგნის სიტუეის გავეთება მოინდომოს, და ამ წიგნის ბრძნულად გამოთქმისა და გამომეტუეელობისა აღვიარნი ნაკლებად დაკვიჭიროს, და სიბრძნის ნაწილში არ ჩაკვიგდონ, შეკვინდონ.

ლ ე ქ ს ი

ამ თვალთა ზატოისანთა თლილნი იგავნი შევაწყე,
რაც მითხრეს, უთხარ, ის მითქვამს, ზასუსხა სწორად შევაწყე.

რომელსამე ადგილსა ნანდვილი, მისად დასადებულად რომელიც მოუნდებოდა და გაეწეობოდა, თანა ჩაურთეე, და არაზულს ლექსს განკეშორე, და სსარსულის ენითა ლექსები მარგალიტსა და მოწსავით ძაფზედ შეწეობით დავაცვა:

შ ა ი რ ი

ვინ ბრძენი ენას აშრობდეს, სამს ჰპოოს სიტუვა რიგებით,
ლექსთა ამზავზედ ამყნიდეს, სის რტოთა სესეც მიდებით,
გული რა ერთით გაძღოს, მეორე ძებნოს რიგებით,
და სსაწადელს გამოიკვლევედეს ცნობითა, არ განლიგებთ.

კარების რიგის ადგილს, სსდაც არაკის თქმა და იგავთ მეტუეელება დასდებულად მობმულეიყოს, სსამირველი მას უნდა სსკვრეტდეს, ამისთვის რომ

ტ ა ე შ ი

ვინათგან ვარდის კონათა ბალასთა ურთვენ წონათა.

გაბედას ნაბიჯი ერთის რასმე შემოღებისათვის წაიდგმას, და მე, უძღერმან, თუცა ამის თქმისათვის თავი ჩემი ჭირის ისრის სსაგნად დავდეე, აწ სამს-

ჯგეროში ჩემის საბრალს პირით ბოდიშს მოკითხოვ გვიანის ადგილის შთქმე-
ლობით: ვინც ამ სიტყვის სამდურავის ისრის სიგნად თავს დასდებს, მან იცის,
თუ არ განსრეკით გამოშინვავს. მართალი და სწორე სასმარი ეს არის და ვიტყვი:

შ ა ი რ ი

თუცა მოწყალე გაშინვავს მოწყალებისა თვალთა,
ჭიქასაც ესისნეს შეიტყობს ცნობით, გონების ძალითა.
მე შეკადრების ყუადრება, ამისთვის ვიწვი ალითა,
და ყუადრება გუელსა დაბალიავს, ვით გატყედეს მინა სალითა:

უმცროსთა თვისნი უფროსნი მართებან მოესმაროდეს,
არ თუ დაცემულს ყუადრიდეს მივაპით და უსაროდეს.
მეშურსე მკერდთა განიპობს, რაგინდ რომ დაეწაროდეს,
და მშვიდთ თვალნი კაცთა აუგთა ცდილობს, რომ დაეფარუოდეს.

კეთილად და წარმართებით ღმერთმან აღასრულოს ჩვენი ნდობა, ნება,
ყოფნა ქველის საქმეთა, ამ წიგნისათვის რომ დაგვირქმევია მსათობი თავთირი.

ესე წიგნი ჭირმანს ისპანს შეჭირვებაში შეოფსა, და უსაქმო მოსრუ-
ნავს, გონების ურვის წამლად მოემუშავა. ქართველთა მეფესა ვასტანგს სპარ-
სულისაგან ქართულად ეთარგმნინებინა.

ლ ე ქ ს ი

მცონარს სოლომონ აძგებს, ჯინჭველი მოსწონს ქებითა,
მეშახნი სამეშახოთა ვერ აღასრულებს ღებითა.

ამისთვის მრავალს გარჯილიყო, და დიდის ჭირით ქართულად გარდმო-
ელა. თვითან ზედ-მიწვევით სპარსული არ იცოდა, და მთარგმნელებიც თავის
გუნებისა ვერ ეშოვნა და მირეკ-მორეკით გარდმოეთარგმნათ. სხვას ენის წიგნი
სხვას ენაზედ, თუ არ კარგის მცოდინარისაგან, გამოთარგმნა ძნელია: სოგან
წინა უკან უნდა მოიყვანოს, და სოგან ართრონი ან მო-ემატოს, ან დააკლოს,
თვარამ ისრე სწორად უგემური მოვა. რა გაეთავებინა, ქართლში სულსან-საბა
არბუღიანისათვის გამოეკრავნა, და მოეწერა მაღალსა მდაბალი ბოდიშები.

ლ ე ქ ს ი

აწ მოიგონე შენ ჩემი პირველი სიყვარულია,
ეს საქმე კარგად მისაქმე, თვალთ სუ მოგივა რულია.

და ებრძანა: ეს ჩემი ჭირანსული განალსე გემუნად, და სადაც ლექსები
ჩართული იყოს, გერვე ქართულად ლექსები ჩაურთიო. ეს სულსან-საბა არბუ-
ღიანი გიორგი მეფის დედის ძმის წული იყო, და მისგანვე შეაღურად გასრ-
დილი და გასწავლებული, და ვასტანგ მეფის ბიძად და გამსრდელად წოდებუ-
ლი, და დიდად საყვარელი. ამ სოფლის სიმუსთლემ ერთმანერთს მოაშორა,
და ჩხუბიანმა კაცებმა მათ შუა დიდი განსეთქილება ჩამოაგდო. მეფე მას და

მის ძმათაზედ უბრალო მწყობრად შეიქნეს, და მერმე ეს ბრძანება მოუვიდა, უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონაზონისაგან ამისთანა ამავეი უწყისა და ურიგო.

დ ე ქ ს ი

მონაზონი საღმრთოს წერილს მართებს სწერდეს, გან ბერი, ამისთანას სამსახურსა მეფისასა ყოფდეს კრი.

ბერი-მონაზონი რომ მოსეს წიგნის ნაცვლად ქილიდა და მანას აკეთებდეს, ვეჭობ მეფესაც გაეცინოს, და ბიბლიას უცხო-უცხო ამების დაყარვის ცეცხლის კვამლი რა გონებას შემოეხვიოს, სადა დაწიება ცნობა, რომ ეს წიგნი გვარის და ტვილიად გააკეთოს.

ა რ ა კ ი

იყო წაღვარტა შინა ჯარდი ერთი მრავალთა ყვაკილთა შინა და შეიყვარა ვარდი იგი მიქემან, და თვისსა სსივთა ზედა-ზედ მიადებდა, და ცის ცვარითა ნიადგ რწყვიდა, აფერინებდა და ასუნებდა, და წყალნი მისნი მრავალთა სნუელთა ჰყურებდა. მისგანვე განგურნებულნი კაცნი აღუშერდენ ვარდსა მას და აღაკვამდეს ჰყარი ძხელად და შერთეს დრუბელთა, და განჭვირეს ნისლი შავი ცათა შინა, რათა ვერდარა ისილღო მიქემან მან ვარდი იგი. და მოაგლდა ნათელი მისისა, და დატყნდეს ყვაკილნი ვარდისანი, და განქარდეს სუნებულნი მისნი.

შ ა ი რ ი

შრომანს და ველსა ნიადგ მიყ მიჭვირეს მისთა შუქებსა, შრომანს სუნითა ახოსებს, ველს მიწის ზონად უქებსა, მეფე სამი ჩსრეგდეს საქმეთა თვისსა და სსვიის სასუქებსა, და ორგულს შეხდობა ყეოფა, ერთ-გულთ უნჯს მიუქებსა.

რადგან მიყ თავის შარავანდდეს სწორად მიადებებს ყოველსავე, მაგრამ ნიშატსა, ძალსა და საქმესა ყვალავსა სსვდ სსვას მისცემს. კაცმან ესე წიგნი ბოლომდე განსრეკით უნდა წაიკითხოს, რამდენი რიგი კაცია და რამდენი რიგი საქმე უნდა ესევე ასწავლის.

თქვა არაკი

იყო ოკიანესა ღღვასა შინა თვენი ერთი დელთინი, და უყვარდა ზღვასა მას დელთინი იგი, და ზრდიდა ყოვლითა საზრდელითა, და ესეთი ყმობა ჰქონდა ღღვასა მისთანა, მისის ვედრებით მეთვესურთა თვესითა. ბადეთა აღუესებდის, მენავეთა წინა-ყოღოდის და ნავთ-საყუდელად მიუძღვის, და ყოველთა კეთილთა ურემდის. ამტარდენ მისგან გამოზრდილნი კაცნი და სსვანიცა, და ჰპოვეს ვადევი ვინმე და აღმოუწოდეს ქარსა ჩრდილოსასა. აღაქათეს ზღვა იგი დელთითა, და დადომან გაიტაცა დელთინი სძელად და დარჩა მუნ.

ლექსი

მტკრმან ლოდი მომასკედრა, მოყვარემან ვარდის გონა;
ეკრე მტკრმან ვერ მატვისა, მფყვარემან შეძალნა.

წილა რა დასწყისარა, მოივითსა თავისი დელეინი. ეველა შეიტყო, მაგრამ დელეინს რაღას არგებდა. გონება ვარდისა, და მეტადრე მძლავრთა, წილისგან უმსკლესად აღელდების ავთა ენათაგან, მაგრამ ვარდი თავისუფლად შექმნა დმერ-თმან, რაც უნდა თვითა მის მეტს არასა იქმს, და ასეთი უნდა ქმნას, თვითან-ვე თავი არ შეიწყინოს.

შაირი

ერთგული იღწვის მეთვისგან შენდობას ორგულისასა,
ორგული ცდილობს მისთანსვე გაძებას ერთგულისასა.
ცნობა ხამს ამა საქმისა, მოძლებულია რისისა,
და ღვთის მიერ დადგინებული ბაძვიდეს კვალსა ღვთისასა.

თუ არა ესა მსეტრავისა და ბრძენსაც ადრე მოატყუებებს, თუ არ გაშინ-ჯა. თუ არ გამოუტყდელსა რა დასაბრალებია.

თქვა არავი

იყო მევე ერთი და ჭყვა მეძებარი ერთი კვალთა მეველე, დიდად საყვარელი, რომელსა წამსა არ განიშორებდა. ჭყეუდა ვარ-მიდამოთა მისთა და დარავობდა ღამე ყოველ; სადირთა კვალსა უველეედის და გემოანთა ნადირთა ანადირებდა. წრდიდა მევე ტაბლისაგან მისისა და ანუბიერებდა კეთილად, და ძალდი იგი მევის ტაბლისაგან წაიღებდა საჭმელთა და სხვათა ძალდთა წრდი-და მითა, და თავს აწყენებდა მევესა სხვათა მათ ძალდთათვის ესოდენ მრავალ-გზის, მევეცა განარისხის.

ლექსი

ვინცა განვეურნე დამოდა, წყლულსუდ დამადვა ხონდრონი,
ბორბოტნი ბორბოტს ექებენ, ბორბოტად მოსახონ დრონი!

აღბორვდენ ძალდნი სხვანი ნაკეთვარსა მათსა ზედა! ყოველნივე შურითა ცოფისა იქმნეს, მევისა იგი საყვარელი ძალდი განიოტეს, და მექმე მევეცა იგი დადელეს, და თვითანცა მოისრნეს. მეფმსა მისისა მეძებრისა სასკელიცა დაავიწყ-და. გამოხდა ხანი და ერთი უცხო ნადირი გამოჩნდა, საწადელი მევისა, და აღარ სად იყო მეველე ესეთი, რათა ნადირი იგი მოეხადირა და მისისა გემო-თაგან გამძლარ იყო. მაშინ მოავრნდა მეძებარი თვისი მევესა, ნადირისა მის შესაპრობულად უნდოდა, და უშტეგნდა მევე ძალდსა მას. მოვიდა ძალდი იგი ყინვისაგან თრისილ დატყუთილი, შიმშილით თვალ დაკლებული, და სმელის ღრღნით კბილ შემუსრული და სიბერითა დღე მოღებული.

თქვა ძალღმან ლექსი

მეფისთვის მოკვდო, კერა ცნა, არც ვინ აუწყა შორითა,
ჩემი ერთგულნი სარჯულნი ბოროტად უთხრეს ჭოროთა!

რითღა უნდა შესილებოდა ძალღსა მას შეპყრობა მის ნადირისა? მანამდე
უნდა მოსამსახურე მეპატრონემ არ მოიძულოს, თვარა რა მოკვდება, ტირი-
ლი აღარ გაცნობს, არცა წყენა წასუფს საქმესა-ღა მოაბრუნებს.

ლ ე ქ ს ი

მეფეს თუ უმანი არ ასლავს, რითა სცნან მისი მეფობა?
ბატონის ანდერძს, ჭკემორე, ამისთვისა ვქენ უეფობა.

ანდერძი დიდს ჭირსა შინა მეფისა მეფის ვახტანგისა.

უამსა მას ჰატიოხნისა და აძალეულისა, დედათ შერეობისა, თვით-
მწყობებისა და ღვთივ გვირგვინოხნისა, მეფეთ-მეფისა თამარისა, ესე წიგნი
ეთარგმნათ, რომელი ცსოვრებასა ქართლისასაც წერილ არს. ამითიც საცნაურ
არს, რადენსაცა საქართველოსა შინა ანუ არაკსა, ანუ იგაკსა, ანუ სეპირს
მუნახობსა ლექსსა იტყვიან, უფროსი-ერთი ამაში სწერია. მამინდელი ნათარ-
გმნი უამთა ვითარებით დაკარგულ იყო, და შემდგომად ბატონს დავითს, ბა-
ტონის თეიმურაზის ძამს, კუსა და მორიელის არაკამდის ეთარგმნა. მაგრამ
არც ლექსი გამოელო, და ზოგი სიტყვაც დაეკლო, და არც გასრულება დასცა-
ლებოდა. მე ის წიგნი სულად შემომივარდა, ვნასე რომ სიტყბოთ და სარგოთ
სრული რადენი ზღაპრის წიგნია, და ანუ მსოფლიონი სწავლანი არიან,
ამისთანა სარგო და საამოდ საგითხავი არ იპოვებოდა. ერთს სპარსსა რომელსამე
მცირედ ქართული წიგნი და ენა ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა
იწყო, მაგრამ ენის უცოდინრობით კერც კარგი გამოილო, და გასრულებამდე
მეც ისპანს წასულა მომიხდა. ისპანს რომ ჩაკულ, მუნ ერთს სომეხს უთხარ,
რომ სპარსული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შესრულა; მაგრამ ლექსი,
სიტყვა და გაწეობა ბევრი დააკლდა, არათუ ჩემის რისმე დანაშაულისათვის,
არამედ სული უმჯობოა საზრდელისა და გვაძი—სამოხლისა. ამისთვის მომი-
ძულეს მე უსამართლოდ, და შემდგომად ამისა, თვისთაცა ჩემთა ნაცვლად
კეთილისა მომაგეს ბოროტი, და აღმიდგენ შურად, და ამის მიხეზისათვის ტყვე-
მეკეს, და შემდგომად ამისა ქიომანს წარმოგზავნეს.

შ ა ი რ ი

მეტყვიან სოლმე რასთვის გაქვს ჭირი, ჭმუნვა და წყინება?
ჭურჭქას სახლსა ვსწუნობდი, როგორ ნუ მომეწყინება!
ახლა ქიომანსაც დამეარკეს, დამიწყდა ამას წინება,
და არ კეჭობ შერჩეს ღვთისაგან, კინც ჩემთვის ასე ინება.

რა მიველ მუნ, წიგნი სარგონი არ მახლდა, და ცუდად ყოფნა სოლისაც
მანახებლად ვნასე და ხორცის საწუნსრადაც. სხვა საქმე არა მქონდა რა, ამის
შეძრავს გამოგვიდე.

შ ა ი რ ი

ცუდად ფოთებისა წამალად ესკი ცუდი შარბათების.
 მსე აღმოვიდა, შიადგა ბარი იყო, თუ შთებია,
 ძაგრამ მე მისი მწვერვალნი აწსით არ მომხსაუბია,
 და ამისთვის სეკდა, ნაღველი გლახ-გულსა ცაქერთებია.

კიდევ ვნახე, რომ ვაცისთვის მრავალი სარგებელი ჰქონდა, სასმენულადც
 მწვერვლი და საამო იყო, და გარჯას აღარ ვრიდე ამის მიხეზისთვის.

შ ა ი რ ი

ეს ობოლი მარგალიტი დავაწვი და დავაშადე,
 ჭირნი ჩემნი უსალომო ამ საქმითა გავაშადე,
 სიბრძნე ჩემი რიტორება, მრავაწვივე, მოცაგსადე,
 და ძაგრამ ჩემთვის ამართული, ვერ დავაშადე ვერსით ბადე.

თუცა დამეკლას რამე სუ დამკობით: ჩემი ჭირი ქვას ჰქონებოდა, დაღრ-
 ბოდა. ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის აღავს ააგსებდა, და თუცა ვინმე უკეთ
 იტყვიოთ, არ გიშლით, და კარგსა იქო.

შ ა ი რ ი

ვინც უკეთ იტყვიოთ, არ გიშლით, არც აწას მეწვისების.
 მე ჩემმა ბედმა არ მომცა უამი ჩემისა ნებისა;
 რაც ჯარისაგან შევიძელ ვთქვი რამე მე ლხინებისა,
 და სსვა მეტი ვერა გავაწვივე თქმა ქების, ვინდ ვინებისა.

მე ვაცის შეტყობისა და მოუძებლობის გულისთვის ადვილისა და მსო-
 ფლიოს სიტყვიოთ დავაწვივე, რომ შეითხველი სამძულვაროდ არ უნდავსოთ, და
 ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩესო.

შ ა ი რ ი

არ ვიყავ სულად უცოდნი, ვიცოდი ვნა მიძიები,
 მეკითხს წიგნი სამღვთო და საერო ამას წინება,
 ვთქვი ენით მეტად ადვილიოთ, რომ იყოს მოუწყინები,
 და არ ვინ გამსადლოთ ამისთვის საციცსარ-მოსაწყინები.

არვის გმართებსოთ, ვისცა სულად შემოგვივადგესოთ, ამის ამის შეუტყო-
 ბარი დარჩეთ, და ან მე რა ჭირი მინახავს ამის თარკმანსე, ისიც არ შეიტ-
 ყოთ და არ გასინჯოთ.

შ ა ი რ ი

კაცი გემოს მაშინ იცნობს, ოდეს ენა დააწოს.
 დამეს ვარ უნათლოსა, მივემსგავსე მე მას წოსა;
 აღსა გვივარ ცუცხლისასა, სანამ გაქრეს უნდა მწოსა,
 და კაცსა ბედი ვერას არგებს, თუცა დიერთი არ ემწოსა.

სპასითა ენაში მეტად კარგად და ტკბილად უთქვამსოთ. ამატაც ნასავოთ,

ლექსი ლექსად გარდმოკვსთქვი უკლებლად, რომელი ოთხ-მუსლი იყო, ანუ ორ
მუსლი, ანუ ერთ მუსლი, ანუ ათ მუსლი, მეტი თუ ნაკლები, და ამბავი—ამბავი
მაგრამ სწავრული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმანება, ამბავად მოვა, და
მე იმავე ამბავის გალექსვა მოვიხდამე, და ეგება ლექსი არ მოგეწონოსთ, გასინ-
ჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს, მეორე ისრე კედარ იტყვის.
სწავრის ლექსის იგავნი ამის უკეთ კერ მოვიყვანე, თვარამ სწავრულში დიად
გაწეობილია.

შ ა ი რ ი

ეს ჭილილა და დამანა ბრძენთაგან გამოთქმულები,
სწავრთა ენითა სიტყობითი დამაჭრულ-დამბრულულები,
დიდის ცდით ჩემგან ნაღვაწი, ქართულად ნათარგმნულები,
და ლექსი—ლექსად და ამბავი, არც ერთი დაკლებულულები.

რადგანც მათში იყო, ამბავი თავის ადგილს, და ლექსი თავის ადგილს
დავსწერე. ამთონის ჩემის ჭირის სელ-ფასად ლოცვა და შენდობა რომ წესია,
ავ-ენებას მაინც ნურავინ გახსნით.

შ ა ი რ ი

ეს წიგნი ბრძენთა ნათელი, სსივით და შუქით მზიანი,
ყურითა ტბილად სასმენი, სუნით კარდი და იანი,
ძვითხველთა სარგო, მრავალი არათი, არა სიანი,
და ვსწერ მეფე ფასტანგ ქართუელთა, თესლ-ტომად დავითიანი.



ქველის საჭმითა ამ წიგნისათვის რომ მნათობი თაგთირი დაზვირ-
ჰმავია, ათოთხეპტი კარი აგავ რიგით დაიწერა.

- ა კარი. რიდი ორენა კაცისა და მიუნდობელისაგან⁶.
- ბ — ავის მოქმედის მისაგებელისა და ბოლო მათი.
- გ — მოყვარეთ ერთად ყოფნის სარგებელი.
- დ — სიფრთხილე მტერთაგან და მათის საქმისა, ხერხისა და დაუწყნარებლობისაგან.
- ე — საზიანოხედ გაუფრთხილებელისა და საქმის ხელიდამ გაშვებისა და მოუძღოურებისათვის.
- ვ — აჩქარებისა და საქმის გაუსინჯაობისა და ბოლოს ზიანი მის საქმისა.
- ზ — მათერებელთა, მატურთა, ხერხიანთ მტერთ ჩხუბისაგან და მათგან ჭირი.
- ც — მეშურნეთაგან შორს დგომისათვის და არ მინდობა მათის ტყბილის ენისა.
- თ — ხელმწიფეთაგან შეცოდების მიტევებისათვის, რომელი ყოველთა საქმეთა უმჯობესია.
- ი — ავისათვის ავისა, და კეთილისათვის კეთილის მიცემისათვის.
- ია — ერთი რამ მოინდომოს, მას მიჰყვეს, და თავისი საქმე შორს დარჩეა.
- იბ — სიმდაბლისა და სიწყნარისა და აუჩქარებლობისათვის და მასვე აღგილხედ ყოფნით მოცდისა და მოთმინებისა სარგებელი, მეტადრე მეფეთაგან.
- იგ — ბაკრძალვა მეფეთაგან, ორგულთა და ეშმაკის მსგავსის კაცის საქმეთაგან.
- იდ — ღრომა და ყამმა რაც განგებით მოიყვანოს, — მას დასჯერდეს, და საქმის საფუძველი მას ზედ დადვას.

ამას უკან ამ შემოკლებულს აჩაგებს რომ საქებარის სიტყვებით შეთხზნილია და მითვე შეიკავშმების და ისიტყვის.

გიწუევით პირველი აჩაგი იგავთა, თვალმარგალიტთა მუხასრეთა და სიტყვა-ხელოვნებათა გამოძისრეკელთა, და უცხოთა აჩაგებთათვის პირის ამღებთა, და საკვირველთა შემტკეურებითა თქმულთა. შემსწუბელთა ამა ამბისა თავი, ჭაი-ჭაი, ასრე მოურთავთ, ქებულისა და გამოჩენილის კახადონთა დასაწყისი

⁶ ვარიანტი: მიუნდობელისაგან.

ფურცელი უცხოთ რამ შეუწყიათ. რომელსა პირველთა უძმთა და დროთა ჩინეთისა ქვეყანათა ერთი მეფე ყოფილა, რომე მისი ბედ-სვიანობა და მისისა სასულ დიდობის სის ყოველთა ადგილთა განფენილ იყო, მისი შარავანდელი, როგორათაც საშუადლო დიდი მსუქ, ნათელთა ყოველგან მიჭყენდა; მის უძმისა მეფეთა მისის მოწინაღობისა საყურთ სულისა სავრძინობელთა ყურთა გაყვანათ, და ამაღლებულთა სულმწიფეთა აღვირი პირთა ავღვათ.

შ ა რ ი

ფრიდონ მეფისა უმაღლე, ჯიმშედის უმტვიცესები,
მაკედონელის უმძლავრე, დაჩიოსისებრ მწესები,
მოწყალე, ტკბილი მთვარულად, მის შუქსა შუქი მზისები,
და სიმშვიდე ჭქონდა წყლისა და წყრომას—ცაცხლს უარესები.

ეს დიდებულნი დღითი-დღე მის სუე ამაღლებულისა საფენთა კარ-მოიცვადენ. ქვეყნის მჭირაკობათა მცდელთა, და დიდად ბრძენთა, და ჭკუისა მრჩეველთა კეზირთა მისის სამსახურისა სარტყელი წელთა შეერთეთ. მისის ღრუბლის უმაღლე ტასტთა ქვე მწიგნობარნი და სიტყვა-მეცნიერნი მცოდინარნი მისის მოხმარების სელთა ზედა დასდენ; მის საუნჯეთა უცხონი და ძვირ-ფასნი თვალ-მარგალიტნი და უნჯნი და ლარნი მოწურობით ისხნეს, და ბუმბუკარზნი და ლაშქარნი თვალ-გარდუქლომელნი ჰყვეს; მისი წყალობა და სრმლის კერა შეერთებულ იყო, მისი სულმწიფობა ბოროტთა სეიბრობისა მეგობარი იყო.

შ ა რ ი

გითა მზემ, ბროლით დამწველმან, დადაღის ურჩითა პირები,
ნებისა წინააღმდეგობათა მასვილთა დამალირები,
მეკობრეთ სისხლის დამთხვეი, მათ კვამთ ზიდევდენ ვირები,
და დაურდომილთა და გლასაყთა ნიჭნი მიუძღვისის სშირები.

მის მეფისა სასული უმაღუნფალ იყო. მისი დიდება, უღონოთა და საბრალოთა და გლესთა ეტლის ბედნიერობით სლვა, და მისი სწრაფი ბრუნვა, მწიროთა და უღონოთა კაცთა განსვენება და სარგებელი იყო. თქმულა, თუ მართალ-მოხსმართლენი, მოურწენი და გამგებელნი გლესთა და მდაბოთა კაცთა არა უპატრონებენ, და მეშფოთეთა არა უკამინებენ,—მეკობრეთა, მზარავთა და მეუდიარეთა კაცთაგან ერთ-პირობა შეიქმნება, და ყოველთა კაცთა მარლეთა აღმოჭსდიან, და თუცა მოწყალეებისა სინათლის ნათელი ყოველთა ადგილთა შეღონებულთა კაცთა ბნელთა შინა არა უნათლებს, უსამართლობის სიბნელე თემთა გარეშემოფა უწყალოდ მოიცავს, და, ანგაარის კაცის გულთაებრ, უშველებლად გამავდება.

შ ა რ ი

მეფეთ სიკეთე მისისა საქმის ქმნით გამოჩნდებისა,
მალღი. მალღის მბამელი, მალღით მოამედებისა,
გინცა განსწავს კეთილი, დება ირჩიოს დებისა,
და მასვე ჭინაღ უც: მისივე ქვეყანა მოაოსრდებისა..

ამ მეფეს ერთი კეციანი ჭევა გლეხთა კაცთა გამოძირდელი, რომე მისი ხსრეკა და რჩევა ჭევეანათა ღამის მთეველი და სიბნელისა სასთელი იყო; მისი საგონებელი ერთი წუთსეც ათას მსელად შეგროუს საქმეს გასსიდა, ხსუბით აღელვებულის ზღვისა ხომალდსა მისის სიწყისართ აძოდ ავლენდა, მიძე ლოდს, მჭეფავს მოძევი ხაგდებულს, დაყენებდა, კალთის დამეგრეველს ფიცხელს კალთას რისხვისა ჭართა ძირითურთ აღმოფხვრინდა.

შ ა ი რ ი

ჭევა და რჩევის რიგებთა რა გულთა მიხურობდისა,
ას კეტთა რაზმთა გამტეხად, უფროსად ახროდისა;
ჭევენის საქმეთა რიგების სსკათაც თუ შეესწროდისა,
და ერთის უსტარის მიწერით იყლიძთა დაიხურობდისა.

ამისთვის რომე მისი ყოველი განსრავსა მოსწონი იყო, მისის საქმისაგან ჭევეანა დამშვიდებულ იყო. ამისთვის სასელად ხანჯუსტარ-რანი ეწოდა, და უმათუნთვალ არას საქმეს უმიძოდ არ იქმოდის, და არც დიდსა, და არც მცირესა მისად უგითსავად არ განაგებდა ბრძოლისა ასშარესთა, სიმისარეულისა სნატთა და დოართა არ დაჯდებოდა, არა ილხენდა ყუდას-ყუდა. რომე მეფენი და სელმწიფენი, და აძაღლებულნი კაცნი, თუცა ჭევეანთა და მოსურებულთა არა ჭეითსვიდეს, და გამოჩევეით ბრძანებსა არ შეამსადებდეს, არა უნდა კაცი გაერიოს. რაგინდ რომე ყოველი ძალი და შეძლება და დიდროკანთა კაცთ მეხატრონობა ჭჭონდეს, ბრძნის, კეციართა და ჭევეანთა და მცოდინარეთა რჩევა უსმს, და მით დამტეციება, ამისთვის რომე რაც მათის კუარის კაცნი გამოკა ყველანი ჭევეანნი არიან, და ჭევეანათა დამშვიდება, და თემთა მოშენება, და რაც რამ საქმე—რჩევეით უნდა ქმნან.

ღ ე ქ ს ი

ყველა საქმესა ხსრევეითა მრავალნი უნდა რჩევეანი,
გაუსინჯავთა საქმეთა ბოლოდ შექქმნას ზღვევეანი.

ამ დიდებსა შინა უმათუნთვალ ერთს დღეს ნადირობას გასვლა მოინდომა, და ცხენთა ამხედრება ბრძნა. ხანჯუსტარი, მისთა სვე-ბედნიერობისა აკუანდათა მოსამსახურე, თანა ახლდა. ნადირით სავსე დიდი ველი სელმწიფის მხედართა ცხენის ფერსთათვის სასახლედ შექქმნა, მალა ჭევეართა მფრინველთა გულის საწყადელით მოენებათ, რომ მეფის ნადირად თავი მისცენ და ჭევერდამ ჭევე ჩამოვიდოდენ. ნადირთ მღვეართა პირუტყვთა, დათოკილთა, საბელნი ნადირობისათვის დასწყვიტეს და პატიმრობისაგან განთავისუფლდენ, და ნადირთა საქებრად აქათ და იქით დაბოლდეს; შეძებართა, და ავასთა, და ყურ-შავთა თვალ-შევისიერის ქურციკის დანასუისათვის ტანის სიჭრელე ყოველი თვალეზად გარდაქცოდათ; ლომებრ ჭანვიანთ მწევეართა ყურდგელის სათამაშოდ ათას ფერი მელური სრავი ესწავლათ; ძლიერად მალა მფრინავნი ქორანი, ხასროლთა ისართებრ, სელადამ კავარდნილი, ღრუბელთა შეესწორებოდა, და კვეველს შავარდენთა სისხლის მღვრელის კლანჭთა, ვეფხვისავით, ფრინველთა ძარღვნი ფერსიდან ამოეხეთქათ.

ჩახრუხაულე

უტევედენ ქართთა შავარდენს შორთა, კლანკ-მასვილ, სწრაფთა, მებრძოლთა სწორთა, კაკაბი და ვლონ, თევზებრ დასავლენ, სონობთ იჭერდენ არ ერთთა, რართა; ზვასა მწვერით, სწრაფად მომწვერით, ქურციკს იპურობდეს, არნთა და ღორთა, და რად იქმნეს ისრად, გარდნიქტენ ის რად, კითა მშვილდისგან ნაკრავი მოორთა.

რას სელმწიფემ სადირობით გული აღისრულა და მინდორთ ნადირთა და მიფრინველთაგან დასცალა, ლაშქართ დასტური უბოძა, და თვით მეფემან და გუ-ზირმა ტანტისაგან ზირი დააპურეს. მარამ მას ადვილსა მზის სიცხით ბასრი სუფთანი ცვილისაებრ დაღებოდა, და ქვემინი ჭკერის ჭრტიალს შეერთებინა და ქარულად მავალთა მარჭათათა სლვათა შინა შესწვევდა.

შ ა ი რ ი

ეგრანთ თუ მოკვიდა ცეცხლი ველთა, მთა და ბართა, ააღმურდა ცა და მიწა, ართუ ჭკვანდა ნახუჭართა. სირნი ტყეთა იმაღლოდენ, შეხედილი ჭკვანდა მკვდართა, და მძრამთა სვრელთა მიაშურეს, ქვე მიწისა ნახუბართა ⁷.

უმაინთავლ უბრძანა ხანჯურსტარის: ესეთსა ცეცხლსა ჭკერთა შინა სლვა ჭკვისაგან შორს არის, თუცა კასავი ახლორე იყოს, მოვიწოდოლოთ, თუ არა აწ სიცხისა ჭრტიალისაგან მიწისა სისქე სამჭკედლოსაგან უმხურვალესად აღტუ-ნებულა და სლვა ცეცხლის სასმილისაგან ტყევე ქმნილა. ანუ რას მოსავონს მოიგონებ, რომ წამსა შინა მოვიგრილოთ, და რა მზე ფასეუნჯსავით ბუდესა ბინდ-ბანდისასა შთასდეს, ჩვენცა ბედნიერობით ჩვენთა ვანათა მივბრძანდეთ. ხან-ჯურსტარ ენა საჭებულად დამრს და მოასსენა.

ლ ე ქ ს ი

ჭე ქვეყნის მზეო, ღვთის ჩრდილო, სიგრილით შენეირო და რამინისა უმჯობე, შენი ჩრდილია ჩეო და!

ჩვენ, მონანი შენნი რამინის მსგავსს ბედნიერს დიდს სელმწიფეს დროშის ქვეშ რა ვასლავართ, ქვეყნის დამწველის მზის ფავლასაგან არა კიმიშვით.

თ ქ ვ ა ლ ე ქ ს ი

მზე თუ გავცხუნებს უამბდე, რად ჭმუნავს გული ჩვენა? მეფის დიდება შუაგად ჩვენ მონათ გარდაგვეენია.

მავრამ ღვთისაგან გამორჩეულს და მადლისა და ქებულის მეფის საბუ-დნიერო ჩრდილმან ამ ლაშქრისათვის მოსვენება და ჭკერისაგან განკრძალვა ბრძა-ნოს, დიდს მადლს მოიკებსო.

თ ქ ვ ა ტ ა ე შ ი

ურაკელთა კაცთა სიცოცხლე, მეფისა დღეთა ჭკიდრსა

⁷ ვარიანტი: ნაგუბართა.

აქ ასლთ ერთი მთა მისასვს, რომე ჭაბუკისა გუელთებრ მალაღი, და გუ-
 ლოკანისა კაცის ბედისებრ აღადებულა. ამის წინათ მტირე სხის კინსე თავით
 ფერხამდისის მწვანე სამოსლით მართულ იყო, და ათასი ცივი წყარო მისის
 წმიდა გულისაგან დიოდა, და ყვავილითა ცის კანსკვლავივით ნათლად კრკიალებ-
 და. მისთა წყაროთა ხადისობთა კიდეთა, სამოთხის მსგავსად, ხენი განწყობით
 იდგნეს. აწ მე ამ რჩევას ვიკადრებ, რომე წასასვლელი სდავე იქით მიიბრუნოთ,
 და ერთს ჟამს მწვანეს ძეწნთა ჭკუე განსვენებით მოკინრდილოთ, და ერთს
 წუთს, იასამანებრ, წელის პირს მწვანეს კორდსედ გაგასლდეთ და გინაროთ.

თქვა ლექსი

დაჯედ რუს პირსა წყალთ მჭკრეტმან, იცან სოფლისა გავლასნი,
 ამით სტან სოფლის სიმოკლე, რად გინდა სმელთა დაგლასნი?!

უმაინთვალ ხანჯუსტარის სიტყვით მამინე მუნით მიჭმართა, და ერთს
 წუთსედ ცსენის ნატერფალთა მტვერი განაქარვს. რა ხახ მთის კალთა, დიდად
 შკენიერი სვიანის კაცის სახდომელი და ბედნიერთა მისამთხვეველი ადგილი,
 ერთი მთა სიდიდით თავ-მალაღი დრუბელთა შინა აცრული, და წვერი მწვანე
 ცის-სარტყელასავითა მზის სხივით ელვარე, ცათამდე მიწკენილი, მოწებნალთა
 კაცთა მოცდის ფერხი დაწყარების კალთაში გაესკია, და ღვანსავით ცრემლთა
 წყარონი მკვადთა და მუცელთა უსეელებდა, — ხელმწიფე მალას მთასედ ავიდა და
 დრუბელსავით კალთა აკეცა, და ეგუე სრულად მას ადგილსა მოკლიდა. ანაზ-
 დათ ერთი მინდორი გამოჩნდა, რომე სამოსარს ასპარეზსავით განიერი, მრავლად
 ბალახოვანი. რა ხახ, იმედის შემწედ გამოსასა, ურიცხვი შესატყველი მწვანესა
 ზედა იხილვებოდა, და ცის შკენიერებსავით მისი წყალი და ჭკერი ედემს ჭკვანდა,
 მწვანეს კორდსედ იასა და კარდისა გარეშემო ახალი სუბთული ყაყაროსა შიგან
 თავის-თავად აწყოდა, რომელ კველუცთა ზილფისაგან უფორრე შკენოდა, დაღის
 ცხებულს თაველ-მწვეთელ ბაგესავით ჩნდა; ძეწნთა და წნორთა მწვანე ატლასის
 ტყავ-კაბა წამოესხა, და საროსა და ნაძვისა მგვლივ ბუსტულის კაბა წელამდე
 დაეკალთებინა. მუშკის მჭროლელი დილის ნიავის ენა კარდის ზვამადთა ჭკუე-
 ნისა კიდეთა განჭყენდა, ბულბულის სტკენესა და კარდის ფეროვნებათა სუნს-
 ლობათა ჭებსა უოკელთა ადამიანთა ყურთა ასმენდა.

ჩახრუნული

წყარონი ტბილნი, ჭკენი ლბილნი, კაცთა გულისა ღსინის სხენი,
 ყვავილთა დასნი, ფერადად ასნი, წელის პირთა მდგარნი, თვალთა მასკები,
 ჩრდილოკან ხენი, სრულ ერთ-სახენი, რტოთა მფრინკელნი, ტბილად მძასენი,
 და სვიანთ სავანე, სურმესტებრ მწვანე, ფოთოლსედ წერიო ედემს მწასენი.

ამა მინდორთა შუა ერთი წყარო დიოდა, უკვდავების წყაროსავით სიცო-
 ცხლის მომბატებული და, სამოთხის წელის კეფარტისებრ, სამსინარულო კამკამი
 და მოსწორნი.

ლექსი

მას შიგან თეგნი ცურვიდენ, ვით გერცხლნი მოკლვარნი,
წყალი ვამსვავსე ცის გრვალთა, რომელსედ ღარბის მთვარნი.

ვეჩირმან უბრძანა მას წყაროსა ზედა სამეფოთა კარავთა დადგმა, რათა უძიოუნფალა მოსვკუნების სსატსა ზედა განისვკინოს, და მისის ბედნიერის აკუნდათა მისს-ყინი წყლის პირს, ხეთ ჩრდილთა გარდასდენო, რა ჯოჯოხეთის მსვკუნს ადვილს მოაჩხენ, მას სამოთხის უსიეს სავანესედ მოიღვინონო. რა-გორადაც ალაფთა მამოკარნი მას ადვილს დასაროდენ, და თითო-თითო ენითა ამ ლექსთა იტყოდეს.

ლექსი

ღმერთო, ვინ ჭირსა მოგვხედენ, შეჭირვებასა დიდებსა,
შეს მიერ ხსნაღნი ყვაილთა გლახავთ მათა, ვითა ვიდებსა.

ერთისა ყურესა ხელმწიფე პილასა და ვეჩირი ცხენისავან გარდახდენ და ქვეითად იარებოდეს მას მთასა შინა. რასაც სავკირველსა ნახვიდეს, გონებითა და გულითა ღმერთისა მადლობასა შესწირვიდეს და ღვთისა ხელმწიფებასა და დიდებასა აქებდეს, რომ მისსა მსატვარსა მის მთის სიმრგველე ღვთის ძლიერების კალმითა მრავალ ფერთა ნახშითა უხატავს, და შემოქმედისა მღებარსა ქვის გულისავან რმდენი უცხო და უცხო ყვაილთა სხვა-და-სხვაობის ქვეყნი აუკსია. ამითვის მადლობდეს ღმერთისა და ხსნ-და-ხსნ ამ უცხოდ სავკირველს ყვაილის ბიბინსედ ამ ლექსისა იტყოდეს.

ლექსი

არ თუ ბუღბუღი მადლობდა კარდისა სუხსელებსა,
მაგრამ მისნივე კვალნი გალობდეს ღვთისა ქებასა.

ხსნ-და-ხსნ მას დასატულს პირს უჭერეტდეს და ამ ლექსთა იტყოდეს.

ნიაკი ვარდასა უფრკვეხელსა გაშლიდა, ასუნსელებდა,
ჩაქროლითა წყალთა ხავრესდა, შეთხსნილებს მამკველებდა.

მას მისრილს-მოსრილსა წყალსედ რომ სავკირველებისა კალამს დაესასა, თავ-დადრეკით მას სატყეებს ივითსვიდენ, და ოურმ-უსტის მწვანე ტილისმა რომ მწიგნობართ დაენუსსა, მას თარგმნიდეს. ამასობაში უძიოუნფალის თვალთა ერთს ხეს მიადგა, მისნი აურტელნი შემოდგომურად შექმნილ იყო მეტისა ხსნ-და-შმ-ყლობითა, ბებესავით ადვილსა ზედა დასრილ იყო, უშვერად მოხნდა, და ამ სოფლის ხის მეკეთელსა ცუელსა მისი რტოები გარდაკავა და სსწუთროს უამის სუროს ხერსსა მისის ტანის დაჭრისათვის გაუძლომრობის ვბილები მოკლეს.

ლექსი

წაღვოტთა მამკუნებელი არს ახალი ხე ხორხია,
რა გახსა, მოკვეთს მებაღე, იტყვის რწე, გულე, მოჩხია!

ამა ხისა გული, ნაღვლისნის კაცისა გულსავეთ, სიხარულსავეს და ცარიელბულ იუა და შიგან ფუტკართა დაებულა, და თაფლისა სიმრავლე მათდა სისრულად, ვითა ცისეთა შინა, დაეკრძალა. ხელმწიფემ რა ფუტკართა შიგნითა სმისნი მოისმინა, ჭკუენის მსახურს ვეწინსა ჭკუთისა: ამა მსატკთა მფრინველთა მის სისგარემოს რა ყრილობა აქვითა, და რა მიდენ-მოდენს, ან ვისის ბრძანებითა წელ-შერტყეულთაებრ მადალ-დაბლობით ფრინველთა.

თქვა ლექსი

მითხარ, ამ ბალახოვანთა რად დადის მიზეზიანად,
ან მათდა მიწვივ სჯებლად, ღმერთი ვინა ჭყავსთ გვიანად?

ხანჯურტარნი ენა აუბნა და მოასხენს: ეჭა, ჭკუენათა და ქალაქებთა მზურბელა! ესენი არიან ერთი ნათესავნი დიდის სარგებლის და ცოტას ზიანის მოჭმედნი. ვატიოხსება, წესი და რიგი რომ სხმს—მაგათ აქვთა, მაგათი ქება მრავალთა სამეცნიეროთა წიგნთა სწერა; მაგათგან ხელმწიფეურად მრავალი სარგებელი საბოძვარი ჭკუენასს შემატება, რადგან თავის საქმეზედ განმზადებულნი არიან. მაგათაც ერთი ხელმწიფე ჭყავსთ, ყოველი კაცი თავის ესით სასელს ეძსიან, ტანად მათზედ მოდიდოა, მათ ყოველთა ერთობილად მისის უფროსობისა და მორჩილებისა ბრძანებაზედ თავი დაუდებიათ. მას ხელმწიფესა ოთხ-გუთსე ცვილის ტასტი დაუდგამს, მას ზედა ბრძანდება. სახლო-უსურესი, ვეწირი, მეკარე, დარაჯა, ლაშქარი, გამგე, ყოველი რიგი მოსულე გაწყობილნი ჭყავსან; დარიგებულთა, ყოველთავე ცვილთაგან სახლი უნდა ააშენონ, რომე მათი ბანი და კრდო ერთმანერთზედ მადალ-მდაბალი არ იყოს, ერთი მეორეზედ მეტ-ნაკლები არ მოჭნდეს. არას ხელოვანს ოსტატსა უგარავიროდ და უსასწოროდ მისთანას გაკეთება არ შეუძლია! რა ამ რიგად სახლებს გასარულებს, მის ხელმწიფის ბრძანებით მას სახლებიდან გამოვლენ და სახლო-უსურესი ამ პირობას გამოართმევს, რომ თავიანთი სიწმიდე არ შეაბიწონ, მათი პირის წყალი არ შეარცხვიონ, მწვირთასს წყალს არ მიეკარნენ, ეს საქმეები დაიცვან, სახლის ვეკვილის რტოთა დასხდენ, ზვილი ფურცელი ჭამონ, ამისთვის რომე მცირეს სახსა შინა თაფლად შეიცვალოს და გემრიელი და ტკბილი და სუნელი შარბათი გამოხდეს. ასე თქმულა ყოველთა სამეურნალოთა რიგთა შინა, სხეულთა გურნება და მოწირობა ამა შარბათისაგან იქმნას. და რა მოძავლნი სადგომს მოვლენ, მეკარენი სადმე უსუნებს, და თუცა რიგთა და სიწმიდის პირობაზედ არიან და თავი გაუკრძალავთ, შეუშკებენ თავის სადგომს შესვლად, თუ არა და ღმერთმან ნუ ქმნას!

ლექსი

მტეიტვად ხელი პირობისა წელთა მოხდევ მოწავიდად,
პირი ყოლე არ გასტესო, წესთა ექმნა განავიდად.

თუცა პირობის გარდამსვლელი ჭზოვეს და მათში ერთი სიმურწაღე, ან ბილწი, ან არა-წმიდება შეამცნიეს, მასვე წამს ორად განჭკვეთენ. და თუცა მეკარეთ

არ უკითხეს და შეუშვეს, სიმყრალე ხელმოწიფეს ეწერეს და შეკრეს მოჭკვალეს, მერმე დანაშავეთ ფუტკართ დაჭსოცს, რომ სხვამ, მათის თესლმა ფუტკარმა, ამისთანა შეცდომა აწა ქმნან. სხვამ, უცხომ ფუტკარმა, რომ მათს სახლში შესვლა მოინდომოს, მეკრები არ შეუშვებენ, და თუ ფათერკად შევიდა, მეკრები მოჭკვალენ. ასე თქმულა, რომ ჯიშად ხელმოწიფეს მეკრები, დარაჯანი, გამტები, ტახტი, სნატი, ყოველი სახელმოწიფო რიგი მისგან ესწავლეს, რომ მის ყამსა დიდი განიგება იყო. უშიფნებდა რა ეს მოისმინა, სწავლის ნდომით მისი ნახვა მოინდომა, ადგა და მას ხესთან მივიდა. ხანსა რასმე მათს კართა და მეკრეთა და მათს მოსამსახურეთ მიმოსვლას უცვრიტა და სინჯვიდა, რომე ღვთის ბრძანებით განმოსადგულენი, ნიავის ეტლხედ მჯდომელნი რბოდეს და საჯდომელი წმიდა და ადგილი დიდა სუიეთა ჭქონდათ, არც ერთი ურგებად და მცოხარედ არ იდგენ, საზიანოს არას იქმოდენ, თავის რიგს არ მოშლიდენ, თავის სათესავს არას ავნებდენ.

ლ ე ქ ს ი

გნატრი მას მხნესა ნიადგ, ავის ვერ შემძლებულსა,
დიდსა, გუნება მდაბლსა, სხვისა სიმდაბლის მქებულსა.

უბრძანა: ეჭა, ხანჯურტარ! ეს საკვირველი არს: ესრე ძნელი გესლი აქვსთ. და ერთმანერთს არ ავნებენ, შაშარი უბერათ და სიტკობას მისცემენ, ესრე საშიშრად მრისისანენი სიმშვიდით და სიწყნარით მოთავსდებიან და საყვარლად მეგობრობენ, და სვენ, ადამიანნი და ჭკვის მყოფენი, ესოდენთა უგანთა გიქით, და მრავალნი თავსთა სათესავთა უმიწროდ და შეუცოდებულად ავნებენ, და რომელნიმე სრულიად აღმოფხვრასაც ეცდებიან.

ლ ე ქ ს ი

დროს სჭვრითე ყამთა რა მოაქვს, რას იხსმის, რა მოისთლობა,
რაც სჯობდეს იგი მოკრიფე, კაცსა აქვს თავისუფლობა.

გეზირმან მოახსენა: ესე სულიერნი, რომელსა ხედავ ერთსა ბუდეთა ზედ დაბუდებულნი არიან და ადამიანნი თავისუფლად. ხორცილი ოთხთა წინააღმდეგობათა კავშირთა აქვს შემზადებული, და კაცის გვამი ხორციელის სულითა და პირუტყუელისა სამშვიდებელითა შეუქმნია. ამა მიზეზითა ყოველისა კაცისა გუნება და საქმე სხვა და სხვაა, რომელნიმე სათელსა და ანგელოზისა მიუყვანებიან, და სხვანი—ხელსა და ეშხათა. ამისთვის მრავალნი ღვთის სჯულიდამ კასულან და სხვა და სხვა წესი და რიგი მოუგონათ, ამისთვის მათი ჭკვა ზოგი ანგელოზისაგან იწვეს, და ზოგნი ეშხათსაგან. რომელმაც მავან ჭკვის კალთა სულით დაიჭიროს და სიმტკიცის ფერნი მადლის ადგილხედ შეუძრველად დადგას; იგი ამსლდების, და ვინცა თავი საღმრთო ბრძანების მოწილის წერილის მოწილებასედ არ დადგას, მრავლის ცოდვით საბოლოოთი ჯოჯოხეთის ტანჯვას მიეცემის ამისთვის.

თქვა ლექსი

ვინ ანგულაზობს სორცითა, ვინ ეშმა მორს გასამები,
ნუ სდეკ ეშმაგსა, აილე ანგულაზისა ბამები.

მრავალთა კაცთა ავის ჩვეულების მიდეკნებით გამოხსენიათ ბორბტნი: ქე
მრეშება, ანგარება, მრისისასება, ტარება, ამწარტარება, მეშერსობა, ორგულაობა, ძვი-
რის სრასება, მოყივება, ცილას წამება, დაუნდობლობა, ჩაკვა და მსგავსნი ამათნი,
და ამათსავე შინა არიან.

თქვა შაირი

უშეცრებისა კალამი ვერ დასწერს სწორად წავლასა,
კეთილს ვიძობს, ანა ეწყობის, მრუდად იქმს თავის სწავლასა,
სუნნელების წილ საყინოელთ კვამლს ძალად მისცემს ავლასა,
და ბნელის მნათობსა ლამზარსა ქარულად უწამს დავლასა.

სელმწიფემ უბრძანა: ესე სასე და საქმე, რომელი შენ სთქვი, სასულიეროს
საქმის კარბ ღია გვიჩვენეო. ყოველთა კაცთა მართებული ეს არის, მაგრამ მაცის
მოქმედმან კაცმან ეს სოფელი უნდა გაუშვას და იფრინოს მარტოობისა და მოხვე-
ნების კალაზოდ დადვას, და სსვის ღსინის კარი თავის თვალთ წინ დასმას და
წამ-და-წუთ თავის ცოდვას აგონებდეს და ისინდეს, და სისხლის ტბათ მსსმელ-
თა⁸ კაცთა-თანა არ შეერთოს და ყოველთა ავთაგან მოარხეს.

თქვა ლექსი

შუას ადგილით განვლტოლვა: ერთს კუთსთა დავსებანი,
სჯობს მრავალთ სრუნგათ გაშება, ერთი ქმნას ღვთისა ნებანი.

ქე მესმოდა, მარტო ყოფნა და თავის წინაობა ღვთისა მიასლება არისო,
და დღეს მართლა შევიტყვე, რომ მრავალს კაცთან ღსინი გველას ვებნისაგან
უძნელესია, და მათთან ჯდობა სულთ-მებრძოლის შიშისაგან უსარგელესია.
შველს ბრძენთა და მეტნიერთა კაცთა ქებათა და სკრელთა და სლარცეთა შინა
მრავალნი უამნი ამისთვის დაუყვით, მათი გონების თვალნი თურე ამას სეღვიდენ.

თქვა შაირი

ბრძენი მთხრებლს ირხეეს საჯდომლად მინდართა ვეპილოკანთა,
ამისთვის მარტო მყოფობა გააჭაბუკებს მსცოკანთა.
მარტო ბნელს ჯდობს სჯობია, ბნელს ყოფნა სულ ჯაროკანთა,
და ჭკვიანი ევლტის⁹ ჩსუბსა და შიგოისა მას ქალაქოკანთა.

განშორებულთა, რომელთაც მარტო მყოფობა გამოეწინეკათ, სსვის საქმი-
ნათვის როდისღა სრუნგენ?

თქვა ლექსი

სვალე მწადს, რომე¹⁰ მაქრეკმან, ცამ ქარი ჩემთვის აქროლს,
სმელეთი გასცრათი, ვერ ჭპოკოთ თქვენ ჩემი მტერი აქ როლს-ა.

⁸ ვარიანტი: მსმელთა.
⁹ ვარიანტი: ჭკვიანი ევლტოდის.
¹⁰ ვარიანტი: მწადს, თუცა.

ხანჯურსტარ მოასსენა: რაც ღვთის ნების მსგავსად ქვეყნის მზერობელის სელმწიფის ენასა ზედა წარვლო, მართალი და ჭეშმარიტი სიტყუები იყო. ლხინი და განცხრომა გულისა სიბრძნისა განხსენა არის, და კაცისათვის თავად მარტო ყოფა ქვეყნის კაცთ საქმის შემოკრება არის, როგორათაც ესე თქმულა.

ჩახრუხული

ლც-დღე და ღამე თუ დაიყამე, გულ შემოკრებით ხალვად მჯდომელად, სიმრავლე ჯანთა, ზედ დასაჯანთა, კერ ხანო ტკბილად, კერცა მწერომელად, მსგავსია ვარდთა, არ განსაკრდთა, ხანჯუქად მწეობი, გაურომელად, და კრებულთა ხანონ, არ შეინახონ, იურცლად დაიყონ რომელს რომელად.

მებელი სიტყვა უთხრა. ჭურციკმა რა მათი საქმე ნახა, (რომ) საყვარელნი მოყვარნი
პატრონსათა საქმეთა მოქმედნი იყვნეს, მათ შეერიო, და მათდა მოაღერსედ, მე-
გობრად დადგა.

ტ ა ე შ ი

მეგობართა, საყვარელთა, შეეთვისე ნუ თუ ტრელთა.

ჭურციკსა მის იგი სათაბი და სადგური მათ მოყვარეთა და ამისნაგთა ყო-
ველივე გაუსაკუთრეს, და მის სამოკრიდამა აღარა სადა წავიდა, მათის სამყო-
ფით ფერხი სსვანს აღარ დადგა, და არცა სსვანთა საზღვართა გარდაბიჟა, — მუნ
მათთან დაეკვიდრა, და ერთმანეთთან ყოფითა ისარებდეს. მის ასლორე ერთი
ლერწმონანი ადგილი იყო, რომელსამე უამსა მუნ შეიურებოდენ და აღერსობდენ,
და მათთა თავთა გარდასვალთა ერთმანერთს უამობდენ. დღესა ერთსა ჭილეყა-
ვი, თავკმა და გუ მუნ შეიურნეს. ჭურციკსა ელოდეს და არსად მოვიდა. მათ
მისის დაგვიანებითა საგონებელი შექმნათ. თვალის უნახავად, გონების ჭზნრით
მისგდენ... ჭილეყავსა მიფრენსა და ადრე მისის ამბის მოღებეს ეგედრნეს.

უთხრეს ლექსი

დილის ნიავო, სულისა მეგობრის ძებნად მოარე,
მათს მოსურნეთა ამბავი მისი მოგვართვი მოარე.

ჭილეყავმა მოიფრინვა მალლად, მისი ამბავი მოუტანა და უთხრა მისი ჭი-
რისა მახეთა გამბა. კუმ თავკსა უთხრა:

— ამა საქმისა ღონის ძიება შენგან კიდე არავის ძალ-უცხო. ჭურციკის
მორჩენისა დრომსა შენს გარდა სსვა ვერავის ამართავსო.

უთხრეს ტაეზი

სწრაფად ვლე, საქმე არ წახდეს, სასინანულოდ არ გახდეს.

მერმე გზა გასწავლეს. თავკმა ჭურციკს მიაშურვა. რა ნახა, უთხრა: ვახ,
ძმაო საყვარელო! რასათვის ესეთსა მთხრებლსა ჩაჭრილხარ? შენისა ეგეთისა
ჭკვისა პატრონმა ქედთა ხერხისა თოკი რასათვის გარდიციო? ჭურციკმა უთ-
ხრა:

— განკების წინააღმდეგომი მეცნიერთაგან უქმნელია! სოფლის მოსავალ-
ზედ ჭკვა და გონიერება იშვითად მოისმარება; რჩევისა უდაბნოდამ ფათურავის
სავანემდი გზის სიგძე მოუვალა; ხერხისა ეზოდამ საქმის მოსკლის საზღვრამ-
დე მიუწოდელია შარაო.

უთხრა ლექსი

ჩვენ გარეთ ვსხედვართ უცნობად, უცნოდ რამ ავადლებული,
მიგნით თვალთ-მაჭტი თამაშობს, მატყუერად სულ-დავლებული.

თავკმბ უთხრა: მართლსა იტყვიო.

უთხრა ლექსი

სად ფატურაკი კარავს დაიდგამს, დასადგურდების,
ვის მის გაქვას სილღლით ეცდების, გაცაწბილდების.

მერმე თავკმბ მის მხნის თოკს ჭრს დაუწყო. ამსუდ გუც იქ მოვიდა, მისს ამსანავსა შეჭირვების სამძიმარი მიუთხრა. ქურციკმა უთხრა:

— საყვარლო მოყვარუ! შენი აქ მოსულა ჩემისა შეჭირვებისაგან უფრო დამძიმდა, ამისთვის რომე, ვირე მონადირე მოგვესწრობოდაც, მანობამდე თუცა თავკმბ თოკი გაკეთა, მე ფერს-და-ფერს სულსა გარდავასგეწებ, ჭილეკავი გაფრინდება და თავკი სოროთა შეისვეება. მაგრამ შენ რა გიყოთ? რად ესრე საქმე გაკვიტირვეო? გუშ უთხრა:

— ჭი-ჭი, საყვარლო მოყვარუ! რით იქმნებოდა ჩემი მოუსვლელობა? რომლისა შეებისთვის დამდგარვიყავ? მოყვარე ესრეთ შეჭირვებული მეგულეობოდა... რომელი ვატი მოითქეს საყვარლისა ვაყრას, და მისსა გასსაცდელს შინა ეოფასო?

უთხრა ლექსი

უშენოდ ნუძცა მექმნება სიცოცხლე ერთის წამისა,
შენთანვე მიჯობს სიკვდილი სსვავსა გრძელ ეოფა ეამისა!

მე შენთან მოსვლისათვის ვისარებ, შენმა სურვილმა უნებურად მე ამს ადგილსა მომწვეინა. შენის ზირისა ნასვისა ხდომამს ჩემგან მოცდს, და შენგან მოლოდინი მიმტაცა. ესოდენი სიშორე რა გამიგრძელდა, ჩემსა მოყვასისა სიწყნარის ფერსი მინდოროთა დაამტვიცა.

უთხრა ლექსი

უწყის ღმერთმან მე უშენოდ განსვებება არ მექმნება,
დლე ვაყრილი ღამე მიღმა, მამა, გული დამიდნება.

შენ ნურასა იურვი. აჭა, წამსა შინა ამს სვანჯისაგან გამოისსნები, და გულისთა მსანარულითა ჩვენთა სიმყოფითა მივიდეთო, და ეოკელსა საქმესა სედა ღმერთისა მადლობა და დიდება შეესწიროთო, რადგან ერთიცა დავოდებობა ჩვენსა ვავსა არ შეგვემთავაო. მოწყალისა საფარველი ჩვენისა გონებისაგან შეუგებელია, და მისი შეუმსვავებელი მონობა ჩვენგან შეუძლებელია.

ამისა რა იტყოდეს, შორით მონადირე გამოხნდა. თავკის თოკი დაკჭრა, და სოროთა შექურა. ქურციკი გაიჭრა, ჭილეკავი ავირინდა, გუ მუნვე დარჩა, და მონადირე მოესწრა. ნასა, მასე გაჭრილ იყო. გაბუცების თითთა სავგონებლობის კბილით იკბინა, აქა-იქ ისედიდა, თუცა ესე საქმე ვისით მომიხდაო? ნასა, გუ მუნ ეკდო. გულთა შინა თქვა: თურც ცოტაა რამეა, ამს წყენისათვის ეგრეთცა სსსინარულია. ქურციკი წამივიდა, მასე აღარ გამოელდება, სელ-ცარიელი მონადირისაგან შინ მოსულა აუგიაო, აიყვანა გუ იგი და სლთათა სსვავსა, ზურგთა წა-

მოიგონა და ქალაქის კერძო იარა. რა მონადირე გასცილდა, სამნივე იგი მოყვარენი მოკრებენ, ნასეს, გუ პელარა ჰპოვეს. სტესეს, გუ ივა. მონადირის საფრესეს შეეპურა. შექმნეს გლოვა და ტირილი ესოდენ, მათი ხმა ზეტად აღიწოდა.

და° თქვეს ჩახრუნაული

თუ თვალმან ხვემან, ვლას გასახემმან, რა დღეს გერ გნასეს, ცრემლით ვიბანდეთ, გუღნი გვეწოდეს, გლოვით გვეწოდეს, სავაებოთა სმათა ვიბანდეთ.

რა სიმძიმანი ედარების მოყვრისა გაყრასა, და რომელი ნაღველი მატობს მეგობრობისა მოშორებასა? მოყვისა და მეგობრისა შირის სიღვივისგან და მისის სახისა ვარდისგან მოწოდეს, მის¹³⁸ ნებეირობის კელთა უმსგავსოდ ტრიალებდეს. გაბურბულს ფერსი მწკირეთა ჩაუგარდებს, და მარტო ჯდომის ჩოდოდლობა მწუნხარე ხელთა გუღსა ზედა დაეკრუფდეს.

თქვა ლექსი

შენ თუ ჭირნი არა გჭირან, მე რას მარტებს, მაქვს თუ ურჯა, რუს შირს მედომმა რით შეივხან სხვას ვით¹³⁴ კელთა მოეწეურვა? თვითობა მოყვასმა თვითთა გოდებს წარმოთქვეს, და სატირალი გერგვინვა დასდებულად წარმოიუბნეს, რომე მათი თქმულება მწუნხარებისა სსხეი იყვნეს.

თქვეს ფისტიაური

გუღს სუღის ნება მოყვრის უბაგოდ არა აქვს რამე სიტყბოს გემონი, უსაყრფო-მოყვრად არა სანდომი არა ვარვა რა, თურა გემონი.

ბოლოს ჭურტიკმა ჭილეუკის უიხრა: ძმაო, ხვენი სიტყვა რავინდ სსქებელი იყოს, და შაირობა გაწეობილი, უნამეტხავე მწუნხარება გემართებს; მავრამ გუსათვის რა სარგებელია ხვენი ტირილი და გერგვინვა? ერთგან კარნივით, და ერთი რამ ხერსი ვქმნათ, მის ერგოს რამე იგი უმჯობეო. ბრძენთ უთქვამსთ: ორთა სსხეთა კანთა სსქეთა ორთავე მისი უამი აქვსო: გუღოკრობა და სიმხნე ომისა უამის, ანბარი და მიბარებული თსოკის დროსა, სიყვარული და მშვიდობა დედანწულთათანა უქონელობასა შანა, და მოყვრობის მართებული შეჭირვებისა და დაჭირებისა უამის.

უთხრა ლექსი

საყვარელი ჭირთა მინდა მომსმაროდ და შემწედ დიდად, თუ ლხინი მაქვს უოკლნი კანნი გამიდებენ ქვეშე ხიდად.

თავგმა უთხრა: ჭურტიკო, მე ხერსი რამე მოვიგონე, და ესრე მეჯობინების შენ დაკოდლის მსგავსად მონადირისა მის წინ გავლე, და შეჭირვებულსავით ვხვენე. ჭილეუკი ზურგთა გავდებოდეს და ვკებნდეს, რომე მონადირესა შენი მოკვდავება ეკონოს. რა დავინახავს, შენის შეზერობის იმედი გუღთა მიეცემა, და გუსა საღთითა ქვეყანად დასდებს და შენ გამოგეგვიდე. შენ კოჭ-

¹³⁸ ვარიანტი: მოწოდეს მ ა ს ნებეირობის ველთა.

¹³⁴ ვარიანტი: სხვას ვ ი ს ველთა მოეწეურვა.

ლობით და ბაზბაცობით წინაზე წარუძღვე, სურცა ესრე გაშორდები, რომე იმე-
 დი გარდაუწდეს და შეიქცეს ერთ-სანად ესრე ატარე, მანამდე მე გუსა ვუშე-
 ლი და გამოვაპარებო. სხვათ მოყვასთა ესე თათბირი მოუწონეს. ქურციკი იგი
 ამა რჩევისა მსგავსად ეჩვენა. მონადირემ რა გერე შეღობებით ნახა, და მოწინ-
 კულიცა სდევდა, სისარბით ქურციკისა შეპურობა მოინება, საღთა მოისისა, დააგ-
 დო, და ქურციკსა დევნა დაუწყო. თავგამ მანინე საღთის პირის სავრავი გაჭრა,
 და გუ გაუტევა. რა მონადირე ქურციკის დევნიასთვის დაშურა, შემოიქცა და თა-
 ვის საღთასთან მოვიდა. ნახა საღთის პირის სავრავი გაკვეთილი, და გუ აღ-
 რა მყოფი. გარცდა და თქვა: რაცა წამკვიდა, საკვირველი და დაუჯერებელი არი-
 სო. ზირველად ქურციკის მასის გაკვეთა და დაგოდილობაზედ ჭილეუკავის დევნა,
 და აწ საღთის გაჭრა და გუს განპარავო. ესეთი საქმე რამდენ უნდა იყოსო? ამას
 რა იგონებდა, შიშის წარს გულთა ეუფლა, და თქვა:

— ესე ადგილი ანუ კმშაკთა სამყოფია, და ანუ ქაჯთა სადგურიანო! ესე
 სჯობს, სწრაფად წავიდე, და მეომელს ამა ველთა ნადირობად აღარაოდეს ვკლი-
 დეო. — თვისი დაჭრილი საღთა და დაწვეტილი მასე მოკრება, და განპარავდ
 მოემწადა, და აღოქმს დადვა: თუცა მშვიდობით უდაბური იგი ადგილი გაკლოს,
 მისისა დღეთა შინა მუნ აღარა გაკლოს, და სხვათა მონადირეთაცა მუნ მისგულა
 მოუშალოს.

თქვა ტაუზი

აქა ესრე ვიდადე, ქარის სელთა არის ბადე.

რა მონადირე იგი წავიდა, ოთხსივე მოყვასნი შემოკრებენ მშვიდობით, მო-
 სკენებულნი და შიშის გარდაწინი მიდის თავისთა სამკვიდროსა შეიყარნეს. მას
 დღეს უგან არას დროს ჭმუნებისა სელი მათსა კალთასა არ შეესო, კერცა ზრუ-
 ნვისა ფრწხილამ მათი გულისა საუნჯე გასოკა. მათი ესრეთ პირობის და ერთ-
 გულობის ღსნიით შეკრული ალერსის მკედი მაგრად შეეჭმნათ.

თქვა მრჩობლედი:

ცალ-წვერს მკედსა დედაბური სწრაფად გასწვეკეტს უსუსური,
 რა ოთხ წვერად შეკრისო, გმირი დაშურეს ძალთა მსური.
 გარდის ძალ-ძალ მოსუნება სასას ახმობს, არ ახედლებს,
 თუ მსქარი კერე სჭამო, ღვიძლს ენებასა დაამსედლებს.
 ორისაგან თითო, ცალკე არას არგებს სულსა, გულსა,
 მაგრამ ერთად შეგობილი არგებს ყოველთა სენტა რგულსა.

ესე არს არავი მოყვარეთა ერთგულობისა, და ზღაპარი აეთა კაცთა მე-
 სიებთა, და ზურგთა მიმცემთა სწორი ერთ-სელობა, და ბედნიერობისა მოქმედ-
 თა და უბედურობისა მცდელთა გაჩვენა, სიყვარულისა და მოსკენების რავით
 პატრივი, და ალერსის მუქაფა სიკეთითა. ავის დროსა და უამსა რომე ერთგულ-
 ბით მარად-დღე დაჭყონ, და სრულისა ერთ-პირობითა დადგენ, ერთმანეთის
 სიკეთის სდომითა და მოხმარებითა ესოდენისა მსულისა განსაცდელისაგან მორა

ხსენ, ჭირის მიწინეული უკან დაიგდონ და ლხინისა სნატთა დაფენილთა კეთილის საქმით დალიტთა დასხდენ. ჭკვიანთა უსმთ სიბრძნისა საგონებლობითა ზღაპარი ესე გულის-სმა ჭყონ, რადგან ნადირთა და ზირუტყეთა უსუსურმა მოყვრობამა ესოდენი მოსაწონელი სილი მოისსა, ჭკვათა მყოფელთა და საქებელთა გვარინთა და გამოძრეულთა ზირმეტყველთა ვატთა რავდენი რიგი ერთობის სიმართლის სასე, სახედველი და ერთ-საფუძველად დასადებელი, ამა კანონისა მსგავსნი, მიეტემიან? და ესეთი გონება მათითა ცდილობითა, და მოჭირებების დაუზარებლობითა რას ხანს გააწვეს! ნახე, თუ მისის საჩუკების რიგი კეთილსა და ბორბოტს რა გვარად გამოაჩენს, და მისი მის დროს დამდაბლებისა აჟამი რას დიდებისა და ზატივის დროს აღვამაღლებს.

მჩრობლელი

გინცა მოყვასთა ერთობა იჯის, მას დაუმონების,
მისთვის სიტოტხლის გაწირვას არად არ დაელანების.
რასაც საქმეში მოყვარე არ გასლავს, არცა ვარგია,
საქმენი უამსახავოდ ცოტად ქმნილა კარგია!
გინ სწორსა სიტყვას გეტყოდეს, ზირობა ჭქონდეს მართალი,
მის კალთას სული მოჭკიდუ! გასწავლე ეს სამართალი.
ესეთი გაცი შეიტბე, ზირი ვითარს ზირობა,
სულიცა ფარად ვითაროს, სწულვიდეს ისართა ზირობა.
მოყვრის სული თუცა სულით ოდენ მოიყიდებიან,
სულის ძმობა სულისაგან უძვირ-ფასად იდებიან!



კ ა რ ი დ.

ბაქრძალვა მტრისა, და მათის საჭმის ზვირბთა და მათის
ხმარისაზან მოკრძანა.

რამი უბრძანა ბარძანს: მოყვარეთ გაწუობისა და ერთობისა არაკი მოვის-
მინე, და ერთგულობისა და მართლის მეგობრობისა მისენი შევიტყვე და გავი-
გონე.

უთხრა ლექსი

ვის მოყვარე შეეთვისა, მას რა ზრუნვა ექნება?
მეგობარი ვის არ უნდეს, გული რითღა ექნება!

აწ თუცა მოწყალებით ენასა მოაშრობ, და მტერობისა იგავთაცა გამოიტ-
ყვი, რომე მისგან არა მოღორდეს, მისის მდაბლის სიტყვითა და კედრებითა
არა აღაღდეს, რომელი მეოთხე ანდერძთა სწერია, რომელი გრძელითა გამოკ-
ლეკითა საგონებელისათა არა ადრე მიუნდოს მტერსა, რომე მტერი არას გზითა
არ გაუმოყვრდებს და არც დაინდობსო.

უთხრა ლექსი

მტრისაგან შენი მოყვრობა მშინდა იქმნას უბითა,
რა ცუცხლი წყალსა დაწაკდეს სამუდმოდ, არ ერთ წაბითა.

ფიდ-ფაიმი თქვა: ყოველს საქმეთა ზედა მეცნიერმან კაცმან თუცა სიტყვა
არ ირწმუნოს, და არ დაიჯეროს, და შირ-მისარეულებისა სიტყბოსა და სიმდაბ-
ლის საჯაჭრო არ მოიყიდა, ჭკვიანი მტერი მისისა სამეუბინაროსათვის სელ-გა
მომავლობისა საცადსა გამოიხენს, და გამოიხეილითა, თუ დაფარულითა ტყუი-
ლითა მრავალს ტყუილს გამართავს, და სურსისა და საცთურის რიგებთა ერდ-
ბის. ამისთვის მრავლის საგონებელითა მრავალს რჩევას გამოხსნის. მასა,
მრავალ საგონებელისა და ჭკვიანსა კაცსა დიდი გაკრძაღვა ჰმართებს. რაგინდ
მტერმა სიჭკელე და სიკეთის ნამეტნაობა დაანსოს, მისი წადილი ეს არის: ბო-
როტი ცთუნება შექმნას და ამხარტავანებითა დასცეს. ამისთვის სამს, რაგინდ
მტერმა ნამეტნავი იყრობა და სიტყბო მიუძღვანოს, მშინდა უფრო გაერთების
კალთა უგან უსამს უგუსაწველად! თუცა შეცდუნა და ერთიცა ჭკრიტინა ღია
დააგდო, მტერი, მისი მეცნიერი, ნიადგ მასი ჭკრეტს დაიწეებს, და თათბი-
რის ისარსა საწადლის საგანსა ჭკრავს, და ამა საქმითა თვისსა საქმესა გზას

გაურკვევს, და, მასუგან, ნაღველსა და დანაწიბას სელსა კელარს შუეუჭრობს, და მრავალი ზრუნვა სარგებლად აღარ ექმნება, და კერე მო-უსდება, როგორადაც მადრანისაგან ბუს მოუვიდაო. დაბიშლიმ ჭკითსა, როგორ ყოფილაო?

ფიდ-ფაამ თქვა ანაკი

მოუყვანათ, ჩინუთისა ერთსა ადგილსა ერთი მთა იყო. მისის სიმაღლის შუწდომადმდე, და მის თხემის დანახვადმდე თვალი მრავალგან დასიკუნება, მეტ-ნიერობის სასედეკლი გონების ფერსთა მის მადლას წვერსა უკებოდ კერ დად-გმიდა.

თქვა ლექსი

ვერას შიკრიკსა ენას მისი სიმაღლე თვალითა,
აწცა ვინ ზე ასულაყო ცნობის ფერსისა კვლითა.

მისის კიდისა სიშვენიერე, სიდიდეთ მეტნობა და კელთა სიკრტენი,

თქვა ტავში

სიმაღლით—ცათა სიმაღლე, სიკრტით—ხმელეთთა ოდენი.

მის თემისა პირი მისსა სიგანესა მოეცა. სიბრძნისა მეწაღეოტესა თეი-სის ძლიერებითა ესეთი ზე გაეზარდა, მისი რტონი ცათა გარდაეყნოდა, და მისი პირი უფესვრულსა ჩასწდომოდა.

თქვა შაირი

მას დიდსა სესა რაც რტონი ესსხეს და გარდაეყნოდა,
ვით ბროლის ლანძვი ზედ კერა, ცასავითი ტურთვად შვენოდა.
მისი ქებანი სეთ შორის მიწის პირს აწ მოსიქნოდა,
და რტოთ თვალი აწ მისწვდებოდა, გონების ზომით ზემობდა.

მას მთასა ზედა ურიცხვთა მადრანთა დაეუდათ. მათ მადრანთა ერთი სელმწიფე ჭკვით, სასელად ფირუზ ერქვა. ყოველნი მისის ბრძანებისა მოჩნილ-ნი იყვნეს, მისსა ბრძანებასა და სიტყვის იგავთა გრულებისა განსსანთა ცდი-ლობდენ. ყოველთა ასმია მადრანისა და ბუისა მეკელითგანი მტერობა. ერთსა ღამესა ბუთა სელმწიფე, რომელსა სასელად შაბანაგი ეწოდა, მრავლისა ღამქრითა, მეკეთელისა და სისხლთა მსმელითა, თავსა დაესსა, მრავალთა მათთა ჯარ-თაგანსა ძარღენი ამოსწვადნა.

ღ ე ქ ს ი

მკლავითა მხნურად იბრძოდეს, გულგონად, და უშრომელად,
მტერნი მიწათა გარივეს, ვით ჭკუა მტვერთა მირომელად.

მას ხელს ღამესა დამსდურნი გაუღონოდეს, და ომის რეცხლი წაუვიდეს და მოკვდავებისა ნაკეთი უამის წუგდილობისა მას საყულოთა დაეკრა, და ომი-საგან გამარჯვებულნი გარე შეიქცეს. მეორეს დღეს, რა შავ-ფერთოსანმა ღამის სიბნელის პირი დასაულისა ბუდისაკენ ქმნა, და ვარსკვლავნი მათ ბუთაებრ განი-ბნენენ, —

ლ ე ქ ს ი

მასვილი წადილი მოჭქონდა მოსეს, ქვეუნისა მსათსა,
ღამის ღამქარი გაქცა მისს სსიეთა სუთთა ან ათსა!

მადრანის სელმწიფემა დანაწხომი ღამქარი შემოიკრიბა, ბუთა რაწმთაგან დაღამქრათა საქმენი და რხევანი განიწრასა, და უთხრა:

— თქვენცა სასეთი მათი ჩვენსედ გაგულაოვნება, რომე დღეს თქვანი რამდენი მოკლეს, და სსვანი დაკოდეს, და რამდენთა ფრთე და ბოლონი მოსწავდნეს და დაამსხვრივეს მათგან რომე ჩვენ ძალი, სიწესვილი და მოწყვეტა დაგვეცა, ამის უფროსი აღარ იქმნების. თავად ესოდენი ჭირი და უზატიურობა, და მერძე სამკვიდროთა და სასლითა შინა მოსდომს!.. რადგან ესრე გვიძახუნეს, ჩვენთა ბუდეთა და განსსვსებულთა მოგვისდენ, და ესოდენი ძალა დაგვემართეს, აწ გქვი აღარ არის, იგინი დიდად გაგულაოვნებანი და ასლავე, მალე გარე შემოიქცევიან; და მეორედ თუცა ქდაგვესხსენ, ჩანს უფრორე ძალს დაგვემართებენ, ამით რომე ესოდენნი დაკოდილნი და დაწყულულებულნი წამლთა მოქენენი არიან, და თუცა აღრე, მეორედ კიდეც ღამით დაგვესხსენ, ჩვენთა ღამქართაგანცა ერთი ცოცხალი ვერ მოურჩებოიანო, და ამს საქმისა გავისჯვად და რხევისთვის ბაგენი აღასვენით, და უოკელთა მათის მოშორებებისათვის მოიგონეთ რამეო.

უთხრა მრჩობლედო

ჯერეთ, ზირველად შეგებუნეს, გამოუცდელნი ვიყვენით,
კაცური სერსი შეკმზადოთ, მეორედ ნუ გიბრეივეენით.
ამ ღვართა გზათა არ შეგვრავთ, მოგვიცავს, მოგვედინება,
ჩვენს თემს სულად წაღვევს, ბოლოდ დაგვრსება გისება.
დღეს საქმე მორვეივარგოთ, შეკმზადოთ სრითა გრება,
ხვალე უოკელთა არ მოგვესვდეს სასმილი ანაგრება.

რა ფირუხამ სიტყვა დასრულა, მისის ჯარისაგან სუთნი მდინარნი გბმოიწნივენ და სელმწიფის წინ მოდგუნს. ქება შესსეს და მართებული საქციული აღასრულეს, — დაი გამოჩენილნი და ჭკვა დიდნი იყვნეს, რჩევასა და გონიერებასა შინა გარდამატებულნი, სსვათა ნანიშნებთა სვაშადოთა და სანდომელთა უოკელსავე შეუტყობდენ, მათისა რჩევითა რომელსაცა გსასა გაემართებოდინ კეთილად წარემართებოდის.

შ ა ი რ ი

ბრძენი, გონება მალაღი, რჩევა მრავალი გვიანი,
დროსა და უამთა შემტყობი, არ ცუდად მივიწიანი.
მისმა თათბირმა მრავალთა მტერთა დამართის ზიანი,
და საქმეთა ნათლად მსედეელი, ვით მიტყრიტანს მოიანი.

მადრანთა მათის საქმისა სასოება მათს რჩევასედ დაედავთ: ბოროტთა საქმეთა მათისა სიტყვიეთა მოშორებოდენ, სელმწიფის ბედნიერობა მათს რჩევასედ იდგა, მათის გავრასვიის კართა ვერვინ დასჰვიდა. რა ფირუხას თვალი

მათ მიადგა, თვითთა თვითთას, რომელიც მათი არმხიგი იყო, ჰატვისა და წყალობასა დაჭმირდა და უბრძანა:

— დღეს ჭკუის მოხმარებისა და ცოდნის მოკუნების ჟამისა რაცა სხვაგვარი გულისა თქუისისა სუნჯეთა გჭინდესთ, გამოიღეთ და მათთა შეწუბილად დააცვით; და რაცა კუნსლი გონებისა სანეტსლეთა განწმუდილი დაგინებდაცთ ცდის დღითა, გამოცხადებისა ბასართა შინა სამს მიაწუბინეთ! მათ მადრანთა საჭებელი სიტყვა ააუბნეს.

მომსახურეს შაირი

მეფეო! დემრთმან შენ მოკცეს ყოველთა თემთა დიდება,
ცით ძალი, ქვეყნით სიმშვიდე, მტერთაგან არ წაიღება,
გაღანა გამარჯვებისა სელით შესითა მიღება,
და ორგულთა თავის დათრგუნვა, ამისთვის ქქონდეს რიდება!

და მომსახურეს: რაცა თქუეს დიდებულსა გაზირებასა ამა საქმისა ნებაჯს, ყოველთა იგი უზატოისსეა, და რომელიცა თქუესთა ნათელთა გონებასა გავლის, უკეთესი იგი არს. ჩვენ მომანნი ვართ. ათასის ზომით ჩვენგან თქუისის ბრძნისა გონებისა სარკეთა შინა უნათელსად გამოჩნდება. ჩვენ ესეთს რას მოვიგონებთ, რომე მის მეცნიერებათა შინა უზატოისსესი მაგალითი არ დასახულ იყოს, მაგრამე რასაცა მოიგითსულსა იქმს, და სწავლასა მომსახურებს, ანაზად მისცა გონებათა შეისვამს, რომელსაცა მოკასსენებთ. ამდღებულს ფირუხას ყოველივე უგლებულად მოკასსენება, მაგრამ სსკათაცა კითხვა ურიგო არ არისო. მან ფირუხს ხელმწიფემან ერთსა მათგანსა ჭკითსა:

— შენ ამ საქმისას რას არჩეო? მან მომსახურეს:

— ეჭა, ხელმწიფეო! რომელიცა ჩვენსა უწინაჩეს ბრძენნი და მეცნიერნი უოფილან, ესეთისა მოსავლისა სერსი ჩვენთვის საცნაურად დაუცსთ, და უსწავლებიანთ: ერთსა რომელსაცა კაცსა მიღავრი მტერი ჭჭეეს, და მისი პირის-პირი არ ძალ-ეღვას და გაგულოვნდეს, საქონლის აფორიაქებასა და დედა-წულთ დატყუებებასა სამეკიდროსა და სამეოფის დატყუება უმჯობესიაო. ამისთვის რომე, ბრძოლასა დიდი ფათურავი სდეეს, და ომსა შინა იურისისა შედგმას ძნელი ჭირი აქეს. თუცა მტერმან ძალი დაატანა, გაცლა სამს. რომელმაც უმსგავსოდ და გაუსინჯავად ჯავრისა ამოყრისათვის იურსი დაამყაროს, მეტადრე მისთანა ძლიერისა მტერისა, რომე მისგან ძლიერისა ზიანის ნიში სცემოდეს, და მას შემართებით ეომოს, მას კაცსა მიჭგავს, რომელმან ღვარის სადინართა დაიძინა, და მდინარის წყდა აღიზთა აღმოჭკუეთდეს. თვისისა ძლისა მინდობილი თვისითა გულოვნობითა მოტყუედეს; ჭკვისაგან შორს დარჩების, თუცა სრმალი ორ-პირი ქქონდეს და გამარჯვებისა ქარი ყოველგნით უქროდესო.

მომსახურეს ლექსი

მდებალს მტერსაცა კერძალე: ღვარსა ჭჭავს მსჭეფრად მდენარსა,
შენს უმძლეს ყოლა სუ უბრძვი, დაგმართებს მოსაწყენარსა!

ხელმოიფემა ზირი მეორეს მტრეკლას მიაზურს და ჭრქვას:

— შენს სავანებელთა შინა ამა საქმისა უძვობესი რაჲაო? მან მოასხენა:

— რომელიცა ამის მოვასხენათ — გაცლას და ადგილისა დატეკება, ჩემი რჩე-
ვა მას იერ ემოწმებისო. ამისთანა განსრასავსა ჭკვათა მეოთხელთა სასიტყვეო არ
არისო. ზირეულად ამისი განსრასავსა და ამ გვასხედ დადგომას, მისის სამკვი-
დროსა და სამშობლოს ადგილის დატეკება და უსამუსობის დატეკება უბადლო საქმეს.

მოასხენა ლექსი

არ შეენის ღომის ჭაბუკსა, მცირედლს დანაკოდანსა,
ადრე ადგილის დატეკება, დარსა გაქტეს მოდასსა!

უძვობესი ეს არის: სიმისის საჭურველი ავილოთ, და მისისხსებთა და
გულის წყრომითა ზირი მებრძოლთა შეკატციოთო!

მოასხენა შაირი

ზრმელი არა იერათ — არ ვარგა, იგ უფრო გვიძახებენ!
ჭაბუკად ვინლა გვასხენებს? დიანტიც დაგვიწუნებს...
ჩვენსა გმობასა არ ვაცხი, ტურახიც დაიჭიწუნებს,
და მახუნთა ნამახუნეულად სრასავათა შეკატციოთებენ!

ხელმოიფემა მამინდა შეიძლებენ თემისა შეენიერის ხელთა გარდასხვენსა,
როდესაც ცუცხლისა მსროლელისა სრმლისა ნაწრობის წყლითა ავითა-მოქმედთა
მტერთა სახელი, სოულის მაგალითი გარდაჩვენსონ. სახელგანთი მამინდა განსივე-
ნების სიძახათა საწადლის ბაგეთა შეაწებებს, რაჲამს თვალ-სწრაფის მტრის სდო-
მის ფილას გამარჯვების ქებით დაამსხვრიოთ. ამა რჩევისა უამი აქა მიწურავლას:
უოკელენით ჭდარახანი გავეყენოთ, და სადეთაცა შიშთა ველოდეთ, მუნით თავს
გაუფიერისილდეთ, და თუცა მტერი დაგვესა, გამარჯვების ზირი ველთა მტე-
რისაგან იმედის თვალთა) მოვებერტყეთ, რომე სახელგანობის მინდროთა სის-
სლი ნადიმთა მიწათა გავრიოთ.

მოასხენა ტაეზი

სახელგანად სიკუდილი კატოვან სანატრელთა!

ხელმოიფეთავსან ხამს ომისა უამს სახელის განთქმისა ცდილობდენ, სიმს-
ნესა და გმირობასა მოივარებდენ!

თქვა შაირი

თავი გაწირე, დაადგი იგერსი ველს გამაგრებულად,
ქნებთი გარდის ხოგანთა დავლისა ბურთი დებულად,
მამინდა ბედი გეწვეის, შენთანა იყოს რებულად:
და სამკვეტი რაჲამი დაფიწო, ვით ცუცხლმს გარ-მოდებულად!

ხელმოიფემა მესამეს წყალობა უბედნიერსა და უბრძანას: შესას სავანებელთა
რაჲაო, და შენთა თათბირთა რომელსა სახლოსა სახისა ფიტართა გამოსწერ?
მან მოასხენა:

— მე სსკათა მონასსენებთ გშორავ, და ესე მეკობინების: ყოველთა მსარეთა ზემავი გავკ სჯინთ და ფრთხილნი დაწავანი დაჯადგინთ; მტერთა აძვავი გსხსრიკოთ, და მათის საქმის სხვასუსო გავავოთ, და უმეობესი დაჯამტვიტოთ. მათ რომელი სწადან, შევიტოთ. თუცა დაწავება უნდათ, ანუ არა? ბეგარათა სარეთა სჯურან, ანუ არა? თუცა ესოდენი შეგვიწვალან, სულთა დაღუბადმდე ღონის მაგალითთა შეგვაძლებინებენ, შემსგავსებით ბეგარათა თავს დაგვაღებენ, რომე მათის ბრძოლის და ღამე დასსმისავან დაჯამშვიდდეთ, და ჩვენთა სამკვიდროთა კიყოფოდეთო.

მოასსენა მრწობლელი

თუ ჩვენი რჩევა შეიძღვან, მონასსენები ესია:
 მტერთ შეხვეწება სჯობია, ბრძოლანი უარესია.
 თუ მტერს ვერ მოკურავით, იგ დაგვაჭარბებს ძლითა,
 მიცემდე სჯობს საქმისთვის სასრიკალისა ძლითა.
 თუ გწადის მტერმა არ გავნოს ვნებისა სჯუნბელითა,
 ტბილი სიტყვა და მიცემა შეჭვრავს სრულ სჯნობელითა.

სელმწიფეთავან ერთი რიგი საქმნელი გამოჩვენა ეს არის: რა მტერძან ძალი და ძლიერება გამოჩინოს, და მისი შიში თემთა მოეფინოს—«ესე ყოველი შეუძლიაო», და ამით მდბიონი მოისროდენ და ივარ-იქმნებოდეს,—ამისთვის ხერხისა სარდის ნახვი გაშალოს, და მტერსა სამღერელი გამათელი წაუგოროს, და მარხისა შიშისავან გამოიყანოს, და სჯსტანგი და საქმნელი თემისა და ადგილის ფარდად დაღვას. და თუცა მტერსა აძვარტანობისა და სჯაობის გამათელი მოუვიდა, მას მტრობის სარდის დავისა თსოვს მოუცდებს. რაგინდ მტერთა ძალი მეტი იყოს, მძლავრობითა და რისხვითა მღერისა, ჭკვისა და გამოცდილობისავან შორს დაჩვენაო.

მოასსენა ტავში

თუცა უამი შენ არ მოკვეეს, შენ მას მიჭვეე რაცა სწადეს!

სელმწიფემ მეოთხესა მჩხეულსა უხმო და უბრძანა: შენცა ერთი რამ წამოთქვი, რაცა სავანებელთა გქონდესო! მას მოასსენა:

— ეჭა, სელმწიფე! სამკვიდროს დატეება, და გარდავარდნის დალი და უცხოობის სარველი გაქლოთ, იგი მეკობინებოსო. თუცა მათ ჩვენისა წესისა და რიგისა მათი გავწვიტეს, სრულიად დავსრულდებით. აქამდე რა მტერობა ყოველთა უმეტეს შეგვეძლო, აწ ჩვენცა თავი დაჯიმდებლოთო.

თქვა ღექში

ღის თქვა, სჯავტა სონდულსა სჯემრად დაიმონებდეს,
 ღომსა სჯბრძოლად ქურციკი არად არ მოიწონებდეს?

ჩვენ რაგინდ მათი სარვის მიცემა თავს ვიდვათ და სრულიად მათს ბრძანებსა ქვეშ შევიდეთ, კერეცა არ დავკინდობენ, და სრულიად ჩვენთა მოსრვათა, რაცა ძალ-ურსთა, ეცდებანო. ნათქვამია: მტერსა ესოდენი ზატვი ეცო, შენი სწადელი

აღვისრულდესო, არა თუ ესეთის სარისხთა აღსლვა, რომე მისითა თავი მოი-
ძგო, და მას დაემონო და მტერი გაძლიანდეს. იგინი არას საქმით მართებულს
სარკს არ შეგუჯურობდებიან. ჩვენი საქმე სიწყნარე და მოცდაა, და თუ აღარ იქ-
ნა, რამივე სჯობს, ამისთვის რომე, ბრძოლისა ჭირი და სიკვდილი გვიჯობს
სასულთა მოყენებასაო.

ძიასხენა ლექსი

გვიჯობს სიკვდილი ქებული, თავის გაწირვა ნებითა
სიცოცხლე მოყენებულსა, აუჯიანსა ვნებითა.

სელმწიფემან მას ბრძენსა, მესუთესა მრჩეულსა, რომელსა ქარშონა ეწოდა,
მას უხმო და უბრძანა: შეზგან მრავალი სენჯი, დასკენილი, ადვილად გასწილი
მისასავს, და შენი მინდობა მატკს, და ქვეყანათა მოვლისა სსოკებასა კელიო.

უბრძანა შაირი

ღე, ბრძენო, ჩვენო ერთგულო, მეიუეთა მისანდობლო,
მათთა სჭირო საქმეთა ადვილად გამომცნობლო,
მტერთა სასრიგო საქმეთა ადვილად გამომცნობლო,
და მოუვარეთ სურვისი მიძეპო, ორგულთა დამამსობლო!

ამისას შენ რომელსა რჩევასა გაიზრანავ: ბრძოლასა და ომსა, თუცა სამ-
გვიდროსა დატეკებასა და გაცლასაო? ქარშონამ ძიასხენა:

— მე ამას ვარჩევ: ბუსა ომთა სუ კეჩარებით. ვირე მათი საქმე სსვა არა
მოხდეს რა, ჩვენ მათ მტერობა რამე არა დავანახოთ, ამისთვის რომე, ბრძო-
ლისა უსისა იგინი ჩვენგან უმხნე შემძარნი არიან და უგულდუნენი, და ძლი-
თაც უქეტესნი, და ტანდაც უსოვნენი. მტერთა რომელიცა უღაროდ მიიხრეპს,
ამხარტავანების მქარებელი იქმნება, და რომელიც ამხარტავანებს იწეებს, სიკვ-
დილსა მისალოვება. მე მათგან კვლად დასწამ აღარ მგონია, რომელსაც გონე-
ბის თვალთა ვსინჯავ. ჯერ სანად იგინი აღარას გვიმტერებენ, ამისთვის რომე,
იგინი აწ დალაღებულნი არიან, და მტერთა მოღვრებისაგან დამშვიდებულნი იქ-
მნებიან. იგინი ამას იტყვიან: აწ გამარჯვებულთა თუცა კიდე ომი გააწყოთ,
არამცა თვათრავი წაგუკვიდროსო, და მარცხი მოგვიხდესო, დავმდაბლდეთ და ჩვე-
ნი ძლიერება მოიშალავსო.— მე აწ მათგან ომსა არ ვარჩობ. იგინი ჩვენს განა-
რვასა ჭგულდებენ. თუცა მწანი არიან ამისთვის, ვეჭვ მათს მწობასა, და თუცა
არა მწანი არიან, ვგონებ, თუცა ბოდიში რამე სასრიგო მოითხოვონ, და მე
ამას სმთა საქმეთაგან იგინი ომსა დაწილებულნი მგონია¹⁸⁵. მათ თუძცა განადა
ომი ეწადავს, ჩვენგან ომი სამჯობისარი არ არის, ამისთვის რომე, ჭკვიანთა
სუუკეთესოდ ესე უთქვამსთ: ომსა და ბრძოლასა კაცი მოეჭიდოსო. ომითა რა-
გინდ თაველი შეიმზადოს—გეპო არა აქვს. სული ყოველთა უძვობესია, მას არა
რა შეეძარებაო.

¹⁸⁵ ვარინტი: იგინი ომისა და ცაღებულნი მგონია.

მოახსენა ძიარა

თუ იყო გმირთა უმსუსი მისისა მის სსწომისა,
 ზილოსა უძლიერესი, მჯობი მებრძოლად ლომისა,
 ძაშინც მშვიდობა სჯობია, იმედი სუელთა დგომისა.
 და არ ვიციით ბრძოლა რასა იქმს, რა გატება არს ომისა!

ხელმწიფემ უბრძანა: რადგან ომსა სიმჯობისადად გერ სედავთ, მამა სსკას
 ის რასა ამჯობინებთო? მან მოახსენა:

— ამა საქმისა მოცდა და ჭკურეტა, და სიმადლისა და სიმდაბლისა ფერს-
 თა წომას სამსო. ხელმწიფის ძალი რომე გზიანითა რჩევითა განსრასნათა გამო-
 კვლევათა შექმინება, დიდითა საუნჯითა და შრავლისა ლაშქრითა ეგოდენი ღონე
 არ დაიდებაო.

მოახსენა ლექსი

ერთი სრმალი გამკვეთელი ორმოცს მიაჭკლავს, ანუ ასისა,
 ერთი რჩევა სულ დასთრგუნავს სიმრავლესა ლაშქრის დასისა!

ხელმწიფეთა სიმიდრე და ძალი ნათელ-გზიანი რჩევა არის. მასწავლებე-
 ლი კესირების რჩევა სიმდიდრის მომატების მიხსენია. მათი კეთილი ცოდნა—
 რაგვარადაც სლავსა მდინარე შეუმატება და შეეწევა, და თუცა არ შეედინა, მოა-
 კლდება, — აგრევე რომელთაცა მწკრთელთა სწავლება და მათგან დამარსულის სი-
 ბრძნის საქმე კეთილად არ მოიყიდა, მცირედსა ხანთა ყოველივე ბედ-სვიანობა-
 თა ვერ მიიასლება. გაშორდება და გაუბნევა; რომელსაცა ჭკვა და სიბრძნის ბედ-
 ნიერობა მისცემია, და მისანდო ყმათა სიტყვათა ისმენს და დაიჯერებს, მისი
 სვე-სვიანობა გამაღიანდება და სსწადელი-სსწადელსედ მიეტემა. მადლი დმერთისა,
 რომე დღეს ჩვენი ხელმწიფე სიბრძნითა, მეცნიერებითა და რჩევითა სირულია!

უთხრა შერეული

შეუყო! შენი სიბრძნე სმელეთისა ჭფარავს დარულად,
 ენა, მზე შენის სიტყვისა დართავე არის დარულად.
 თქვენი თათბირი ყოველთა კეთილთა უმჯობესია,
 გულის სმა, შემოკარბული, მტერთ უძღვინის ძილთა დარულად.
 ჩემი ვით შეტყავს გონება თქვენს ცნობას, — უარსენია,
 და შივი ვით დაიფასება სპეკლთას, დაჭრთავს დარულად.

რადგან ხელმწიფემან მე თანა-განმსრასობისა ჰატვიითა განმამდიდრან და
 გონიერება მიქო, აწ ჩემგან სამს, რომელიმე თავის წინა, და რომელიმე სავა-
 როდ მოვასსენო. მე სიმადლესა და სიმდაბლესა ორთავე მოვისაქმებ, მაგრამე
 თუცა ომსა გმლი და არა მსუბავს, ეგრევე დამდაბლებასა და მათს თავის მოდრე-
 კასა არ ვაჯობინებ. ბეჯართა და სარკთა ტვირთავად, რაც მამა-მამათა ჩვენთა ზურ-
 გი არ მიუბფრათ, მე ქედსა არ დავიკიდებო.

თქვა ჩანსუნაული

ყმონო თუ მტერსა, გავეგო მტერსა!.. სირცხვილად მიჩინს, საუკადრისოდ,
 მიჯობს მოკვლანი, არა მოკვლანი საეკადრელს დღეთა, რად ჭყავ სადრასოდ.

ძალაღს და კეთილ-მოქმედს კაცსა სიტოცხლის სიგრძე ანუ ცოდვის მოსანახებლად, და ანუ სინანულის გასაფენელად უნდა უნდოდეს. ღმერთის ნუ ქმნის, და უბადოდ ყოფასა დღე-მოკლობა უმჯობესია და უსაწყადესი. მე აკად ვხედავ, რომე სულწიფემა კედრებით ქედი მოუხაროს და მათდა საღასხავად გასადოს, ამისთვის რომე, ჩვენთა ჰირთა მრავალნი ჭირის კარნი გაიხმინ, და ღონის-ძიების საგონებელი ყოვლგნით დაისშვისო.

თქვა ლექსი

ქეელი სასელი განთინე, ნუ მოისუსტებ ქებასა,
სისუსტის ადგილს მანქანა ძალით დამართებს ნებასა!

სხვას ჩემსა მოსასწერებელსა თავის წინა მოკიუბნე(ბ)თ, რომე საქვეყნო რჩევა სულწიფესა გავაგონოთ. — მათ კრებულთაგან ერთმა უთხრა:

— ჭი-ჭი ქარშონავ! ყოვლისა განსრასვისა სატკებელი ეს არის, რაცა სათქმელი გაქვს, ჭკვათა მყოფელთა-თანა მოიუბნა, ამისთვის, სუთუ მათშიაც ერთმან ესეთი რამე თქვას, გონების ისარი საწყადლის საგანთა მოასკვადროსო. ბრძენთ უთქვამსთ: რჩევა — ჭკვათა შემოკრება არისო. ბრძენთა სიმრავლემ რა თვითო ფაღა ერთად შერიონ, სატკებელი და სიკეთე მათგან გამრავლდების, საბოლოოდ გაცუდების სადავე მოსწყუდებისო, რაგვარადაც მეტნიერთ უთქვამსთო.

უთხრა შაირი

ნუ მიენდობი ოჭროსა, ნუცა ხრმაღსა და გმირებსა,
ბრძენთაგან რჩევა მოიგე, დასჯერდი მათს თათბირებსა.
ძალე გაცასტვეთ მსხვილსა, ისართა გასაგმირებსა,
და რჩევასა თავს დაიბურგენ, არ აჭკიდებენ ვირებსა!

მაშე, შენ რჩევასა რომე თავის წინა იტყვი¹⁸⁶, რომლისა გზით აჯობინებო? ქარშონამ უთხრა:

— უოველი კაცი მე და შესსავით არ არის. სულწიფისა სუაშადისა გაცემა, ანუ მისისავე მრჩეველთაგან იქმნების, ანუ მოცტიქულისაგან. შენ სომ კეთილად იცი, ეგეთმან კაცმან თუცა ჩვენთა სიტყვათა ყური მოჭკრა, რასაცა მოისმენს, სწრაფად მტერსა აცნობებს. და იგინი ხანთა აღარ დაზმინ, და სერხისა და ჩხუბისა სურვლეთა ამოკვებენ, და ჩვენისა რჩევისა ისარი მურმელა საწყადლის საგანთა საკრავად კელარ მიაწევს. რაგინდ მტერთა მსტოვარი ვერ გაუწვდებოდეს, საკვია, ერთიც არის მათი მოყვარე და გამამხილებელი აჭ გუყვის, და მონასმენი იღუძალ შესთვალოს, რომელიცა ამა კრებათა შინა ისიტყვა. მრავალთა ესათა ქვეშე ჩავარდნილი, მტერთა და მოყვარეთ ყოველსავე მოასმენს. ამისთვის სუაშადისა დაფარვა დია დაყინებით უსწავლებიათო.

უთხრა ლექსი

კეთილად უთქვამთ გონიერთ საქმენი საჯარასონი:
«თუ თავი გიყვარს, დაიცვე სიტყვანი შესანახონი».

¹⁸⁶ ვარინტი: მაშე, შენ რომ რჩევასა თავის წინა იტყვი.

რომელიც თვისსა საიდუმლოთა, რომელიცა დიდად გულისთადი არ არის, და მასთან იტყვის, ბოლოდ სასინანულოდ შექმნება, და მერმე სინანულს საბგებელი აღარ ექმნება. და არცა სხვათა სჯაშადისა თქმითა ეგოდენი ვაკრძალვას უხამს, რომე ხელმწიფეთა მართესით. არცა ხელმწიფეთაგან, თუცა მისანდო და გამოცდილი არ არის, მისი გულის სჯაშადი ეთქმის, თუ არა, მისგან დასაკლვისი დიდი საზარალოა.

უთხრა ლექსი

თუცა შენს მეტმა იცოდეს შენი იღუმალ რხევანი,
ამაზად უნდა კაბდეს, გქონდეს ცრემლშაი რევანი.

მრავალ გზის მომხდარა, ხელმწიფეთა საიდუმლოსა გამხელეთა ქვეყანა, სული და სიტყვასზე ყოველივე მოხსრებულყოფის, რაგაკრძალვას ქიშშირის ხელმწიფეთა კეზირის სჯაშადის განდობის მიზეზითა მცირესა ხანს უკან ხელმწიფობისა სიმადლით გარდამოკრდა, და მისის სიტყვასლის მზე დასაკლად ჩხდა. ფიქრუხამ ჭკითხა, რაგორ ყოფილა?

ქანშონამ თქვა არავი

უთქვამთ, ქიშშირის ქვეყანას ერთი ხელმწიფე ყოფილა, თვისის ნების ლაგამი ცის ცხენისათვის ზირთა აღდგა, შესაპერობელი საგებელი თაგ-გამზინდვარის უძისათვის ყელთა გარდაეცვა. მისის ბასრის ხრძელის ცეცხლისა შიშითა ქარი აჭა-იქ ქროლას ვერ იკადრებდა, სულთა გამაგრებულისა ქუხილისანს წვიმითა სიმრუდით მიწის დაღტობა არ ძალედა.

შ ა ი რ ი

თუთა თვისთა სიმშვიდისა სამოსელი შეემოსა,
რომე ხრძელი ვერა ჭკეკიდა, ვით მოყვასსა, ვით მეომოსა,
მძლავრნი გლესთა ვერ ანებდენ, გვრც მზარაზნი—სარემოსა¹⁸⁷,
და ყოვლნი სულნი იხსრებდეს, მოელოდენ ქვე ზემოსსა!

ამა დიდებულსა ხელმწიფესა სავალაბოთა მოფარდაგულთა სრათა ტურთად შენეირი ცოლი უჯდა. მისი თმანი და წინამონი გრძელთა დამეთა ესწორებოდა, ზირისა მისისა სიკეკლეუცე ათხუთმეტისა დღისა მოკარისა მოკანებასა მისტაცებდა. უგულთა კაცთა რა სინამრად ენასა, მისის სიყვარულითა რა გაკლვიძისთ, მოთმენისა საყულოთა დაიხვედენ.

შ ა ი რ ი

საჭერეტლად ბოლოკარვანი, ტანსარო, ზირად მონანი,
წარბი მშვილდურად მოხრილი, დაწვი კარდულად წყლიანი,
თმა ხშირი, ნახუტყუჯარი, წელ-წარილი, უსულანი,
და თვალ გრემს, ბაგე-ბაღასში შეწყობითა კბილ მოწინანი!

ხელმწიფე მისის სიმწიფარის ტრფიალი იყო და გარდამატებით უყვარდა,

¹⁸⁷ ვარიანტი: ვერც მზარაზნი—სარემოსა.

ესრეთ რომე მისის სახისა ჩსკა სულის დგმად სჩნდა, მის თმისა და სალის თამაშობა სიტყვასლის მომტყუებელი ეგონა, ამაღ რომე, ყოველთა სულიერთა მათისა სასურველისა ტრფივალება მადნიტებრივ მისკენ მიიზიდვენ, და მათნი კანნი გუელთა განსკენებისა მოთმინებისა საუჩუეთა გულისა მისისა უბეთაგან მისტატებენ.

ლ ე ქ ს ი

ნუ ჭტონებ ჩემის ნებითა მე მისსა უგან მიმწვესა,
თმანი საგდებლად გარდმაცვა, მბია, ძალად მიმწვესა!

იგი კველს და მოკამათე სელმწიფის გულის ძალადურსა რა თვისის დალალთა მასეთა შინა გამბულთა ნასკედა, წარბსა მშვილდურად გოჩი გოზამდე მოსკედა, წამწამის ისრად მისის მკარდისა საგანთა ესრდა, ჟამითი-ჟამად სხვა რიგით უსუელითა ეჩვენებოდა, ტბილის საქმიითა და სხვა რიგის მიზეზითა მისსა გულთა შინა შეაბიჯებდა.

ლ ე ქ ს ი

აშივთა ცუცხლი დამწველი, მჭკრეტელთა გამაშმაგები,
ჟაბასა ტასთა ემოსა, ნაგებთა უცხო ნაგები.

მეტის სილამაზითა და უსულისა მატოუნებლობითა ქმარსა არა სჯერდებოდა და სსკათა მოინადირებდა, და გულის მიძებულსა საგდებულსა მომხებულთა ეელთა¹²⁸ გარდაცმიდა. სელმწიფესა ერთი შინა მოსამსახურე ჭყვა, სახე შექიერი, ახალი ჭაბუკი, ემა კაცი, ახლად წვერ-ულვასი საკისისებრ მოსკედა, უკვდაების წყაროთი მოჩწუელსა ჭგანდა, სიმწვანე, სამოთხის კორდებრ, სამოთხის რუს ზირთა მოჭეფარდა.

ლ ე ქ ს ი

ლალის ბაგეთა ნაწუობთა გარ მოსცხებოდა მელანი,
მის შკენებისა მნასკელნი იუცხოკებდეს ეკელანი.

იგი ქალი მას ეტრფივალა, და იგი ემატა მისის ნურვილის ბადეთა გაება. მათისა საქმისა ფარდაგთა შიგა მოთმენის და მოცდის ჟამის ნაწილზედ ცახეთა აღენიცა აღარ დაუჩნათ.

ჩანსრუხაული

მოხატრეობის, მოხატრიობის სულის ტანჯვასა ვინ მოეშორას?
სწკედექს წამალი, მისთავის წამალი მებსოს, კერ ჭზოკოს მეურნალთა სოროს.

ჟამ-ყოველ სატრფო და ტრფივლი თვალ-წარბით ლაზარაკობდენ, და წამის ნიშნებითა გულის თქმითა მათთა უამბობდენ. ერთსა დღესა სელმწიფე ნადიდა ჯდა, ცოლი გვერდს ახლდა, და გული მისის სიკველუტისათვის შეეკრა. ჭაბუკი იგი იმსახურებოდა და ყოველსა საღსინოსა წესთა მართებულად აწუობდა. სელმწიფე თვისთა გულთა მალსინებულსა სჭკრეტელად და მისის ზირის წყრილთა

128 ვარიანტი: მომხებულთა ყოველთა.

იგი თსკიდა. ქალმა, მის ჭკრეტის უმეტარმა, მის გაყს შესკდა და გულისა სის-
რულით გაცინა, და მათი სიტკობით სასკე დამშვიდებული ყაიმი გამოცსადდა.

ტ ა ე ზ ი

გარდისა გაცინებმა ბუღბული სრულად შესალა.

იგი გაყიტა მისის ზირის-ზირი ჯადეგითა თვალთა კილკოთა სათუთობისა
სასკეთა აწკენებდა და ათას რიგს ხელობასა ქკეყასასა მოჭყენდა.

ღ ე ქ ს ი

მონარგიზული გუგანი, ნახკვრად ჩამოფასულინი,
ცემცინად მოყუყუნარე, აშვით საკლავად სასულინი!

ხელმწიფემ თვალნი მოჭკრა, და მათი განზრასკა სცნა. სასიონცხო ცეცხლის
აღი მისსა გულ-ღვიძლთა აღკუნა. რა მათი ტრიობა შეიტყო, საყვარელს
სრულობით გული მოაშკრა.

ღ ე ქ ს ი

ბრძენნი იტყვიან: არას არგებს კაცს კვიზაროვის სენი,
თუ მისი ჩრდილი სსკასა აღკს, და თვით მოკვლასენიან?!

მერმელა თვითვე განიზრასკა: ესეთსა საქმესა სინქარე არა უსმს, ჭკევი
მოკლას უმჯობესა. ესე რჩნივე, უეჭკვლად, ჩემნი მტკრნი არიან, და მათი აღმო-
ფხვრა ჩემგან საქმნელია, მაგრამ სინქარე ჭკევის გზებს სრულობით დაჭკარკავსო.

ტ ა ე ზ ი

სულგრძელობა სჯობს ყოკლისა საქმისა გასაგებელად!

მერმე, კვრევე ზირკული სიყვარული არ მოაშალა მათის მიუხდომლობი-
სათვის, და მას დამესა მისის სიყვარულის შუქითა გათენებამდე ჯდა, მაგრამ
მისი გული, ზეზელებრ, სისწრათვის ცეცხლის აღსა შიგა იწკებოდა.

ღ ე ქ ს ი

ღომმა მთვრალმა და ტრფიულმა, ვით მოითმისა ნახული,
მისის გულისა ყვავილსა რა ჭკრეფდა სსკა გაზრასული?

მერეს დღეს, რა მსკმა ჯიმშედის სვიანობისა გამარჯვებული დროშა გა-
შალა და იერიუნის იფრს ცის კამარასა ზედა ამართა, და კარსკვლავთ სულმწი-
ფმა გიშრის ფარდაგი მისის მოკავსის დერეფნის წინადამ აკვცა,

შ ა ი რ ი

რა მზისა ძალმა ტურფანი სასკენი ამოანათა,
ლილის იფრთ ცათა განფენით მან სსკენი ასკვრ ანათა;
ყოკვლენით მიუშკა ნათული სიბნელის გასაბანათა,
და მისგან დაშკენდა სმეღეთი არ დაწმით მან კრთ-სანათა.

ხელმწიფე სკე-ბედნიერობის ტასკთა დაბრძნდა, სასკლკენობის სმა გან-
ფინა და უდიერობის მოქმედების მისაგებული მისად საიყვრად ცკავო.

ჩხსრუხსუელი

მეფე დარული, სუ თვალთ დარული, სიმართლის მქმნელი სწორეს მსჯავრისა, ღვთის მადლის ჩრდილი, ზესთა გასრდილი, სიმართლე წვრთილი ზეტის კარისა.

რა თემთა სსქმის გაგებისაგან მოიგადა, მოუწოდა თვისსა კეზირისა, რომელიცა მისის ქვეყნისა გამეგრება იყო, თაგის წინაობა ბრძანა და საღვა შეიქმნა. რისსვისაგან ქონდაქარი მოაუყანინა, და კეზირსა წესსადელი ყოველივე უმბობა, და მოინება მისისა რჩევითა მათ ერთი რამ სსსმელი შესვან. და ჭკვათა მასწავლებელი ზეამადისა თქმსა უძლიდა და ეტეოდა:

— რაცა გუადს გულისა შესსა, ქმენ, და სურავის ეტევიო.— ხელმწიფე წვესამს ესრე ახსქარა, გულთა ველარ დაეტივა და კეზირსა ყოველივე წარმოეთსრა, ამს სსქმისა რჩევა ჭკვიისა, და იგიცა მისსა გასრისავსას მიემოწმა, მისივე რჩევა დაამტვიცა, და მათი სიკვდილი დასკვნა, რომე მათ სსმისლისა წვენი რართავე დასკმნიკინიოს, და სიტოცსლისა კიდიამ სიკვდილისა მოტეკოთ დაანთქსნ, ესრეთი რომე, კეზირისა კიდე ვერავის აგრძინს, მსრტო რდენ სელმწიფემსნ, ამად რომე, ავის სსსელისა ფარდაგი არ დაინიოს და ზირის-წყლისა მკედი სსსუგოდ არ გაწყდეს.

ღ ე ქ ს ი

ესეთი სსქმე ფარავით სჯობს, იდუილ, არვის რნობილად, თუ გამოცნსადდა—არ ვარგა, აუგი უძღვის სწრობილად.

კეზირი თვისსა სრასა მივიდა. თურე კეზირის ქალი მას დღეს სელმწიფის ცოლის სსსსავად იყო, მისდა მართებულად არ უსლერსა, და სწორთა მისთაგან შეტრცხენდა და ითავილას. შინ მოკვიდა, მამს დიად მოწყენილი დასკდა. მამამ მოწყენის მიწეო ჭკვიისა, და რა შეიტყო, დიდად ეწყინა. თვისსა ასუელსა გულის დასადებლად იგი სსქმე ახარა.

ფისტიკაური

დილის ნიავეს გუშინ ღამისა სსსისარულა ამბავი უძღეს, წარუნვა-სადვეელი სრულ გაუქარგა, სსადგილევის ძირსიტ მოუწღეს.

და უთხრა: სუ წარუნვა, შვილო, ამს სსმის-რთსთა დღეთა მისისა სიტოცსლისა ღამზარი დასრტება და დღეგრძელობისა ვარდი დაუტნებაო. ასულმან მის ამბისა მიწეო გამოჭკითსა. მამამ წოგეოროთი რამ სელმწიფისა და მისი სსსარე უმბობა, და არავისთან თქმსსა კეღრა. მას ქალსა ესე სსქმე დიდად გაესარა, და მამისა სწოლით გამოკვიდა და თვისსა გასსსსკენებულსა მივიდა. მოღან რომე სელმწიფის ცოლსა კეზირის ქალი კუშტად გამოეშვა, ამისთვის თვისი ერთი სსტურისი მისდა გულის დასადებლად გამოეგნავს და ბოდიში მოუთხრავა. რა სსდემამ მისი სიტყვა დასარულა, მან ქალმან სიტყვა უგო: რა იქმსებისო, თურც მან ჩემთა ამსსავთა თასა უკემწიბილა? მასცა ასლორე ასლავს თვისი სსტანჯველიო!

ტ ა ე შ ი

მომკახლას დღენი იგი, დამიძვირდეს მტკრთა ჭკრეტა!

მან საჭურისმა რა ესე მოისმინა, ორგულუბა ისემა და მსიარულითა ში-
რიოთა მის სიტყვის მიხედა გამოჰქვითოს, და თქვა:

— რა გასასარელი დღე მექმნება, მისის უკეთურებისაგან მოკრწეო! მან
ქალმა უთხრა:

— თუცა ამა სვაშიადსა არ გამოძულ, წკრილად გაიმბობო და შენ არა
რას დაგიფარაო. მან სადუმდა ფიცი მისცა, და ქალმან მან ყოველივე უამბო.
საჭურისი მოვიდა და ყოველივე, მის ქალის თქმული, თვისსა ბატონსა მოასწენა.
მამინეუ მან მისსა ხელქმნილსა იდუმალ მოუწოდა, ყოველივე უამბო, და სხვა-
ნიცა ვინმე მოიბირნეს და გაუბირდეს, და ვირემ ხელმწიფე თვისსა განზრახვა-
სა აღასრულებდა, მათ დასწრეს და სულის მისისა სვამლდი სიკვდილისა დე-
ლვათა დაანთქეს.

მას ხელმწიფეს თუცა თვისი სვაშიადი კეზირისათვის არ გაენდო,
მალღის საჯდომის სინტიო სიკვდილის სიღრმეთა არ ჩაიჭრებოდა.

ამა არაკისაგან ესე მოსაგებელი გამოვა: თუცა ხელმწიფენი თვისსა კე-
ზირთა-თანა სვაშიადთა იტყვიან— სცდებან. ჭკრიანთათ მათის რწევით სარგებე-
ლი ჭბოკონ, მაგრამ ნუ იქმენ! მათგან ესე ხამს, თვისნი საუგო სვაშიადნი არა-
ვის განდონ, ამისთვის რომე, თუცა თავიანთითა სიდიდითა და სიმძლავრითა, სი-
ჭველითა და სულგრძელებითა თვისთა სვაშიადთა ვერ დაიტყვენ, მაშე სხვამან,
მათგან მოკლეს ჭკვისამან, მათგან ცოდნა საკლებმან, ვით დაიტოონ მათი სვაშიად-
ლებიო?

თქვა ლექსი

შენ თუ არ ძალ-გიცხ დაფარვა შენისა სვაშიადისა,
ეს ძნელი საქმე სხვისაგან ჰყრობად ვინ დაიქვდისა?!

ქარშინამა რა ესე არავი თქვა, და თვალნი ჰატიოსანნი და მარგალიტნი
ბრძნულის სიტყვის აღმასით დასწრითა, ერთმან მუნ მდგომარეთაგანმან საყვე-
დრელი ენა აუბნა და უთხრა:

— ვეკ ვარი სიტყვა ყოველთა რწევათა და განზრახვათა საფუიქელთა აღ-
მომფხვრელიაო, და თვისსა მოგახებისა და რწევისა მინდობასა ამტვიცებსო.
ესე უფრო სწორია, რწევისა მოკლება სიბრძნისა და ჭკვისაგან დია მოშორებუ-
ლი არის, და მასი ერთი სიტყვა მოწმიან ამბობს, რომე ყოველთა საქმეთა ში-
ნა რწევა სჰმსო.

უთხრა ფისტიაკურა

თუ საფუიქელი შენის საქმისა რწევა-განზრახვით არ დაამყარა,
სჯულთა წესთა გაუმორები, ჭკუისა გზასა ძალ გაყვარა!

ბრძენნი და ფილესოფოსნი თვისსა რწევასა მათს მისანდობელთა ვარის
მოსამსახურეთა ჭკითხვენ. ესე სარწმუნოა, რომე რწევა და განზრახვა ნიადავ საქ-
მელთა და ჰატიოსანი დიდად.

უთხრა ლექსი

თვისთა წმიდათაგ აწყავლს ღმერთიან რჩევითა გაცება,
შენ ამა წესსა რადა შლი, რა არს ახლისა¹³⁹ გაცება?

ქართონამ თქვა: მოწყალემან ღმერთიან მოსე წინასწარმეტყველს უბრძანა სხვათა შეკითხვა, ანათუ ამისთვის, რათამცა მათ სხვათა გამოარჩევა მისსა სხამარ იყო, რადგან თვით ღმერთი პირის-პირ ეტყოდა, და ორისავე სოფლის გზა უტყუნელად აწყავა, და ესეთი სარკე შემზადა, ყოვლისა სიკეთისა მსჩვენებელი იყო, მაგრამე ამისთვის უბრძანა, რომე სხვათა მაგალითად იყოს, და სხვათა ეგრეთ, მსგავსად მისსა ჭყონ, რომე კაცნი თვისსა ჭკვასა არ დასჯერდენ, და თვისისა საქმისა მინდობილნი არ იყვნენ, და გამოარჩევითა და გამოკვლევით ჭკვა ნაკლებობასა სხვათა ჭკვისა გამოკითხვითა შესარულებდენ და შემოწმებით დაამტკიცებდენ, რადგანადც ბასიმის სასთელსა ზეთი გაამდიერებს, და ცუტსლისა აღსა, რა შეშისა სიმრავლე დაურთო, უფროსად აღენთების! ნუ გგონია, ჩემი ესე ნათქვამი ეგრე იყოს, რომე რჩევისა მოშლასა ვიტყოდე. მე ამას ვიტყვი, რომელიცა რჩევა ითქვას, იგი ესრეთ დაიფაროს, რომე არავინ გაამხილოს, ამისთვის რომე; სვაშიადისა დაფარვისაგან ორნი სარგებელნი იშვებან. ერთი ესე მრავალ გზის გამოცდილია: რომელიცა საქმესა ფარულად ეცდების, ყოველივე ადრე იქმნების, რადგანადც ღოჯვა დაფარული უადვილეს შეიწირება. მეამე ესე— რადგანდ რჩევა და განრასვა ვერ შესწორო, და ანუ ერთი საქმე რამ გულთა შინა გქონდეს და არ გამხილდეს, მაზედ მტერი ვერცა შამათსა გიზამს, ვერცა რას ზიანს იქმნოს.

უთხრა ლექსი

თუცა საქმელი ვერა ჭქმნა, არა რა საზრასავია,
მაგრამე სხვანი რა გკობდენ, ესე მეტადრე ავია.

ფიროსამ უბრძანა: ევა, გონიერო მასწავლებლო და პატრონანო მჩხეველო! მე წყალობის მონიჭება, და ამღლება, და სრული მინდობა შენდა დამიცხ. ყოველთა კვირითა და სწავლულთა კაცთა, რაცა ამა კართა მოსამსახურენი აჩიან, შენ სისრულითა და რჩევითა ჭმაც, და უპატრონესად გსედავ, და რაცა შენის პირით სწავლა და რჩევა გამოსდეს, მისსა მოსხენებასა ნუ დამაძრიდებო. ქართონამ თავყანი-სცა და თქვა

ღ ე ქ ს ი:

ღე, შენნი მსჯავრი მსეტია და მფრინველთა გაჭკვირვობა,
შენნი სობრძენი კაცთაგან დია მოსასურვობა!

ყოველთაგან მონათა სხამსოა, რომე თვისსა პატრონსა სამკობისა რურჩევედეს, და მისსა შესამიულსა საქმესა მოამოკებდეს და მისსა სხარგებლოს მოასხენებდეს. თუცა მისი რჩევა საკეთილოდ რადმე ნახოს, და მით მი-

¹³⁹ ვარიანტი: რა არის ახლის გაცება?

სის ფარდაცის სიბნელე განსაღებოდეს, ამოდ და ტებილად შეაგონებდეს, და სავედრებელითა ცდითა, ვირე მასი რჩევა დასიროლოს, სიტყუა არ განწვიტოს. რომელმაც მონამა, თვისის უფლისა კერძომან, დაუტეოს მისის განწინების საჭმე და დაფაროს, და მინდობით სამარხევი პირობა უარჯუოს, ესეთი კაცი მტრად შეირაცხება. სრული მრჩეველი, და მშვიდობის მეფეელი და მისინდო მოსამსახურე ვინცა ხელად ივდოს, მისის სიკეთის მუქაფად ჰპატივი, და ნიჭი და დიდობის რიგი ხამს საჭმელად, და ბოროტის მეჭმედისათვის რისხვა და წყრობა მის ჭკუენის წესითა მართებულთა მიავოს. მე ესრეთ მგონია, თუცა ვინმე ესე ესრეთ ქმნას, მან მისი თეძი და სვე-სვიანობა მტკიცედ დაამყაროს, და დრო და უძითა მოსავლის ხელი და ბედნიერობის სიკეთე მას მალ არ წაერთვასო.

და მოახსენა შაირი

რაცა შეგეძლოს სვეულ მტკიცედ მსჯავრი ჭეჳე სამართლიანი,
 ამით დაიპყრა ჭეჳასა სმელეთი, ზღვანი წყლანისი.
 თემსა სიმშვიდე მიჭთენე, ვითა მზე ფერ-ნათლიანი,
 და ღმერთი მოგისპობს ჭმუნვასა, თუცა სარ თვალ-ცრემლიანი.

ხელმწიფემ ჭკითსა: სვაშიადის დაფარვა რა რივად უნდა, ანუ ვისგან სამსო? მან მოახსენა:

— ხელმწიფისა სვაშიადი მეტ-ნაკლები სარისსით არისო. ერთი რიგი თვით თავის გუნებასა შინა ფარულად დაიმარხოს, ესრეთ მალვით ჭჭონდეს, თვითვე ცოდნა არ ეგონოს, არამც თუ სხვასა ვისმე მისგანი აზრითაცა არ აღნობოსო. ერთსა ბრძენსა ამსხედ უთქვამს

შ ა ი რ ი:

რაცა სათქმელი არ არის, შეიკარ გულის ფიცართა,
 ესრე დამალე, მშარავი ვით იტყვის დასაფიცართა,
 თვითვე ეძებო, ვერ ჭპოო, სად გედვას ჭკის უმტკიცართა,
 და აღრე სანოჯრად სუ დასიდე აღვილად მოსაბიჭართა!

სხვა ესეა, რომე ორსა ანუ სამსა კაცსა მინდობის სარისსთა აღიყვანებენ და გაითვიებენ. რომელიმე უარეს-უკეთესობითა, ოთხნი-სეონიც იქმნებიან, მაგრამე ესე ბუნებით მტერობის სვაშიადი, რომელი გულისა მატეს, ოთხისა უურისა და ორის თავის მეტსა გამინაურება არ ეუკრება.— ხელმწიფემ რა ესე გვარის სიტყუანი მოისმინა, საწოლისაკენ წავიდა, და ქარშონა გეზირს უხმო, და დაჯდა და სიტყუა ჩამოუგდო. შირველი ესე ჭკითსა:

— ჩვენსა და ბუებს შუა მტე-რობის მიზევი რაჲა? მან მოახსენა:

— შირველად უძითა შინა ერთსა მადრანს მათი საწყენი უქმნია, და აწ ბუებსა იგი გულთა ჩასჭრია, ამისთვის გვემტერებიან, და დღესამდი მისი შირვი დაზოდ გულთა დაუძარხავითო. ფირ-უსამ ჭკითსა, რაკვარად უოფილასო?

ქარშონამ თქვა არავი

შირველად თქმულა: მიფრინველნი მოკრბენ და ერთად შეითქვენს, და ერ-

თი სელმწიფე გამოსარჩევლად მოინებეს, რათა წინა უძღოდეს და გააკებდეს, და ჩვენთა ცსკრებისა საქმეთა იგი იურვიდეს, და ჩვენ მისთა ბრძანებათა კემორ-ჩილებოდეთო, და თუცა მტერი სითმე აგვიინდეს, მისის ბრძოლისა მიზეზი გვაუწიოსო. მას თითომას თითო გვარი მივინველი აჯობინეს, და სხვათა მისის გზითა და გამოკვლეებით მოშალეს, ვირემ რიგი ბუსათვის ითქმოდა. ამას უმრავლესნი დაემოწმეს, და მისი გასელმწიფება დაასვენეს. ამას ჩვენსა ზედა რა გაცხადდენ, რომე მისი ბატონობა დაემტკიცოს, რომელთამე დაიწუნეს, და მათ შუა შოგთისა ცუცხლი აღგონა, და დაჯერების სიტყვა საზღვარსა გარდასცილდა და ჩსუბი საბრძოლისა მიჯნათა მიადგა. რომელთამე ბუს შეწევნისა დროშა აძარტეს, და სხვათა გამოარების ქვა შერდულით დაუშინეს. მერმელა დასავლეს და ესე პირობა დადგეს: ჰამა შემოკრებულთაგან გარეშე, სხვა კინმე მოსამართლე მოიყვანონ, და მისსა ნათქვამის დასჯერდენ, და ესე ცუდი შოგთი დააწყნარონ.

ამასობაში ერთი მალრანი შორით გამოხდა. ყოველმან მივინველმან სმა ჭევეს და თქვეს:

— ესე არცა ამათ კრებულთაგანია, და ჩვენებრ მივინველთა გვარია, და მას ვარსებინოთო. თუცა მრსკველთაგანი, სხვა-და-სხვისა ტომისანი, ერთსა სიტყვასა ზედა არ იდგენენ, ერთობის მოსავალი უერთ-პიროდ არ იქმნება, და არ მოისთვლება, და არცა რომლისა საგონებელი გაქვს, მისსა სასუსა ვერ გაიცდიო. რა მალრანი მათთანა მოვიდა, ყოველივე მათი ნარჩევი უამბეს, და მისგან მის საქმის უმჯობესისა გამოკვლევა მოითხოვეს. მალრანმა კერე უთხრა:

— ეგე საქმე შოგთისა მოგონების მომატეველებელი და უმსგავსო ვაჭრობადაო. ბუდ დიდობისა და მბრძანებულობისა რაჲ საუკერიაო? მას აუ-სასუსა და უივერსა ყოველთა სების მინდობა ვით ქქმნებისო!

უთხრა ლექსი

მუძლო, ფასუენჯის ადგილი საფრენლად რასთვის გწადია?
შენ შერცხვე, ჩვენ ვირჯებოდეთ—გვლავ აუგია, კვლადია!

მალლად მივინვაი ქორი, რომელი უხეპოესთა ჭაერთა არწივთა მეპირის-პირობს, და ერთმანეთსა ეჭადიან, სადა წარსრულა, ანუ რაჲ მოკვლინიაო? ანუ შეკნიერი ფარშამანგი, საოცრად სანასავი, რომელსა ვერა წალკოტი და ვვაკილოვანი ბიბინი მის ფრთა და ბოლოთა ვერ ედარება, რა ქმნილან? ანუ ბოლოკარკასი, რომელი მეფეთა თავთა სვე-ბედნიერობისა ჩრდილთა აყენებს, რომელსა მსარესა გაცვლიათ? მასუენჯი შუქ-განფილი, სასტიკისა ფრთისა სმისათა რომელი მათათა და კვლდთა სძრავს, სად დაფარულა? წე, თუძცა ყოველნი ახრავსნი მივინველნი მოწვევადილ იყენენ, თუცა უდონონი და ფრთე შემუსრვილნი აღარსად იპოვებოდეს, ესევე უმჯობესია, მივინველნი უსელმწიფოდ დასდკეთ, და ბუსა სამსახური სასიჩცხოდ თავთა არ დაიდვათ. რომე მას ცრემლის ბაერაფის სასედველსა შინა მოკლეს ჭკვისა არიან, ამისთვის მტერნი მათ მეტად ერკვიან.

მერმე, ესეც არის, მათსა უღონობასა კერ დაუტევებენ, და ქვეყანისა მანათობელსა და განმამბრწინებულსა დღესა ჰრიდებენ და ეშიშვიან. ესეცა უარესი და მხელი სწინსთ: სიხარული და სირცხვილი მათში გაურჩეველი და შეუტყობარია. ეგე საგონებელი დაუტევეთ, და მაცა საქმესა სულარ გაიცხადებთ, თქვენის საქმის საფუძველი სიბრძნის რჩევაზე დადევით, ჭკვის რიგი კანონთანი სულთ იხყარით, ყოვლისა მოსავლისა და საქონლისა გავებას რჩევის გრით იქმოდეთ, რომე უამ-ყოველ განსვენებით და ბედნიერად იყოთ. ჯერეთ თქვენ შეს მშვიდობის მეოფელი განიხროთ ესეთი, რომე პირ-მრთელი და ცოდნით სრული მისაღებელი იყოს, რაფცა საქმე მოგადგესთ და მოგინდესთ, სრულითა და მოსაწონებელის რჩევითა მისი მოურნეობა და გავება შექძლოს, მის ყურდგლის მსგავსად, რომელმა მთოვარის მოციქულებს იხემა რიგიანის განზრახვითა, თვისი გვარი და ტომი დიდსა ჭირსა მოამოკვა. ძვირნიველთა ჰვითსეს, როგორ ყოფილათ?

მადრანმა თქვა არაჯი

უთქვამსთ, წარბანდის კუნძულთა, სადა პილონი გვარობენ, ერთსა წელიწადსა არ იწვიან, ცვარისა დედამა სიმამლისი მუძოთაგან ერთითა წვეთითა მწყურკალსა მიწასა, აკვანთა მწოლარესა, ზაგე და პირი არ გაუსკულა, სმელის წლის ცეცხლის სასუდეველი, გულ-ჭკათა თვალთავით, ცრემლ შეშრობილად გასადა, სწრაფად მდენი რუები უბედურის ნდომა წადილივით გასიძო. ამისთვის პილონი, წყურვილის ტანჯვითა უღონო ქმნილნი, მათთა სულმწიფეთა ეკვანეს. მან ყოველსა მსარესა წყლისა საძებრად კაცნი გავსაჯან, რომე დიდის ცდითა და მრავლის ღონის-ძიებითა წყალი მოხასონ და ჰზოონ. მათ პილოთ საწადლის ცდითა და ნდომის ფერხითა მის თემის გარემო სრულებით გავომეს, ერთსა მდინარესა შეხვდენ, რომელსა სასულად მზის თვალი ეწოდა, (მას სპარსნი ნართათულად მთოვარის წყალს უწოდებ¹⁴⁰), ჭადიან ტყიანი, დიდი წყალი ჩადიოდა. ატნეს ამბავი, და პილონი მუნ მივიდნენ და მათი სიმრავლე წყალსა მუნ სპიდეს. იგი ადგილი ყურდგელთა სამეოფი იყო. რა მუნ პილონი მივიდნენ, ყურდგელნი დიდსა ჭირსა ჩაცვიდნენ: პილონი სულათა შინა ფერხითა დაადგომდენ, ესრე გასთქედნ, ძვალი და რბილი ადარ განჩეოდა, მათი გვამი მიწათა აღერეოდა.

ღ ე ქ ს ი

რა წყნარა წარვლი მინდოართა, ესე იქმნების კიცია,
რომ შესმა ცხენმა დათრგუნოს მათი თავები მტყიცია.

მათ პილოთ მოსვლითა მათ ყურდგელთაგანი მრავალნი უწყალოდ დაითრგუნს.

ტ ა ე ზ ი

რა გარდაგრებათ, კინლა დაწება, თუ ორჯულ-სამჯურ კიდეკ ბეწვევით?

¹⁴⁰ მთოვარის წყალს უხმობენ.

ეუბრდგელნი ერთობით ერთსა დღესა მათსა სულმოწივეს კართა მიადგენ, და მოასსენს:

— ქვეყნის მშეობელთაგან მართებულთა, საზრდალოთა მფარველნი და უღონოთა სულის ამშეობელნი იყოს. დალიტთა ჯდომს მოსამართლეობისა და მოურნეობისა გაგებულა, რომე ნადელისთა და მალ-დამართებულთა უღსინოს¹⁴¹.

მოასსენს ლექსი

მეუბრება მისთვის გავგო, საყდაროთა მჯდომარეობა,
შეტირებულთა ელხინოს, კრგოს, ვის სტირდეს მრეობა.

რადგან ხვენი მოურნე ბრძანდები, აწ გვეწვეუ და ჩვენსა შეტირებებსა უხვადი-
ნი, ჩვენისა ესოდენისა ტანჯვისა საზასუხო გზა განასივე. აჭა, ივინი ადრე შე-
მოიჭტვიან, და რადცა სასუგარ მკვდაწნი მათ იყრთთა გარდაწნომითა, აწ მათცა
დასტკეპნიან და სულისა განაშორებენო.

თქვეს ლექსი

ერთსელ გვინსეს, სულ მიგვიდეს ტყუა, ცნობა, გონებისნი,
აწ ამასცა მიგვტაცებენ, გაქვსდა სულთა ქონებისნი.

სულმოწივემ უბრძანა: ესე კერე ცოტა რამე საქმე არ არის; სინჭარბი-
თა და სისწრაფითა კვდაწნეთ გამება შეკიდლოთ! რომელიცა თქვენში. მეცნიერი
ვინმე იყოს, მოვიდეს, რომე რსკვისა გზები მოვსასოთ. ალაღება და კერე მათი
შემართება ტკვისაგან საქმისელი არ არის, სიბრძნისა და სულაჯნების მეტი
ლონე არა დაიდებაო.

ბრძანს ლექსი

სიბრძნით მდიდანისი, ცნობილნი, ტყუითა გარდამტარებნი,
ურსიკულად არას იქმონენ განსწრასკათ შემასარბენი.

მათ შინა გონიერი და მეცნიერი ყურდგელი იყო, სასულად ბეირუზ ეწო-
და. მათსელ მას ტკვა, ცოდნა და განსწრასკათა გაგონება სამეტნაჯი ტქონდა.
რას ამ საქმესელ მათი სულმოწივე შეტმუნებული ნასა, მიეასლა და მოასსენს

შ ა ი რ ი:

მეივსა თვისთა მონათა წრუნეს აქვს სასუდგნარისა,
წესია, მართებს გამართვა მიდრეკილ-მიმცლარისა,
მოალსენა შეტირებულთა, სუტეში გულ დამტანარისა,
და სიტყვა განტყუენებს, მოალსენს შესემენს საუბნარისა.

თუცა აჯობინებთ, ზილობითან მე დესჰასად გამგზავნეთ, და ერთი მისინდო-
ბელი ვატი თან გამატანეთ, და რადცა მე ვქმნა და კოქვა, მოისმინოს და კერე
ქმნას. სულმოწივემ უბრძანა:

— შენი მიუნდობლობა და უშირობა ჩვენ არ გვასმია, და არცა შენი სი-

¹⁴¹ ვარინტი: მალ-დამართებულთა ე ლ ხ ი ნ ო ს.

მუსთაფე ვისმე უნახავს. შენი სწორი ბუნება და ერთგულობა გვიტყობს და დაგვი-
რწმუნებია.

უთხრა ლექსი

შენის საქმისა სასენი მისია, გამიჩნევია,
ვიდონტა ოქრო-საცნობლად გარჩევით გამიჩნევია.

საბუნდორო გზა წარგეძარტოს, და რაღაც საქმიანობა და სულ-გამომავლო-
ბა გაჭეს, ეცადე შენ, სელმწიფეთ დესპანი. დესპანთა ენა, სელმწიფის კეთილი გუ-
ლის წერილის საიდუმლოს ცნობა მისგან გაგზავნილის სიკეთისაგან გამოსად-
დების, ამისთვის რომ, თუ დესპანისა რა ერთი ცოდნა-მეცნიერება გამოჩნდება,
და კეთილსა საქმესა და სწორესა გზასა დაუნახვენ, სელმწიფეთ გავებისა, კა-
მორჩილისა და ცოდნის თანა-ზიარის შეიქმნება; თუ არა, და დესპანი ცოდნა
ნაკლები და აჩქარებელი ნახეს, ბოროტის კაცისა ენა სელმწიფეზედ აღიმკრის,
ზრახვას და გმობასა დაუწყებენ. მეცნიერთ ამისთვის მრავალი რამ უთქვამსთ,
და მტკიცედ უწუროთათ და აღრიცხვით არაკები მოუყვანიათ. რომელსა ერთსა
ადგილსა დესპანისა გაგზავნა კენებოსთ, მეცნიერი და გვარისანი, და მათგან უმე-
ტეს, სიტყვა მარჯვე, გამოსინჯავი და სიტყვის მეშასუსე იყოს. ზირველნი
მეფენი გამოჩნეულსა ფილანთოფოსსა გაგზავნიდენ დესპანად. ალექსანდრე შაკე-
დონელი თვისსა სამოსელსა შეიტყვლიდა და, უმრავლესად, თვით წავიდოდა და
იტყოდა.

ლ ე ქ ს ი :

ჯიჭი და ლომი ძლიერი, მონადირე და მარები,
თვითვე დადიან დესპანად, სიტყვა აქვთ არ საქმარები.

ერთსა ბრძენსა დესპანის გაგზავნისათვის უბრძანებია:

თქვა ჩანრუხაული

ხამს მოციქული ბრძენი და სრული, სიტყვა რჩეული, გულ-კმირი, ქველი,
ჭიოთხან სასენი მეშასუსენი, სხათ მოსაწონი, საქციელ ძველი;
მტერთა შემრიგე, ავთა გამრიგე... ეს შენგან მიხდა, აგრევე ველი,
და არ სიტყვა მცდარი, არიოს ჯარი, თემთ მარხარი, კით ჯარი გველი.

ბერუზამ მოახსენა: (ჲე, სელმწიფეო! თურც მე დესპანთა რიგი რაღ მალ-
მიცს, ვიცი, მაგრამე ქვეუნი მთვარულს თქვენს მოწყვლებს. ვეკადრები, თვისი-
სა სიბრძნისა სეიურთაგან დაუფასებელის მარგალიტის ამოღება ბრძანოს, მეც-
ნიერების ძაფთა შეწეობით დააცვას, რომე მე იგი მის დროს სამეფულად მო-
ლასა გონება ცოდნისა ანდაზადცა ვერ მისწვდებოდა¹⁹⁴, მისის სიმღერის კარგ უსუ-
ლობის სეფურმა ყოველი ყურე ახესო.

შ ა ი რ ი

გულის მოსტაცებდის ცნობასა მისი სიმღერა მსცოვანსა,
განცხრომით მოაღსინებდა კაცთა გულ-ჭკა ქმნილს, გლდოვანსა,
სქენითა ძლი მთუდის გმიოსაცა მას გულვანსა,
და მგლოვიარესა მისცემდა სისარულს დიდ-დიდროვანსა!

ხელმწიფე რა მის მონისა ესეთსა სმოკანებასა გაეწყო, მწყალობელი შუე-
ქმნა და კეთილსა ადგილსა დააყენა, რომე მასლობელი და შინა უმა შეიქმნა
და ამოთა სმებითა ხელმწიფეს შეაქცევდა. მას მგოსანსა მისი ესეთი შური ხაუ-
ჭარდა, ღაზოდ ოფელი სდიოდა, იმუსთლა და იგი მისი გაწკრთილი მონა მღ-
კლასა. რა ხელმწიფეს მოესსენა, გარისსდა და მგოსანისა თრეკით მოღება ბრძა-
ნა. რა მოიყვანეს, შერისსა და უთხრა:

— არა იცოდია, მე ღსინი მიყარდა და ჩემსა ღსინისა რაი რიგი რამ გაე-
წეობოდა: ერთი ნადიმში მკვრელისაგან, და მეორე თავის წინაობაში მუტრობო-
ბისაგან? აწე შენ რაჲ ესეთი გაწყინე, ჩემი შინა მონა მომეგალ და ჩემი ნახე-
კარ ღსინი გააცუდე? აწე პბრძანებ: რომელიცა სასმელი შენ მონას ჩემსა შესვი,
მისთანავე გასვან შენცა, რომე გვლად ესეთსა მოსაგონსა ხელი არავინ ქეოსო
მგოსანმა ხელმწიფის რისხვასა. სუდა ერთი სიმღერა მოგოვან და თქვა:

— ხელმწიფე, ვსტადე, თქვენ ნახევარი ღსინი გაგაცუდე, მაგრამ თუცა აწე მე
მომეგალ, ორივე ღსინი სრულებით გავიცუდდებისო. — ხელმწიფეს ეს სიტყვა მოე-
წონა, მიუტევა და სიკვდილისაგან განათავისუფლდა.

ამა არავისა წადილი ესე აწეს: ჩემის ღსინისა ნახევარი ჩემს შვილისა-
თვის მომშლია, და ნახევარს შენ რომი გასაურგელს საკრავსა ქვრავ, ქვრავს რომე
ჩემის იმედის ღურვის ჩანგის მოყავსად მოსდრევე, და ნაღვლით მოშლილს გულ-
სა შურის ფრჩხილითა უღსავით ფსავა-ფხვეს დააწყებინებ, და სსქმის დასა-
სრულად უნებური სიკვდილი ჩემი გწადიან. აწე შემიწყელე და გაურვილობის რდო-
მა დაუტევეო.

¹⁹⁴ ვარიანტი: ანდაზადცა ვერ მისწვდებოდა.

უთხრა შაირა

შენ რას ისწრაფი გაყრას, ამ ჩემს მოშორებას?

იცი, უსინო სოფელი მალე მოგვივლენს კებას!

წინ დაჩნსენ მისკან მოყვასნი მოშორებულად სლებას,

და ჩვენ ადრე გავკურის, დავესწრათ ამ ცუდას მიდ-მოდებას!

ჩარამ უთხრა: რისხვა გულისა დაჩანთა ქვეშე იმაღლის, შური მკერდისა გუთსთა იფარების, რომე მისი ცნობა არავის ძალ-უცს, და რასაცა ეს იტყვის მის ზედ კერ დადგება.

უთხრა ლექსი

გულის განწინსვა გულმავე იცის და ემოწმებან,

ენა და ბაგე შორს ასლავს, არც იცის, ვერცა სწავდებან!

შენი ენა რომელსაცა იტყვის, მის გული არ ემოწმება, და რააცა შენს გულთა შინა დაფარულ არს, შენი ენა მის არ აცხადებსო!

უთხრა ტყეში

ჩინსამცა მოსკამს მის ასი სული, ვისცა სწორე აქვს ენა და გული!

ხელმოიფეკ, შენისა სიმაღლისა შიშის მართლობით ვიცნობ, და შენისა მრისხანეობისა რიდისა ამავე ყოველივე მკვს; ვერადეს შიშისა შენისაგან შუბით ვერ დავდგები, გულსა ჩემსა შენისა წყრომისა მოლოდინისაგან ვერ დაკაწნარებ. მე იგი არა ვარ, რომელსა მკურნალი ეტყოდ: შენ თვალის წამალი უფროსად გარგებს; ვირემ მუცლის წამალიო! — ხელმოიფეკ ჰკითხა, როგორ უფიქრობ?

ჩარამ თქვა არაკა

ერთი ვატი, მუცლის ტკივილისაგან შედინებულად, მკურნალის მივიდა. ეს-რე მწარედ სტიროდა, მიწასედ ჰტოვოდა და ტკივილის მეტრობითა მწარედ სტიროდა, წამალსა სთხოვდა.

და ეტყოდა ტყეშსა:

ეჭა, მკურნალო! მარტე რა, სულთა სიკვდილი მომერა!

ზირველად მკურნალნი მათის რიგითა და განონითა რა სნეულსა იზიდევენ, კითხვასა აუხსნიან სნეულობისა ცნობისთვის, და მერძელა მარგებელსა ღონის ძიების მიზნითა შეუდგებიან და ეგრე სელ-ჭეოფენ წამლობად. ესეთისა წესითა გამოჰკითხა ტკივილელსა:

— დღეს რაა ჰქმადი ვიგემებიაო? მან კანცა უთხრა:

— ერთი ნაკვეთი დამწვარი ჰური ვქამე, და მის უკან მტირითა ხემსითა ბუნების თონე გავასურვეო. — მკურნალმა ერთსა ყრმასა თვალის სინათლის მომძატებელისა თუთიის მოღება უბრძანა, მის კაცისა თვალისა გამოაღვა, და მან თქვა.

ღ ე ქ ს ი :

რას მხუძობების, მკურნალო, რა ღაღობისა დრონია, სული უიათა მომსულია, სიკვდილი საადრონია!..

მეურნალო, ღიზლობა დატრეკე, მუცელი მაჭირებს და შენ თუთია სპე-
კალსა თვალთა მყვრია, თვალის წამალი მუცელს რას არკებსო! მეურნალმა უთხრა:

— მე ესე მწადს, თვალთა ნატული გემატოს, რათა შავი და თეთრი გაარ-
ხიო, რომ კვლავ დამწვარი ზური ადარა სჭამო.

ჩემი ნდობა და წადილი ამა არაკითა ესეა, რომე ხელმწიფეს მე მისთანა
გაუგებელი არ ვეკონო—დამწვარი და დაუწვარი ვერ ვიცნა, და მგზარი და უმგ-
ზარი ვერ გავარჩიო!

უთხრა ლექსი

მადლი ღმერთსა, რინ ესდენი მომცა სიბრძნე, გამოკვლევა,
აგ-გარგისა შეტყობისა გარჩევა და მართლ წაკვლევა!

ხელმწიფემ უბრძანა: რაცა მე და შენს შუა ჩამოკარდა, მრავალთა მოყვა-
რულთა შიგა ესეთისა უძნელესი მრავალ გზის ქმნილსა, მაგრამე მართებული არ
არის, ბოლომდე სრულიად გარდაიკუთოს და მტერობა გაძლიეროს, და ჩხუბი
და ბრძოლა გაანძიროს. რომელიც ჭკუის გზით განათლებული და შემეუღია,
რადგან ძალ-უცს შფოთისა დაწინაურებასა ეტყობის და გულ-კეთილობისა წყალსა
გულ-პილწობისა ცეცხლსა ზედა დასხმენ.

უთხრა მრჩობლედი

ნუ აზრობ, აუცს არ გაწევი სასირცხოდ მისახენელად,
გულის წყრომისა მოთმენა მადლს მოგცემს მოსაფენელად.
რისხვა მესისა ელვას, კაცთა გამლევი წარითა,
რისხვა ზღვას მიჭტავს დამნთქმელსა სიკვდილის შესაწარითა.
მშვიდი ზღვის ზღვარგონია, მუქმრღვეველი ღვარითა,
ანას გაიარეს ღნიოშსა, მოწვიმდეს სშირად ბღვარითა!

ჭარბად უთხრა: ესე გამოცხადებულად უარაკებითა, რომელიცა ადვილად
რასმე იწეებს, ძნელად იჭმს. ესე საქმე დია ძნელია და ადვილად ნუ მივიჩნევთ.
მე ამა ძნელსა საქმესა საადვილოდ ვერ ვიზურებ, მე ჩემი ცხოვრება მოთამაშედ
ნარდის მღერისა კამათლის ჭკრუტით დამიღამებია, ჩემი სხვა-და-სხვა რიგი
დროები ამა თვალთ-მაქცის სოფლის საკვირულობაზედ გარდამიგია; გამოცდი-
ლობის საკეთილო საგზალი მეცნიერობის გზით შემოიკრება, სწავლის ცოდნი-
თა გამოცხადების სათაუნო მრავლად მისარებლებია; ესე ჭკმშარითად მიცნია —
სიბოროტის ნდობის ნაბერწყალი ჰუმნისა სიძირკველსა დასწავეს, და სიდიდის
სიღაღის ნემსი უდიერობის ძაფითა ურცხვად სიკეთის თვალსა ამოჭკერავს; ნა-
დირთ ხელმწიფე ღამი მიღმა რომ საშიშრად გუდსა ადვილსა სცემდეს, მელსა
განცხრომის საღისი მოუშლებს. მე ესე მივობს, ჩემი თავი ყურდგელსავეთ
ძილსა შინა არ ჩავგდო და, ვეფხის რისხვისა შემინებულს ჭურციკით, ტრან-
მალთა ველთა გაკრბოდე. სუსტი მტერი ძლიერს მებრძოლსა ვერ გაუმკლავდება,
რადგანდაც მას ერთსა ხელმწიფეს მისის მტრისათვის ესეთს საქმეზედ ერთი
არაკი უთქვამს.— ხელმწიფემ ჭკითხა, რაგორ უოფილა?

ჭარბი თქვა აჩუკი

უთქვამთ, თურქისტანის თემის ერთი ხელმწიფე იყო, სწოებრ ამდღე-
ბული, უსვი, მშვიდი და უამსხსავო. მას მისის სიბრძნის წრდილი სმელეთს
ზუდა გარდაეფინა, მისი ფასეუნიჟსავით ამდღეული და ჭებული ბავრუი ზეცის
წაღკოტის ფარშამსგის ბუღეთა შინა გაეტარებინა, და მისის სიკეთის სასე-
ლოვნება ჭეკუნის ძეგარეულობის საჭმეებზე მეტითა მხერობელობითა დაემშვიდა, და
აღრსავი უმეტესი აქენდა მისსა უზომოსა ცოდნსა, და ხელმწიფეობის წესთა
მცდელობის შირითა აღასრულებდა.

რეული

მეფე მალაღი, კეთილ სვიანი, მსჯავრის მოუკარე, სამართლიანი,
ცნობა კეთილი, მეტად ჭკვიანი, სიბრძნე უფსკრული, ყოვლად გვიანი,
დალიტ მჟდომელი განგებანი, გვირგვინოსანი, შუქ სათლიანი,
და სმელთა მხერობელი, საქმე გვიანი, კიდის კიდემდე სასულიანი!

ერთსა მისსა გამგებელსა გულთა შიგა საგონებელი რამე დაეთესა, და ხელმწი-
ფისა სამსახურსა ზურგი ადრია და მისთა მტერთაგანსა ერთსა ხელმწიფესა
ებირა, აშლასა და ბრძოლასა ზუდა შეაკულიანა. რა მან დიდმან ხელმწიფემი მი-
სის მტრის მორჩილების გვის გარდაქცევა სცნა, თქვა:

— ცოდვისა მწვეველსა ეშმასა მისის სარწმუნოების სიმტკიცესა შიგა გზა
უზოკიანი, და მდუღარესა გულითა უმბარი შავი ნაღველრ თაზობისა და დიდობის
პოვნასა გაპირებია და მით თავში წევა დაუწყიაო. ამისთვის საწვრთელი, ხელმწი-
ფური სწავლისა ერთი ჰატრუცავი მისწერა, მაცრამ მან ამხარტავანმა მტერმა მე-
ტის სილადით მისის შეგონებისა უსტარსა უური თოკითა მოიხიდანა და თვის-
სა ლაშქარსა შეურია და თან დაიდგინა.

ლექსი

შემოკრიბნა ნიჯადნი, აჭა-იჭ დანაგროები,
რამის დღისათვის აღაფთა შემგრებნი, მალ მასობი.

რა ესე საქმე ხელმწიფემი სცნა, თვის სიმშვიდის ნოშთაროთი რადგან მათს
სრულიად გარდაქცეულს გულსა პერლარასა არკებდა და არცაღა გასწორდებოდა,
ესრეთ შეუთვალა:

— მე და შენი საქმე ჭიქასა და ჭვას ჰგავს. თურცა ჭვა ჭიქასა ეცა, ანუ
ჭიქა ჭვას დაჰგავს, ორგვისევე ჭიქა დაილეწება, ჭვა უნებულად დადგებაო!

ამა არავისა სარგებელი ესე არს, ხელმწიფის გონება განთლდა. მეცა ჭი-
რისა მსგავსი ვარ, და ხელმწიფეობის რისხვა ჭვის უმაგრესია და მტრის გამტე-
ხელი, მისი შეურა და შესება მე არა შემოძლიაო.

უთხრა შიარი

რკინისა გულსა ფიცხელსა, გეგელად განშენებულსა.
გულთა, ნუ შეესთქები მას უნებურად ნებულსა:
შენ ჭიქა სარ და არ ჰგავსარ გრდემლსა მას ხელოვნებულსა,
და წამს შემოუსრვი, ინჭითად რნება გეტემის ენებულსა!

ხელმოიხე მონაწილეების სახეს მხევენებს და ეს ნებას, მიზეზის საფუძველითა გველეშისა მითური ნაღველი დააცხროს, მაგრამ ჭკვის გზებში ბოდიშისათვის მიუღას და მიზეზის გაუსინჯავად დეჰერებს უგზო და უგვანაო, და კანთა შორის რა საჩხელი შეიქმნება და სიკვდილის სახე გამოჩნდება, კარძმისა და ამოროს სიტუვის თქმა გულ-ძვირობის გზა არისო.

უთხრა შაირი

ძველად ანდერიძე მისმა ბრძენთაგან საერთხელა:
«მეწივე გავრძალვა, მტერისა ცნობა არ დასათხელია,
რავში დალატსა სეღვიდე, დაწავდე რა სახელია,
და ნურც მოღორდები, ნურც სარ მინდობის გამტეხელია»

ხელმოიხე უბრძანა: ეჭვით მეგობრობის მოკვეთა და მოყვების გაშვება მამცთა წესი არ არის. შიშისაგან საწყისანი კიდეც გამოჩნდეს რამე, ამხანაგობის გაერთიან დასაწყავი ცუცხლი არ უნდა აღგზნან. მგვიდრი მეგობრისა და მოალერსისა ცრუტას საქმისათვის სრულიად გარდაცდება და მოყვასთ სიყვარულის ცუცხად ხელიდამ გაშვება სამართლის გზას¹⁹⁵ არა შექნის.

უთხრა შაირი

უბირა ვინმე ყოფილხარ, მუხთალი, მეტად დადარი,
სიყვარულისა მკვეხელი, მეშურნობისა სადარი!
შენსავე სიტყვას აწნია შენი გობება სად არი,
და გულ-ჭკაო, რასაც იტყოდი ცრუ იყო, დასაქადარი!

ძაღლსა კერა სედავა, თუ ვითა ერთი პირი და ერთგულია, ყოველთა პირუტყვთა უდარესი და უუზატიურესი, და იგი ვითარ იქცევა? და შენ ორგულობისა ასპარეზიდან იყრისს უგან არ უგუსდგამ, და რომელიც ჰემანნი და სიყვარული ხემთანა შეგიტვიცნება, მას თავსა იცილვებო.

უთხრა ცაქვი

კაცი სამს სწორე გზიანი, გულ მრთელი, ჰემანანი!

ჭარბი მოასხენა: ხემგან ერთ-პირობის საფუძველი ვით დაიდების, რადგან შენში ვაჭილობის სვეტნი სრულიად წაქცეულან და სრულობით პირობის ნიშანი არა ჩანს? ამასში საეჭვი არ არის, რომე ხელმოიხე მისი გულის წერობა მოითმინოს, მის მიუქავასა არა ეცადოს, რადგან აწ ხემზე არცა ძალითა და არცა ღონის ძიებითა ხელი არ მიუწვდების. ესე ნებას, მე სრავითა და ესე ტვობლობითა მომცდუნოს და შურის ძიებისათვის ჰვე ჩამომიტყუროსო. ხემგან თქვენი შიში მართებელია, რადგან შურის ხელმოიხეის გულსა შინა დაუსადგურებია. ხელმოიხეობის ზვაობა სანაცვლოს მიგებას მეცადინობს, რომელსაც დამსხელებს და დროს დაიცემს, აღარას გვიითა სიტუვისა წართქმადცა აღარ მაცადებენ. რისთვისა ცუცხლი მიტეუებისა გულსა დააჭნობს, და რაგინდ ამ გულძვი-

¹⁹⁵ ვარინტი: სიმართლის გზასა

რბობის საქმე ვკმობსაწინელად არა ეწადოს, ნოტა ვინილს რამე გააძრუდა, იგი პირველი ნაწყენი ანთების, და შურისა ალი აძლედების და ერთსა თემსა ლერწმისაგურ მოსწავკს, და იგირის სსენების კვამლი რადგან დასოდ აღვსებულა, მრავალთა სოარსი აღმოუხმია და მრავალი თვალი ცრემლ-მდინარე შეუქმნიაო. ესე სააზრობა, თუცა შურის ცეცხლისაგან ერთიცა ნაბერწყალი გულის ლითონთა დაჩნა, მერმე რისხვისა აღისა ზიანისაგან მშვიდობა მე კვლარა სადა ვიპოვნოა.

უთხრა ტაემი

ოდეს აძლელდა შურისა ალი, ნედლსა და ხმელსა დამართა ძალი.

ხელმწიფემ უბრანა: ესე დიდად მიკვირანს, ერთსა საქმესა ზედა დამდგარსარსარ და მეორე დაგიტოვებია! რასათვის არა იქმნების რისხვა მოწყალეებანდ შეიცვალოს, და ორგულებისა შემდგომად ერთგულობისა შეკნეირება გამოჩნდესო? ჭარომ უთხრა:

— თუცა ვინმე ეკეთი იპოვებოდეს, ორისავე მსრითა დაზავებასა შიგა სრული სიუკარული მოჭსდებოდეს და შერიგებით და მოყვრობით უზიანო საწადელი აღესრულებოდეს, და შეებითა და მშვიდობით მოთავსდებოდენ მათდა სსარგებლად და ავის კეთილად შეცვლისათვის; მართებულა, რომე ეკეთი საქმნელი იქმნას, და თუცა მათი შური მათგან გაწმდებოდეს, და მსიარულითა გულისთა ყოველსავე ზაკვასა და სერსსა გააძებენ და მშვიდობის ნიათთა ამაღ დაწყნარდებინან, დია კარგი იქმნების. მაგრამე მე ამათგანსა კერცა ერთსა ვსუდავ, რადგან თქვენსა და ჩემსა შუა არცა ერთისა ზავისა ვსა არ არის. მე თქვენსა სამსახურთა შიგა მამ რაღად მოვიქტე, წამ-და-წუთ შიშსა და კრძალვასა შინა უნდა ვიმყოფებოდე, უამითი უამად სიკვილსა უნდა ველოდებოდე! მაშე ამისი მგულებული არა განსლო და შორს წავიდე იგი უმჯობესიაო.

უთხრა ლექსი

თუცა ბედისა ხისაგან აჭყვავდეს შუერის ვარდია,
გაყრავე მიჯობს კელთა ვლა, სად ქატვია და ბარდია.

ხელმწიფემ უბრანა: ღუთის უნებურად ზიანი და სარგები არავის შეუძლია, დიდნი და მცირენი, მადალნი და მდაბალნი და ყოველივე დაბადებულნი მისის განგებით არიან! აგრევე ჩემისა ძისა ბოძებაცა მისგან იქმნა, და დაბრძობაცა ყოველივე განგებამა მოილო. აწ შენცა მზერობელთა ნუ წინა აღუდგები, მისგან მოკლინებულს საქმესა ნუ კრიდები, მისსა მოქმედებულსა დასჯერდიაო.

უთხრა შაირი

განგებასა სად წაუსვალ, მიკვირს, რადმცა კრიდები?
«მოთმენა სამს განსაცდელთა» ამს ხმობუნ კრი, დები,
მოდი, ყოლე ნუ გეშინის, ქალთა ნუ გთნავს ე რიდები,
და კერ გაქტე მოსავალსა, ოდენ მანდაც კერ იდები!

ჭარომ მოახსენა: ეგ მართალია, დაბადებულს დამბადებულის განგების შეკადება არ შეუძლია, მაგრამ ღუთის განგების მოსავალი სსუაა და სოფლის ვი-

თარბათნ სხვადა: სოფლისა მისავალს გაკრძალვა უნდა და ღვთის განგება-
სკად სიტყვა არავისა აქვსა!

უთხრა ლექსი

ვინ ჰქვია მეგობრს ჭურჭელმან «რად შეძქენ ესრე ცუდები?»
ან შემოქმედსა ვინ ჰკადრა განგების გასამრუდები?

დიდთა ბრძენთა ამ სსქმეზედ გული დაუფერებიათ და არცა ვინ ამს იტ-
ვეის, რომე შიშისა და კრძალვისაგან ხელი აიღონ, რომე სოფლისა სსცდურო-
სა და ბოროტის სსქმისთვის თავს არ გაუფრთხილდენ, და ჭირთა და ტან-
ჯვათა არ მოერიდნენ, და ესე უმეტეს დაუმტვიცებიათ, ყოველს სასმარს ეცადონ,
და შეძქეთა ჰბტივისა უყოფდენ, და ბოროტისაგან განრომას აქმნოდენ, და ყოვე-
ლივე სსქმე თვისი ღმერთსა მიანდონა.

უთხრა მრჩობლედი

წესად განგებით დაუსხამთ წრთელთა გზასუდა მავალთა,
ვინც მოქეხნობს ცას ქვეშე მას სათხრკველსა მრავალთა,
რომელი მიზეზს მოისვამს, მას ვერ მიხვდები შენაო,
ამად გსურს ესე სოფელი, არ ძალ-გიცს სილვად ზენაო.
სარჩლის მიზეზით შეგრულ ხარ, სახლვარს ნუ გაეშორები,
მიზეზის მქნელის გარდასვლას არ შეგივიდეს ჭორობი.

გელავ უთქვამთ: რომელსადა სსქმესა ღმერთზედ მიაგდებ, იგი უზბტიონ-
ნესიაო.

თქვა ტაეში

მინდობა ღვთისა შემუსრავს ამზარტავნთა ძვალბთა.

ხელმწიფემ უბრძნა: ჩემისა სიტყვისა თავი და ბოლო ამის მეტი არა არის
რა. მე შენის ერთობის მნდომელი ვარ და შენთა ალერსთა შეთვისებული, ჩემთა
საწადელთა ნამეტანავად სასიხარულოდ მიანინარ. მე უცხოად სასურველად მიუვარ-
ხარ, და შენ ჩემის სიმძულვარის მეტი არა გიჩანს რაო!

უთხრა შაირო

შენ ამას ცდილობ, შევწუსდე, მოწყენა მომცე მე რითა,
მე მონატრე ვარ—შენ გახლდე განცხრობითა და მღერითა...
გული, გულს შენაწებარი, კაცმან ვერ განსნას ვერითა,
და ბოლოდ იგიცა მოშორდეს ზე განგებისა წერითა!

ჭარომ მოახსენა: შენი სანატრელი ეს არის; ჩემისა სისხლისა სმის სიმ-
თვრალითა შენი გული გამხიარულა, მაგრამ აწ ესე ვიცი, გულსა ჩემსა სიკვდი-
ლის სასმლის სმის ნება არა აქვს, და არცა გაცუდების საძოლვის შემოსა ნუ-
ბავს. ვირე საწადლის სათაგნო ხელთა აქვს, ეკეთსა სსქმესა არ მოვიწებ და
თქვენის ახლო ყოფისაგან განშორდება უმჯობესიაო.

თქვა ტაეში

ცანსკად თავს ვინღა მომბამს, ფესვი არა აქვს სასურვო.

მე ჩემი სვინიდილი თქვენს მორიდებასა და მოშორებასა მასწავლის. რად-
გან მე სელმწიფე შვილის სიკვდილის მტდელი ვარ, მასა სელმწიფესაცა მისი
მის ნაღვლის გამო ჩემის სიკვდილის მეტი არა ნებავს რაო! გულ-წყლულის კა-
ცის გულის სიტყვას ეკეთი კაცი სცნობს, რომელსაცა მისთანავე ურვისა ტუც-
სლითა მისი სტომაჟი დაძვარ იყოს და მისივე მსგავსი სიმწარის სსსმელი
ესვას. გასწავნებით მოსარსლენი ესეთისა საქმისა უმეტარნი არიან, და შუებასა
მყოფი და ნუბიერად ზრდილნი ვაგების სამოსლის გამოუცდელნი არიანო.

უთხრა ლექსი

ფერსთა კვალთა ნახობთა ამავე ოდეს გსმენია,
ლომთა ჭახუეთა ხაგრავი, თავს სმალი არ დაგსენიან.

ჩემის გონებისა თვალთა ვხედავ, რა სელმწიფეს მისის მის დაბრძანება
მთავრდების და მე ჩემის თვალის ჩინი მომესურება, ორთავე ცნობა მიგველება,
გული ჰიარსა სხვა-და-სხვა ფერსა უჩვენებს; ამით თქვენი წადილი რა არის შეი-
გება, და რომელიცა ზრუნვას რას ამბავს წარმოიტყვის, მისი სსსე გამოჩნდება, —
ამისთვის ჩვენი გაყრა უფროვე მართებულა, ერთად ყოფასაო.

უთხრა ტყავი

უკვანს ალერსსა გაურა სჯობს, — არსსტოტელის თქმულია.

სელმწიფემ უბრძანა: კაცისაგან რა უქმნელი საქმეა მოყვარეს შენცოდარი
შეუნდოს, მრისხანება და ზერი განაგდოს. ბრძენსა და ქველთა კაცთა წესი ნია-
დავ ეს არის, დანაშაული და შეცოდება ესრეთ სამს მიუტეოს, რომე მისთან-
ან არცაღა თუ ქმნილ იყოს, და არცაღა მისის გულის ფიცართა მისის სსსის
ნიშანი სხვათაცა ოდენ ადარ ამოაჩინოს. რა რიგადაც ცოდვის აღთქმით ბორო-
ტის მოქმედზე სულის შიშითა ავი საქმე მოიკეთოს, ატრევე კაცის სიავე იგი
არს, სიბოროტე და შური არ განიშინდოს, ავისათვის ავი მიავდოს, ზაჟვას გონებ-
დამ არ ამოიღოს. ჩემი გონება ამას უოკელსა ზედა გაწმედვლით: რისსვა,
წყრომა და მძლავრება ღსინად და მოწყალებად შემიცვალვითა, შურის გება ჩემ-
სა სავონებელსა შიგა ადარ იპოვებინ; წამ-და-წუთ მიტეება და შენდობა შურსა
და დასობაზე განდამიტეობა, ესეც კიცა, რაზომ შეცოდება დიდი იყოს, მი-
სი მიტეება მისგან უნამეტნავეაო.

უთხრა შიარი

თუ უდარესმა შესცოდოს უაღრესს წყენს დიდები,
უფროსისა მართებს იტვირთოს სამხელად სსაჯიდები,
დიდნი შეუნდოს ცოდვანი, ჭკვისაგან დასარიდები
და მას ექმნას მისსა სუთვევად, სახელად ასაზიდებო.

ჭარამ მოასსენა: მშვიდობის მყოფელი სული ეგრეა, მაგრამ მე დიდი და-
ნაშაული მიცხ, და დანაშავე მიწუი მხშიმარი იქმნების: ჩემი საქმე მის კაცთ-
სა არავსა ჭკავს, რომელსა ტერფი დაწყლულებული ჭქონდეს, თვისის გულის
მძლავრებითა არა შეეპოვოს და დამე ბნელთა ქვანათა იარებოდეს. ამას წყლუ-

ლი გაუძნელდეს, ფერსი სკლისაგან უხმარი შეექმნას და რბილს კორდზედაც ფერსის დადგას კვლავ შეიძლოს! ჩემი სელმწიფის საშინაურში ახლა ყოფა ესე გვანი იქმნების, სჯულმიაც და სჯულის მდებელთაგანც განწყობულის, ამისგან კიდე უიფროსად მოგერიდო და გავემორო. ბრძენთა უთქვამით—სამ სახენი გინი სიბრძნის დატვთა შინა არა ითქმის და ცოდნისა გზისაგან შეცდომილანო: პირველი თვისის თავისა და ღონის მიხედობილი; ესეთა კაცი ნიადაც ფათურაში და ტირში თავსა ჩაიდებს და სილადით სიკვდილსა მოატყუებს; მეორე იგი, რომელი სმისა და ჭმისა რიგი არ იცოდეს და ნაყროვნებით კვლავ მოინელოს, დასწეულდება და თავის თავსა თვითან მტერი შეექმნების; მესამე კაცი, რომელი მტრის სიტყვითა და ღიქითა და ქაღებითა თავსა აუღალდეს, და ვისგანაც კეთილსა არ ელის მისგან მოლოდინს, მისის საქმის ბოლო დასასახებლად დაეპტივების.

უთხრა ლექსი

ნუ მოლოდინი მტრისა ენა ფლიდისა ძლითა,
გონება სსვის გზით მიმართე სიდავე იცხენძალით!

სელმწიფემ უბრძნა: ჭე, ჭაროკ, რამდენჯერ წყალობის კართა გავიხვამ და კეთილის გზითა მოყვრობისა ანდერითა გიანდერებ, შენ კერვე გულ-ჭაობასა სედა დამყარებულ ხარ და ანდერძის დაჯერებისაგან კალთა დაგაბერტყია. ერთმა კაცმა რომ ანდერძი არ მოისმინოს, მისი სუბანი უსარგებლოა, რაგვარადაც მან მოღვაწემ მგელსა ანდერძი დაუგდო. ჭარომ ჭკითსა, როგორ ყოფილან?

სელმწიფემ თქვა არაკი

უთქვამთ, ერთი მოღვაწე პატროსანი, კეთილ-მოქმედი, რომელი არას ყამს ღოტვასა და სწავლას გარდა არა რასა იქმნა, ერთსა გელსა სედა ეტარებოდა. ხასა მგელი ერთი, მტაცებლობის და მოხვეჭისათვის პირ-აძემული ვლიდა, და თავლი ნდომისა გზათა სედა ეზურა და ყოველი სწავლელი მისთვის შეეკობა. ამას ცდილობდა, უბრალე ვინმე შეეწუხებისა, ანუ ერთი პირუტყვი უსულოდ მიესადა და მისი უგვანი აგებულება სიმძლირით გაესარებინა.

ფისტიკაური

უსამართლოსა საქმის მოქმედსა, მას უწყალოსა სჭარკეტდე ხელსა,
ერთის ცოტასა სარგებლისათვის ასს ზიანს მისცემს ოდენ ყუელასა.

რა მოღვაწემ იგი ესეთისა სახითა ხასა და შუბლსა სედა მისსა უწყალობისა და მივინჯარებისა სიტრელე აღმოიკითხა, მისის წყალობისა და მოწყალებისა საუნჯისაგან წერთისა მისთვისა პირი ახლა და ეტყოდეს: ვართ ცნობართა ნუ იტაცებო, ვროსათა და სბოთა სოტასა მოკრიდეო, საბრალე გლენთ უდიერისა მოქმედთა ღმერთი რისხვასა მიუჯლენსო, და უწყალოთათვის მას სოფელსა სიტანჯველი განმსადებულანო.

უთხრა შარბი

უსამართლოსი ნიადაც თვისთა გულთაგან იწვიან,

მადლობის კაცთა სიანად მოჭატვით მონასიწვიან,
სოფლისკან განუღუნ ცოდვითა, მისგანვე შეიბიწვიან,
და მერმე მას შეაჭირებენ, ვინც შიშით მოეწიწვიან!

ესეთითა სიტყვებითა ასწავლიდა, და ტატებსა და კაცთა შეწუნასა ნამეტ-
ნაკად უშლიდა. მგელმა უთხრა:

— ქადაგება შეამოგლე, მე არა მცალს: მას გორასა იქით ცხოვარნი სძო-
ვენ და მოტატების უამი გარდაიარსო, და მერმელა სინანული კვლარ გამძღებსო.
ეს არავი ამისთვის მოვასსენე: რაზომცა შეგატონო, შენ შენსა გუელ-ძვი-
რობასა არა მოიშლი და ჩემსა წერთასა ყურსა არა უზურობო.

უთხრა ლექსი

მოწყალე კაცის გონება სიტყვას შეისმენს ადრია,
ათას წელ ერთსა ნათქვამსა შეცვლადმცა არა მკადრია!

ჭარომ მოასსენა: მე სწავლისათვის ყური მიწვიე მიმიზურია, ბრძნის
მქადაგებელისკან სწორე რიგი დამისწავლია; მე ჭკუის მეოთველად მას ესადი,
რომელსაც ნიადგ აწრისა კარნი ღიანი ჭქონან და გამოცდილებისა სარკე სელ-
თა ეზურას. მე რომ აქა აღმოვსედ, სამეტნავის შიშით ვქმენ, ჭკვიანთ სიფრთ-
სილე მასწავლეს და გასაზარკეს გზას დავაზურ. ესრე ჭქონე, არაოდეს მე არ გე-
ნახო და კვლარცა ამას იქით მიხილო. აქათგან კიდევ ხედი აქა ყოფა უფეროა;
მოცდა და დავკიანება გულში გასავლებად საწყინოა; მე დამიფერებია, რომე ხე-
მი სისხლი სელმწიფეს მსხვერპლივით შესაწირავად მიასნია, და რომელიც სვე-
ლის ბრძანებაა—ურდოველია, მამ ამ გზითა ჩემი აქა დგომი უქმნელია და მალე
წასვლა საქმნელია.

უთხრა ტაეუი

წაკალ და სანსა არ დავსამ, აქ დგომად არა მცალიან!

ხელმწიფემ უბრძანა: შენის სიტყვსლის საზრდო აქა მისა არიან, განსუე-
ნებისა და ზერზურასა კარი შენს ზირის-ზირ ღია არიან. მგზავრობისა და უც-
ხოობისა თავს-დება გიტვირთავს, ეჭვიანსა ნდომასა და მიუნდობლობისა ქმნა-
სა არა რა სარგებელი აქვსო. ჭარომ მოასსენა:

— რომელსაც ხუთი ესე ნიშატი საგზლად ჭქონან და სიტყვსლის სათა-
ვნოდ ამერობს, სადაც წავა, პატრონების მისაგებულსა მოიმიეს; სადაცა მივა,
მეგობართა და ტბილთა ამსანათა სარგებულთა მოისთლობს: ზირველად ავი
საქმე გაიშოროს; მეორედ კეთილი საქმე წაიძღვანოს; მესამედ ცილის წამებისა
და ძვირის ზრახვისკან სტომაქი დაიცალოს; მეოთხედ კეთილ გონების მოსამ-
სახურე იყოლიოს; მესუთედ ღვინისა და ალერსის რიგნი იცოდეს და იქმოდეს.
რომელსაცა კაცსა ესეთი ნიშატი ჭქონდეს, მას არას ადგილს უცხოობასა არ
დაახნევენ და მის სიმწუხარესა და გარდავარდნასა შინაურად შეთვისებულად
შეიერთებენ.

უთხრა ცაეზი

სადა ჰპოვო კაცთ შენობა, მწირი მტოდნე არ იქმნება.

ჩვეის მყოფელი კაცი თვისისა სამკვიდროსა და თვისთა ტომთა გულს ვერ ანდობდეს, მასუ სმის თვისთა მოყვასთა და სამყოფთა მოშორდეს. თუცა სსვკანს მკობრისა შოვნა საეჭველია, მაგრამ თავისა შოვნა დია მხელია.

უთხრა შაირი

თუ შენდა ნებად შენს ადგილს ვერ დაჭყო ხანთა დრონია, მარტოი სახლსა რად იჟდე, უწესო, უკადრონია!
სსვკანს მოიგე მოყვარე, წასვლა სჯობს საადრონია,
და სადაცა მისვალ, დაგსვდება შენობა მუნ დიდრონია.

ხელმწიფემ უბრძანა: შენი წასვლა როდეს დაგიმტკიცებო, ანუ რა ხანსა მოიცდიო? ჩანომ მოასსენა:

— შენ ჩემის წაუსვლულობისა და გარე შექცევის საგონებელი გაიყარე. ამა მგსავრობიდაძე ჩემსა კიდე აქათ მოსვლასა ნუ ეჭვი, რომე ჩვენსა ამა საქმეს მის არაბისა და სხაბის არაკი დია მიტკავსო. ხელმწიფემ ჭკითხა, როგორ ყოფილა?

ჩანომ თქვა არაკი

უთქამთ, ერთი კელური არაბი ბადდადის ქალაქად შევიდა და ნახა სხაბის დუქანი. მუნ მადაური ჰურები მთავრის მსგავსად აღმოსავალით ამოჩენილსა შეადარა, შიმიფლობის სიბნელე მიწიდამ აეტაცა და სიბრწინეგლისა თერხი სიმაღლეზედ შედგა. კაცსა ესრე ეგონის, მნათობის მზისათვის გაერთომის თითი პირთა მოკვსა და კვჩებთა სიმხურვალესა ჰურისა საეულა დაეხივა.

ღ ე ქ ს ი

მომემარი ჰურისა რა ნახავს, მიიჩნევს ნათლის სახითა, თორნისა პირსა მჯდომელი გაძლების მისის ნასვითა.

რადას ვაგრძელებ, საბრალო არაბი რადგან ჰურისა სუნისა მიუდუნელობითა უსუსურ ქმნილ იყო, რა ჰური გაიცადა, მოთმინებისა ვაჭვი აიწყიდა, და სხაბთან მივიდა და უთხრა:

— ჭე, სოჯავ! რადესსა იუელსა გამომიღებ, ვირე ჰურითა ვაძღეო? ხაბაზი საგონებელია ჩავარდა და ესრე იტყოდა: თუცა ამა ვაგრძენ ერთი რადენ ლიტრა ჰური შეჭამა—გამდესმცა, და თუცა ვარდამაცა—რასალა თუ შესჭამს, სამად ხომ ვერ მიაწყესო! უთხრა:

— ნასეკარ დინარი მომეც და, რა ერთიც გენუბოს, ჭამეო.

არაბმან ნასეკარ დინარი მისცა, და წინ რე ხაუდიოდა, მუნ დაჯდა. ხაბაზი ჰურს აძღედა, არაბი წყალში ასველებდა და სჭამდა. ეგოდენი რა შეჭამა, მისს ივასისა დააჭარბა და ოთხსა დინარსა დაემატა, ხაბაზმა კვლარ მოითმინა და უთხრა:

— ჭე, ძმაო არაბო! მას ღმერთსა ვაფიცებ, რომელმანც ესოდენის ჰურ-

Handwritten mark or signature.

შეკმის ლახე მოგცა, მიიხარ: ვაბრძე უნდა ეს ზუერი ვერე სქამოა? — არაბის უთხრა:

— ეჭა, სოჯავ! ნუ სხჭარობ, სანამდისი ესე წყალი ხამოდის, მანამდის მე ზურის ჭამისაგან ვერ მოვიცლიო!

ამა არავისა წადილი ეს არის: სელმწიფის წინ სანაყური იყოს, ვირემდის სირტოცხლის წყალი ტანთა შინა ჩემთა დის, შიშისა და რიდის ლუკმის ჭამისაგან ხელს ან ჯიღებო, და თქვენის გვერდს: ხლები სანოჯავისაგან სარგებლის ზოგნას აღარ მოველიო. უამის რადგან ჩვენ შუა გაყრას ხამოვდო, შეურის სავგანებელი შორს გაავიდა. თუცა სელმწიფის ამისა ცნობისა წადილი მომინდეს, დილისა ნიაჭართა კვითსავ, და სელმწიფის შეენიერს სანესა გონების სარკითა განვიცდიო.

უთხრა ლექსი

თუცა სავგარელს ვერ ვხედავ, მოგანებთა გავიცდი,
მწირის სადგომის სანთელად მთვარისა მუქთა დავიცდი.

უთხრა: აწ, სვიანო სელმწიფე, ტანტ ვირეგინისა მამკენებულა, რანომცა წყალბობისა სავუქიკელი დანდა და მოსვენებულის სირტოცხლისათვის კეთილი რიგები გამოწესა, და ესეთი მტყაფე ზირაბა დამიდავა, აღარას ვნით მე სამისსურისო რღი უფროთა გავიყარო და სამისსურის ბაქქოში მსართა ვიტვირთო.

უთხრა ტაქვა

რუდად სიტყვას ნუ აშრომებ: არ შეესმის ყურსა ჩემსა!

ხელმწიფემ დავუწეროს, რომე სრეისა ხემითა შიშის კვალი ჭაროს გულის ფურსიდად აღარ გამოიღებოსო, და მშვილდით გატყუორცილი ისარი მადის მიხეცითა ხელთა აღარ მოექცევაო. ხელმწიფემ უთხრა:

— ჭი, ჭარო! მე ესრე გვულობ, შენის სანის სავარდისაგან სუნნალები-სა ფშავ წადილითა ჩემთა ცხვირთა აღარ ეწინაგება, და ალერსის სატის იმედი სარგეს შინა აღარ დანახება.

თქვა შაირი

ამ უამად ღსინისა რუსა, თუ იყოს წყალი მდინარი,
ვით თისნი თავსე სუქუქი, ქვე ზირითა მოცინარი,
გაი, ჭარო! ღსინი მიმტაცე, უამისად არი, ვინ არი,
და ესრე გასრული მეჩვენე, ვით ხანავს სონმარს მდინარი!

მაგრამ ესე მამინც მიყავ, რომე შენის მოგანებისათვის რჩიოდე სიტყვა — საბედნიერო ნიშანი — უამის ვაბადონთა ხედა აღმომინე და მიბრძნე, სამოვერო სწავლითა და შეგონებითა უგუნურების ქარისაგან რადგან ჩემისა გულისა სარგე ნადგლის მტვერითა შესვარულია, იგი გამოვიხორცილო.

უთხრა ლექსი

სანსლოვად სიტყვას დამიგდე სანწავლებელი მტნებისა,
ჩაის სიტყვისა უმჯობე რამცა ისელოვნებისა?!

და
შე

ჭარბი უთხრა: ეჭა, სულშივე! დაბადებულთ საქმე ზეგარდამო განწყობა: მას არცა რა მოაკლდება და არცა რა მოემატება, და ვერცა ვინ შესცვლის და ვერცა ვინ უეუჭრავს, და არცა ვინ უწყის ბედნიერობის როარტაგი რომლისა სასხლას ზედა დაწერილია, ასე სიბორბოტე ვისა მიადგების. მაგრამე ჩვენგან საქმელი ეს არის: ჩვენს საქმესა კეთილის განზრახვითა და რჩევითა რიგინი მოსავალი მოკუთლოთ, და თვისთა თავთა კრძალვითა, ფრთხილობითა და რიგითა ვაქცევდეთ. თუცა ჩვენი რჩევა ზეგარდამოსა განგებასა შეესწორა, სვე-სვიანობისა საჩისთა და ბედნიერობისა სნატოა მივსვდებით, და თუცა მოსავლები საჩისსკელად შეიცვალა, მოყვრებთან ბოდიშს მოკითხოკ—მაყვადრებულთ უყვადრებისა სისშირე აღარა სამს.

უთხრა შიარი

განგებასა ყოვლი საქმე, მაგრამ აგრევე ჭქენი რჩევა,
 განგებასა შენი რჩევა, მოგსვდეს გეუოს, არა წდვევა;
 განგებასა თუ არ იხება, ვისგან მოგსვდეს ამით წვევა,
 და ამასა ჭეოფეს ყოვლი ბრძენი, ვის ცნობა აქვს ზეთ ზევა.

ეს უნდა იცოდეს კაცმა, რედი საქმელი მას ჭქეინ, კაცი ვერ გამოიყენებდეს; უმეტარი სულშივე იგი არს, რომელი ქვეყნათა და გლეხთა არა უარდეს; უბადო მოყვარე იგი არს, გაცირებასა და დაკრძომილებაში გაუშვას; ბორბოტი დიაცი იგი არს, ქმრის სიტყვას გარდაჭხდებოდეს; აგი შვილი იგია, მამა-დედისა ურჩი იყოს; ოსერი ქალაქი იგია, სადა განსიგება და იეფობა არ იბოკებოდეს; უგვანი ალერსი იგია, მეკობართ გული ერთი არ იყოს. რადგან შირველსავე ალერსისა შიგა ჩემსა და სულშივესა შუა ერთი ეჭვი გამოჩნდა, აწ მისგან ლტოლვა უძობისა. ანლო ყოფა და ალერსნი გამოსაღებასედ შევცვალეთ უკეთესიანო.

უთხრა შიარი

წავალ და დაგოსაღები გულისა მეტად სალითა,
 მიწას დაჯალტობ ცრემლითა ღვარულად მსქეფრად თვალითა.
 თუ ავი მიყავ, კარგს ვიტყვი ენა მსკერისა ძალითა,
 და თუ რამ გაწყინებ, შემინდეგ, ცხადად თუ იდუმლითა.

ამს სიტყვითა მათ საქმესა ბოლო მოეღო, და სახლის კრდოდამ გარდაფრინდა და მინდორისა მიმართა. და სულშივესა მწუნარებისა თითთა ვაბურებით იებინა და მრავალი ჭმუნვა შეეღვა, და უსომოს ურვისიგან ცნობისა საწვავართა გარდასდა, შირი მას კოშესა მიაზერა და უთხრა

შ ა ი რ ი:

ვის მიუთხრნა ჭირნი ჩემნი, გულთა რეცხლი სადებარი?
 მეურნაღმა ყე მომაკვდინა: წამალი მცა სავნებარი!
 მეკობარსა ვინ დაუგმო საქმე სიბრძნით საქებარი,
 და მოყვარება იგი მიყო, ძნელად სთქმელ სიმბობარი!

ესე არს არაკი შურის მეძიებელისა და სრვის მოქმედის კაცისა გაფრთხი-

ლებისა, და მათ გულ დასოთავან განუძღვლის, და მათის ბოროტის ჭირის შემთხვევისა, და მტრის სერის განშორებისა, და მიუნდობელის მოყვრების მოცილებისა და მათის ტებლის სიტყვით მოუტყუებლობისა. დადრობითა და მუსთლობითა ჟავრთა ამოყან რომ ენებოს და მოდორებს ცდილობდეს, ამით არა აუღადდეს და ჭკვა და ცნობა მოისმაროს. წადილი ამის საქმის ესე არს: ბრძენმა უამთა ვითარებათავან რაც მოინახოს, სხვასა-და-სხვას დროს მოჩინის გზები დანახვით გასინჯოს, ჭკვის საფუძველი რჩევის სიმტკიცესე დაამყაროს, და არცა აღადებით და არცა შეწყენილი მტრისა არა დროს არ მიენდოს, და საცდურითა და ჭკვარობითა არ მომშვიდდესო.

უთხრა შაირი

თუ გინდა ჭირსა მოშორდე, შეჭირვებასა მეტასა,
ბროლუჟად სიტუვა გასინჯე, თვალი მიაზფარ ტქეტასა;
გაღასულს მტრისა არ ენდო, შენგან სელურისა რეტასა,
და რა მოგერვეა, მაშინ იქმს მისთა სახმილთა შეტასა!



კ ა რ ი თ .

წყალოვისა და მიტეზისა, რომელი ყოვლის კეთილისა
თავი არს.

დაბიშლიმი პირითა ჰატიოსნითა სიბრძნისა და გონიერისა გულისა უფალ-
სა ბარამანს უბრძანა:

— ეგე არაკი, რომელი განწყენებულსა და შურითა სავსესა მტერსა არა
მიენდოს, მოვისმინე, ამისთვის გავსწავლე. სიჭიშვის ნიშნსა და შურის ნაწილ-
სა მაშეგა დანარჩომისა სედედა, და რაზომცა მეშურნე სიტუბოსა უჩვენებდა,
მეორე სიფრთხილისა გზასა არ გარდაუქცევდა. აწ გულისა ჩემისა წადილი სას-
მილისა აღსავით ეტყინება, ვირემ ერთსა წვეთსა ცრემლისა ცვართა სწავლისა
მეტსრე კარის საგუბრისაგან დამწვარსა ღვიძლსა არ აპყურებ, გულისა სიმსურვა-
ლე არ დაშრტების, და თუცა გვიამბობ, კეთილსა იქო. არაკი მეფეთაგან შე-
რისსვისა და მიტეკებისა გვამცნეო. რადესცა მეფეთა თვისთა წარჩინებულთა რისსვა-
სა და ტანჯვასა უგან კიდე დამნაშაობა და წყენა გამოუჩნდესთ და დანახონ და
შეუტყონ, მათი აგრევე შერიკება, წყალობა და ჰატივი, ანუ მინდობა და პირ-
ველ დაცემას უგან მათი და მათის გვარის გადიდება და წყალობა საქმელთა თუ
არა?— ფიდ-ფაიმ გულისა გამდებელისა სიტყვითა და სულისა მომტაცებელისა
საუბრითა უმასუსა:

— თუცა მეფენი წყალობისა კართა დასშვენ, და მცირისა შეცოდებისათვის
რისსვისა ბრძანებასა ვაჭყენენ, მათნი მასლობელნი მისსურნი უჩწომენო და უსა-
სო შეიქმნებიან და კვლავ აღარა რდეს მიენდობიან, და ესეთისა საქმისაგან რრ
რიგისა ჭირისა მოსაკალი მოუვა: ერთი ესე, რომელ ყოველი საქმე გაურთიკებუ-
ლი და მოშლილი შეიქმნების, და მეორე ესე, მეფენი თვის წყალობისა და მო-
წყალებისა გემოს ამარს დარჩებიან. ერთს დიდსა მეფეთაგანსა უთქვამს— თუცა
ერის კანნი სცნობდენ ჩვენისა სულისა გონებასა, წყალობის ქმნას რა გემო
აჭკს, ჩვენსა კართა რრგულობისა და შეცოდებისა არა რასა მოიდებენო.

მოახსენა შაირი

შემცოდე კანნი თუ სცნობდენ უწყებით წამ-და-წამისად
შემცოდეთ მიტეკებისა თუ რა გემო აჭკს ამისად,
შეცოდებასა სულ ჭყოფენ, უამ გამოკუთალ უამისად,
და ნიადაგ დაამავებენ, ბოდიშს ითხოვენ რა მისად.

მეფეთ აზნავთა შემადგობელი და გამაშენებელი მიტყეებისა უძველესი არა
შე არის, და აღამიანთა დიდების—კეთილი სიზატიოსისი გამოცხადება მასინდა
შემოხნდება, მრისსანება დათრგუნოს და მიტყეებისა ბრწყინვალე სათელი გამო-
საბრწყინოს. იცოდე, კაცთა მრისსანებისა მოთმინებასა ჯოჯოხეთისა აღისა დაშ-
რეტს—ძალ-უცს, კაცობრივი და კაცობის რისხვის სასძლის ბიდასი სამსეოდ გაც-
სადებული შეიქმნებისა.

თქვა ლექსი

კაცობა მარტო არ არის გულგონობისა წესითა,
რომელი რისხვას მოითმენს, სისრულეს ჭბოვებს ზესითა!

მეფეთ სიკეთე ყოვლის კაცისაგან მოსაწონებელი ესე არს, სრულესა სი-
ბრძნითა თვისთა დროთა და უძათა სისწორით სამართლობდენ და არა წამისა და
წუთისა თვისთა მოწყალებისა ბუნება მიტყეებისაგან არ დააცალიერონ. მაგრამ
მოწყალება ესეთის წესით სამს, რომე მსმენელთა ყურთა უსრულად არ მიესმას;
მისტყმელი ესეთი ჯერ არს ნაძლადვეი მას შიგა არა ერიოს რა. ამით მეფო-
ბისა სახელი გადიდეს და შენაირებით შეიმკოს. ქვეყანათათვის მასკეწარობი-
სა, საშიშარის ნიშისა და სამსიარულთს წყალობის ბაგი გარ მოიხდუდონ;
არცა ერთგულნი მრავლის წყალობის უიმედო შეიქმნან, კერცა კაცთა სიბორო-
ტემს რისხვისა შიშისაგან იყრხი ქვეყანასეოდ გაბეჯით დადგანო.

თქვა წყობილი

ინასევედა ჯიმშედ ჯარსა,
შიშ-იმედთა შესაჯართა.

კითხსა მოხუცებულსა რიგინის გლით და მართლის ენოვანებითა ესე იგა-
ვს ესრე უბრძანება:

— გისაცა მრისსანების მოკვეთა ნებავეს, ესე ქმნას: ბოროტისა წილ ბო-
როტსა ნუ მიავებსო. მიტყეებისა ნიშანი ესე არს, სიქიშვის იფიონი თვისისა
გულისა სახილამ აღმოფხვრასო; მოწყალებისა საწილი იგი არს, შემტოდე მო-
ყვასსა-თანა მანვე ბოდიში მოითხოვოს და თვითვე მოაქციოსო.

თქვა შინაი

როსცა მოგრიოს უფალმან მას შემტოდესა შენასა,
შენ მიუტყვე კვ ზომი, მართ მიემსგავსო ზენასა.
მტოდველი ცოდვით მეუდარია, ქვე დაუცია წყენასა,
და შეუნდობ—მკვლარი აღდგება, შენით მიიტყმს ლხენასა!

თუცა გინმე ამს საქმესა გამოკვლევიით გასინჯავს, რაცა საცხადოდ სამს
გამოხნდების, რომელ მიტყეებითა და სიუხვითა კაცის ზატიოსნება და ქველობა
თუ რაწომ გაზღაურებთ. მაშე სამს კაცი რართ ამს საქმეთაგან კვებული არ
შეიქმნას. ეს დაფარული არვისთან არის, დაუსხოვნებლობისაგან, და მიუხდომ-
ლობისაგან და უმეტრებისა და დაუნამავებლობისაგან არა კაცი გაწმდილი არ

არის. თუცა ყოველისა ცოდვისა ნაცვალი მიეგოს და ყოველისავე დანაშაულის მიუჭაფა ეზღვიოს, ამით ქვეყანისა და სვასტანგისა დიდი ზიანი მოხდებოს.

მოასხუნა შაირო

სინჰართი გაუსინჯავად სრმაღსა ნუ მიჭყოფ მუჭასა,
თვარ დანანებ ანაზდად თვალისა დასასუჭასა!
სიმშვიდეს ნუ დაუტეებ, კით ზერობილი ჯდეს თუ ჭასა,
და ტასტ-გვირგვინისა შერება რას არგებს მკერდსა ფუჭასა?

მეფისაგან მართებულა—ერთგულნი, სწავლის მიძიებულნი, ხელ გამომაკალნი, მეცნიერნი ამთვან რომელნიცა ცილისა შეწამებასა ნაცვიოდენ, გაკრძაღვით გამოიძიოს და სცნას. თუცა ესეთი ვინმეა ქვეყანათა, და სვანგითა მოვლა და რიგი შეუძლია და თემთა გავებისა რჩევა-განწყება გამოუგა, და მისანდობელი და ერთგულია, და მის გავებებსა და გადიდებასა შინა უშმაურობასა და ზაკვითა არა ჭყრფის და ბორბოტა საჭმეთა კეთილად შესცვლის, —თვისსა გულსა წყალობითა და ქველის საჭმითა შირკულსავე წესთა აღიყვანებს. მეფეთ წყალობა და რისსეა ორივე უსაზღვროა. მეფის გამოსადეგი, სრულის სწავლის მოჭმედი და მშვიდი, სვამადისა დამთარავი და დიდებულთ კარიგება შექმლოს, იგი დიდებისა და მნეობისა დიქსი არს. ქვეყანის მოურნეობისა საჭმე ესე არს, რომელი სრულისა ჭკვისა და მეცნიერი კაი¹⁹⁶ მჩიველი და ხელ გამომაკალი, მისანდობელი და შირობის აღმასრულებელი, ჰატვიის მეფეელი (იყოს) ესეთი გამოიჩინონ, და რომელი რომელსა საჭმესა შინა გამოიყენებოდეს; გამოიძიონ და ჰზოვონ, და თითო-თითო მისისა შეკლებისა მსგავსად და მისის ჭკვისა გავრად. რჩევისა და გულაჩნობისა შემსგავსებულად მისი სამეფო თითო სამსახურებელი ხელთ უდვან, და თუცა ვისმე კაცისა სიკეთესა-თანა აუგიცა რამე ნასონ, ნუ მოიძაგებენ, ამისთვის რომე კაცნი უაუგონი არა იქმნებან.

თქვა ცაუში

მოყვასსა უაუგოსა თუ ექბ, მარტო დარჩები

ესეთსა საჭმესა შინა ამ რიგად გაფრთხილება სამს: თუ ვინმე ერთსა საჭმესა შინა ესეთი კაცი იყოს, მისგან ერთი რამ დასავლისი იქმნებოდეს, სამს იგი ამას საჭმესა მოაშოროს. ესეთი საჭმე კაცთაგან უქმნელია, რომელი თვისისა სარგებლისათვის თვისისა ჰატონისა დასავლისი ქმნას, მაგრამე ესე სწავლა ამისთვის წარმოკთქვი, რომე სცნათ—ესეთი კაცი რაგინდ ყოველის ზნეობით შექვეული იყოს და სრული მცოდინარე, თუცა ესეთი მოჭმედება შეამცნიოთ, მისგანაც ხელის აღება უმჯობესია, თუ არა უგუნური, უმეტარი და შენი მანანებელი რაღა სიტყვა უნმსა? მოშორება უნდა! და ამას სიტყვითა გამოცნობისა და

196 ვარიანტი : მეცნიერი კ ა ც ი მჩიველი.

* ამ წინადადებაში შესმენილი «უნმსა» მოითხოვს ზედ შესრულებს მიცემითის ბრუნვის დაბოლოვებით. მაშასადამე უნდა იყოს: «თუ არა უ გ უ ნ უ რ ს, უ მ ე ც ა რ ს და შენს მ ა ზ ი ა ნ ე ბ ე ლ ს, რაღა სიტყვა უნმსა?»

ამა ამბის სმენის უკანის შეფეთების ხამს, მათის კარის გამოკეთა და მისხნდო-
თა, რომელთათვის სჭკუენო საქმე უბრძანებიათ, მათი საქმე კეთილად გამოიძიონ
და სცნან, ქვეყნისა და სვანეთისა, დიდისა და ცოტისა უოკელივე საქმე მათგან
დაფარული არ იყოს. ამით ორთა სრულთა სარგებელსა. მოიგებენ: ერთი ესე,
რომე მათის მოხელეთა და მწკეთა საქმე გამოეცნადებისთ, რომელი სიმართლის
მოქმედია და რიგისი, და მეორე—რომელი უსამართლოა და უსწიკო. რომელი-
ცა მოსამართლენი არიან, მათ ქვეყნიერი საქმე მიანდონ და მათ შეინდგენ, და
შატვი მიანყრან; და რომელიც უსამართლოა, მისი სახელი მოსახსენებელისა-
გან აღსრტონ და ქსორობისა მატასეთა აღწერონ.

თქვა მჩხობლელი

ღვთისა მონანი, შიშთა მწონანი გლეხთა დაუდგინე გამეკ მოურნელ,
თემთ ამასენი, არ სსვის საშენი, მხედ მიანქმე გაცთა მოსურნელ.

ორგულად ჰხადე, გარე განადე, ერთ სისხლის მსმელი, მოძალადენი,
გინ ერთა ავნებს, მოაწვეს ავნებს, გარე შეიცავს ვითა ბადენი.

ესეთი მხენი, დასახსენი, დიდი ცოდვას დასადგინებლად,
გისგან ჩივიან, გულნი სტვივიან, ღვთის წინა მივლენ წარსადგინებლად.

კეთილ მოქმედი, უფლისა მსკედი ავს არ იხილავს აქა და იქა,
ავს ვაცს აკეთებ, თავს აკეთებ, მალ შეიმურავი, ვითარცა ჭიქა!

ველავ ესეცა ამ სახითა ხელის უფალთა და მხეთა გულთა შინა იწყან,
რომე შეფენი კეთილის მოქმედთა კეთილსა მიანიჭებენ, და შეიტრდეთა და ორ-
გულთა მისთა ვეროვნთა მისაგებულთა მიაკებენ. ამით ჭკვიანი და გონიერი კე-
თილის საქმეზე აღჩავიან მოუძღვრდებიან და არცა სიშატვიანსეუ მოუღონოკ-
დებან, და მოჩხუბარნი შიშითა და რიდიოთა ბორცოსა, ავს და ვანთ სასიან-
ნოს ველარ შეეცდებიან. ერთი ამისა შემსგავსებელი ღომისა და ტურის არა-
კიაო. რაიმ ჭკვიანსა, როგორ უოფილად?

ბარამანი თქვა არაკი

უთქვამთ, ბნდოეთის ადგილსა ერთი ტურა იყო, ვირისად* სახელდებული,
შირი ქვეყნისათვის მიეწიდა და ზურგი მოსავლობისათვის მიეპურა. მისისაკე ტომ-
თა-თანა იქცეოდა, მაგრამ სორცთა ჭამისა და სისხლთა-დათსევასა მხეცობრიბ-
სა წესითა არა ჭყოფდა.

თქვა ლექსი

ბაკეთა მისთა სისხლის სიმად სსვკ მხეცებერ არა არებდა,
ბორცოტა ერიდებოდა, ცოცხალთ კვლას შეიზარებდა.

მოყვასთა მისთა მოსიუფლათ და ამასეკდ შურნი აიღეს, და შუდლითა და
ლალკითა ეტყოდეს:

* სამს ვარიანტში ყ ი რ ი ს ა ს მაგიერ ამ ტურის სახელიად ვ. რ ი ს ა არის ნა-
ხმარები, და ამ უკანასკნელს შემთხვევაში ვ ი მ რიგად არის ხელთ-ნაწერებში დაწერილი,
რომ ვ და ი ვი არა, ყ და ი გეგონებათ გადაბმული.

— ჩვენ შენს განწყობას არ ვინებთ, შენი ნაქმარი ჩვენ ცოფავდ მიგვანია. ჩვენ რომ უკან ღხინსა გვიზრასაუ და ჩვენსა წესთა და რიგთა არ სჯერდები, ეს არ იქმნების. შენც ჩვენი საქტიელი უნდა დაიჭირო, თუ არა, ჩვენის ერთობისაგან რადგან ვალთა ავიკეცია და ჩვენისა მძობისა საყულოდამ თავი გამოვიტყობია, ნუბიერი სიტყვასეუ სატანჯილზედ გაგიცვლია, თვით სასარჯლოდ თავი საზურობილუმი დაგიპატიმრებია. რაჲ სარგებელი მოგიპოვებია? კაცისა მართებულისა, ამ სოფლისა გემო მოტამოს, რომე მოსავლისაგან უნაწილო არ შეიქმნას, და სასიმულ-საქმელი რადგან სიტყვასდის აღმოაჩინებულისა, ამისთვის მოუყარები არა სამს განაწაროს; მათის წესის გარდასკლა არა საქმელისა კაცთაგან. წარსული დღე აღარ მოიქცევა და მეორეს დღეს მისი ჰოენა აღარ მოსდება, მისა ამ დღის წარსდენსას და ცუდად გაკლასა რა იგავი აქვსო!

უთხრა ლექსი

ძოდი, დღითი დღე ვიღხინოთ, რაცა დატკნაღდეს ხანანი,
რადგან არავინ იცინა სჯალე სადა გვაქვს ვანანი!

ტურამ უთხრა: რადგან შეგიტყვიათ, (რომე) გუმიწდელს დღეს გაუვლია და აღარ მოიქცევა, მის ჭკუის მეოფელის კაცისაგან არა სამს სჯალის მოსკლას მიენდოს. ხვობს დღეს საგზალი რამე შეიკრიბოს, კრძელის გზის საყოფი ნუზლი გაჭყვესო.

უთხრა ლექსი

დღეს შეუკრიბე შენს თავსა საგზალი თან წასტანი,
სჯალე არ იცი რასა იქმ, სად სული მივა, სად ტანი.

ეს სოფელი თუცა თავით ბოლომდე საყოფა, ესეცა ძალ-უცს—ის სოფელი ამით იპოვების; რომელსაცა თესლსა ამში დასთესავთ, მუნ უჭტეკლად მას მოიძვიოთ.

უთხრა შაირი

უცადე იიქელის თესვასა, თუ გაქვს ამინდი დღესისა,
თვარა სჯალ ქრთილის მოკნისა შეიქმნა უამბესისა.
თუ მუშავობას არ იღვი, რაჲ გაქვს ქმნადა წესისა,
და გაღოს ლეწავსუდ გასცუდდე, საქმე მოგტყვეს გვესისა.

ჭკვიანს ვაცის მართებს კეთილს იქმოდენ და მადლს ამრავლებდეს, ამით საღმრთო და სჯილო შეიქმნების, და ამისი გული უკვდავს სვე-სვიანობასა მიემოსხვევის. ამისთანა იგავი ქვეყანად საქმის გურთხეკით იქმნების, რომე იგი საუკუნოსა სახლს შინა დაემკვიდროს.

უთხრა ფილტიკაური

ძოკვდაობისა სახლის კართა თავსა ნუ მისდებ საძნელო ძვირსა,
მოსკენებისა სახლი ააგე, კლდეში დაუდევ საყოფლად ძირსა!

დღეს რაცა ღონე გქონან გარჯისა ტაიჭი შარისა სიგრძეთა სამს არბო, ხორცის მოსკენების სიღისაგან საგრობის საგზალი შეიკრიბო, საჭახუკისა სათავნობისაგან სიბერის ბაზრისათვის სავაჭროს სარგებელი ხელი იგდო,

და სიცოცხლის სარგებლისაგან უკვდავებისათვის, სიკვდილის ძვირფასად ერთი რამ სასიზარო გაიმზადო. ერთს დიდს ვისე უთქვამს: «დღეს შეგიძლია და და არა იქმ, სვალე რა შეიტყობ, კვლარ იქმო.»

თქვა შაირი

ოდეს შემეძლო, ვერ ვსცან მარგებდა ეს გაგებანი?
რა რომ შეეიტყვებ: კვდადე, აღარ მომეცა რგებანი
სოფელს თუ იცნობ, ასრეა მისი ბოლომდე გებანი,
და მოგეტეს— იცან, შეიტგბე, გავნებდეს თუ წაგებანი!

ამ სოფლის სიკეთე ელვის მსგავსია, ბოლო გაუტანელი და ჭირის ღრუბლის აჩრდილის სიხშოსავით წარმავალი. არცა მისი კეთილისა სამს გულისა დაზერობა და არცა მისსა ბორცოსა ზედა შეჭირვება.

თქვა შაირი

ვის მიეტეს სისარული, იხარებდეს აულადად,
ვისაც ჭირი მოკვლინოს, ნუ დაიხენს ზედა დადად:
ეს სოფელი ესეთია, ორსავ გაძლევს კარ განადად,
და რადგან არც ერთს გაგითავებს, მიკვირს, გიუვარს იგი რადად?!

ამ სიტყვის ბოლო ეს არის: ამა სასრუნავის სახლისათვის გულის შემს-
ჭვალვა ჭკვიანისაგან უქმნელი საქმეა; ღვაართა სადინელთა ადგილთა სახლის შე-
ნება ბრძნის გონიერისაგან მოუგონარია. ესე ნათსოკები სახლია: სვალ გასვლა
გვისამს და სსვავან წასვლა!

ტ ა ე ბ ი :

ამა სახლსა შენ ნუ აკებ: დაგეჭვავა, თავს წავებ!

მათ უთხრეს: ეჭა, ყირისავ! შენი სიტყვა ეს არის, ჩვენ ქვეყანის კეთი-
ლი დაუტოვოთ, მაგრამ ეს შენცა უნდა იცოდე, საწუთროსა კეთილი ამისთვის
განხილთა, რომე მისგან სარგებელი მოკიდოთ რამე და მისის მოსავლისაგან
გემოვნად გეჭამოთ. ყირისამ უთხრა:

— ამ სოფლის კეთილი ხელის აჩრდილია. ჭკვიანნი მისით კეთილსა სა-
სულსა გაითქმენ და უკვდავებისა მადლსა მოიგებენ, და სწორეთა გზათა სიარუ-
ლითა სიკვდილისათვის საგზალთა შეივრებენ, და საქონლის მიზნითა მუნ სა-
მკაულსა შეიმზადებენ და სატანჯველსა და ჭირსა განებებან.—თქვა: თუცა ორ-
სავ სოფელსა ბედნიერობა გინდეს, ესე სიტყვანი ყურთა საყურად გაიყარეთ—*
ტბილისა საჭმლისა გემო ეელსა ქვეით არ ჩასცილდების. ამისთვის ნადირთა
მოწვევდასა კერძაღვნი, რაცა საუგუნოსა შეებისა შოგნისა წესითა ხელთა მო-
გეტესთ, მას დასკურდით; რაცა თქვენისა ბუნებისა და გვამის სიცოცხლისათვის
გმა გეყოსთ, მას ნუ გარდამატებთ; რასაცა ცხადად ჩემთვისა ტყუილსა შესწმა-

* აქ ხაზის ადგილს შეუსაბამოდ ნახმარი იყო ვარიანტებში კავშირი «და», რომე-
ლიც უშლიდა მოთხრობის აზრის გაგებას. ამიტომაც იგი ამოვიღეთ ტექსტიდან.

რედ.

სნიდით, ნუღარა იუბნებთ. მე თქვენისა ალერსიანგან მოშორებების შენდობა მომეცით და მოგეშორებო და ერთსა სამარტოსა ყურესა დაკვდებო.

თქვა ტაემი

წავალ და მარტო დაკვდები, კარსა დაიხმავ წინარე.

ყირისა რა მოყვასთა მისთა კერე მოღვაწებისა და ღოცვისა წესთა ზედ ფერსნი მტეიტვად მდგომარე ნასეს, შეიგადიმეს და სიტყვა ვერა რა უგეს, და ბოდიში მოითხოვეს და მისისა ქებისათვის ენა ააუბნეს. ყირისამ მცირისა ხანთა უკანის ერთი საღოცავი და სამოღვაწო მუდრო მშვიდობის ადგილი ჰპოვა და მუნ დადგა, და მის თემის მახლობელნი მასთან მშვიდობით მივიდოდნან. ყირისას სადგომს ახლოს ერთი ტყე იყო, ფერად-ფერადითა ხილითა შემკული, სვენარინითა და ყვავილოვნებითა ერძის წაღვოტსა მის კველუცობისა მეშურნობითა თვისი ზირი ზირ-ბადესა შიგა დაფარა, მისის სუნხელებათა ფშვისა ნიაკი შეუწვენელად დამწნარს გულს უგვდავებისა სუნსა მისცემდა.

ჩახრუხაული

გულის გამღები, ცნობის წამლები გაშლილობანი უღუნდა სულსა, ჭაერის მტეში, ღონის მომცემი გონებას სსნიდა, ჰქურნებდა წელულსა, რუს ზირს მწვანენი, ამო არენი, წამს შეიქმნა თვალ მსიარულსა, და წვერ გამო ფმსა გამსგავსე მასა, შეუნიერებით ტურფა და სრულსა

მას ადგილს მრავალნი მხენნი და მფრინველნი შეკრებულყვნენ. მათ ხელ-მწითლად ერთი ღომი ჰყვათ, დიდად ძლიერი და მეტად საშიშარი, ჯიქისა უფიცესი და კეფისა უგისკასესი.

ღ ე ქ ს ი

ყვირილი ქუხილს უგვანდა მართ უმაღლესი ჭკნისა, თვალთ ცეტსლს ჰყრიდა გამწურალი, მსგავსება ჰქონდა მებისა.

მის ადგილისა მკვიდრნი ყოველნივე მას ჰმონობდეს, და ამისის წყალობისა და საფარველსა ჰქეშე მყოფნი, დროთა და ჟამთა ამოკლებდეს. მას ჰქებულსა სახელად «ქამიჯუმ-დევი» ეწოდებოდა. მისი მძლავრება თემთა და ჰქეყანათა მიჭფენოდა. ერთსა დღესა ქამიჯუმ მის სუე-სვიანობისა გამრიკეთა ყოველთა რასმე ამბავთა ჰკითხვიდა და მრავალი რიგი საუბარი ჩამოკარდა, და მათში ყირისას ამბავი ითქვა, და მისი ესომი მტოდინარობა და მოღვაწებისა მოქმედება ხელ-მწითლესა ყურთა მიაწვდინეს. რა ესმა, სულ აღძრვით და გულ წადილით მისის ალერსის მოქნე შექმნა.

თქვა ლექსი

თუ მისი ზირი ენას კაცისა თვალთა გუგათა,
სულისა თვალთა საკდომლად დასმიდა თვალთა¹⁹⁷ შეგათა.

მერმე ქამიჯუმ მისისა სურვილისა საზღვარსა გარდასტოლდა, მისისა მო-

¹⁹⁷ გარიანტი: დასმიდა გ ი თ ა შეგათა.

წოდებისათვის კაცი გაგსაგნა, და იგიცა მძღლის სულმწიფის მოწინააღმდეგისათვის მისსა კართა მოსასვლელად მოემსადა და მოვიდა. ხელმწიფემაც მისი საფერი პატრივი მიახურა და ნადიმთა შინა გამოაჩნეული ადგილი უბოძა. მისი ყოფა-ქცევა, სიძარტლე და სიკეთე გასინჯა, ყირისას ჭკუა და საჭტიელი ერთის დიდის ზღვის მსგავსად ესვენა. ძღადინარობის მეტნობითა თვალ-მარგალიტით სავსე სიკურად გაიტადა, საქმის გამძრიეობითა აწავის შეუსწორა, მოღვაწეად და მჩაქვლად დიდად მოეწონა. მისის საქმის სისრულე ყოველივე საკვირველად დადგა.

თქვა ტაუბი

ოქრო და გეცხლსა წმიდასა კერას უბოკებ წიდასა.

ქამიჯუმის მისი ალერსი დიდად მოეწონა და მათთან საუბარი ვასსიძისა, დაი გაიშინაურა. ესრე დღემან რამემან გამოვლო. მეტე თავის წინა შეიყარა და უთხრა:

— ეჭა, ყირისაგ! ჩემს საბრძანებელსა სივრცე და სიგრძე დიდი აჭკს, მისი მოვლა და გატება მოუვალია. აწ შენსა მოღვაწეობასა და სიკეთესა ჩვენსა სასმენელსა მოუწევია.

უთხრა ტაუბი

უნასავად შემიყვარდი, ვითა ღვიძლსა წამლად აწდი.

აწ მე რადგან შენ გნასე, ნასვა ნასმენსა უმეტესა და სმენს ნასვის უმტირესიო!

უთხრა ლექსი

ქვეყანად დარი არა გუვას, ესე მსმენოდა სმენითა,
რა გნახე, ათასით მეტობ, რაცა შემეტყუო სმენითა.

აწ ჩემი ნება ესეა: ჩემი საბრძანებელი და საგარეკვი და სვასტანგი ყოველივე შენ მოგანდო, მათი საურავი შენთა სელთა ჩავაგდო და შენი საჩინსი ესრე ავამდლო. ჩემთა მხეთა და მასლობელთა და სელის-ყოფალთა შიგა ალერისო, და ჩვენის წყალობითა და მოწყალებითა შენს მოყვარეთა, მათთა და მეტემეთა და ამხანაგთა სედა ამ უამად ნებეობითა, სიკეთითა და პატრივით ამაღლდეო.

უთხრა ლექსი

ბუნდერს ჩვენსა კარს წინა ვინ თავა დადგას მონებად,
დიდება მიენიჭება, ორისავ სოფლის ქონებად.

ყირისამ მოასუნა: ხელმწიფეთაგან მართებული და წესა, თემის მოძულელად და გამბეებლად შეგნებელი და მისინდო კაცი დაადგინონ, მაგრამ თუცა რომელსა მისი შეძლება არ ძალ-უტყ, მას არა უნდა დასაქმონ; ამისთვის რემ, თუ მას მის საქმისა გარიგება არ შეუძლია და მისი გატება სელით არ გამოუვა, რაფცა ცოდვა და უგზო საქმე მოხდება, ხელმწიფის ბრალი იქმნება, და მისი გაურვიებლობა და საბრალეობის მოუკლელობა მის დაძაღვისებელს ეკითხება. ამ სიტყვათა წადილი ეს არის: შენსა სამსახურსა შიგა საშინელნი მსენნი მრ-

გაღნი აზრის საქმის გამრიგენი, შემძლელებანი, და მისანდობელნი და ეგეთისა საქმისაგა მარადინენი, და თუცა მათ ეგეთსა წყალობასა უზამ, თქვენს ბედნიერს ეუფლასა საქმობის ზრუნვისაგანაც მოასვენებ, და ივინიცა თქვენგან ამა ვატიოსისა დიდებასა დაიმაღლებენ. ქამიჯუმი უთხრა:

— ამა უარის თქმისაგან რაჲ სარგებელი გაქვს, ანუ ესეთისა დაჟინებითა რასა შეიძენ? მე არას საქმიითა შენგან სელსა არ ავიღებო. — ყირისამ მოასხენა:

— მე თუცა ხელმწიფისა საურავი ხელთ ვიპყრა, ეგოდენი მის გამგეობის გამრცდილობა არა მქვს, შეეგოთ საურავი ორ სასეთა კაცთა მისანდობელთა: ერთისა მეცნიერისა პირ - შენახულისა და მიუფერებელისა, და თვისისა სიტყვისა მქმნელისა და თვისთა წადილთა აღმასრულებელისა, რომე საქმიითა და ხერხითა და სიბრძნითა თვისი გაგებული წარმართოს, რომე რისხვისა ისრისა სსგნად არ დაიდვას; მეორე ესე, რომე უგადრისი მოითმინოს და არა ინაღვლოს რა, და ზრახვა-გინება, გმობა და მოყვირება არ იწყინოს. მე ამა ორთა კაცთაგანი არცა ერთი ვარ და არცა სიხარბისა და მოხუკებისა ნდობა მქვს, რომე ცუდ კაცობისა ტვირთი გზიდოო.

უთხრა წუობილი

რადგან დმერთმან გამხისა,
სიგლასაჲე წარმიჩინა,
ჭკუა ტვინსა დამხინა,
და სირცხვილისა მომარხინა.

ხელმწიფემ ეგე საგონებელი ეუფით გაიძოს და მე მაგა ტვირთისა ჩი-დვისაგან მათავისუფელოს, ამისთვის რომე, თუცა მე საქვეყნიეროსა ბაკთა თავსა შევიწყვადე, ეგრე შომისდების, რაჲცა მათ რომათა თაფლით საკსეთა მსდართა ბუზთა მოკვლინაო. ღომმა ჭკითსა, როგორ ყოფილაო?

ყირისამ თქვა არაკი

მოუუბნებიათ: ერთსა დღესა ერთი საბრალო, ბუნებით წმიდა, წესისა მტკიცედ მხერობელი მწირი ერთსა სავატროთა ვლიდა. მუნ ერთი საბრალო მეზუნგიაე ნასა; სიგლასაკითა მცირელი შემოსავალი ჭქონდა, და იგი ამა ვატიოსისა მწირსა ცოტას ხანს მის დუქანზე უეუფდომასა და განსვენებასა ეკედრა, და იგი მისის სიტყვით მუნ დაჟდა, და მეზუნგიაემ ვატივი სცა და ერთი თასი თაფლითა ააესო, მწირს მიართვა. მას თაფლის თასსა, ვითა წესია, ბუზნი მიესვენენ, და რომელიმე თასისა პირსა დაჟდა, და რომელიმე საშუალ თასისა. რომელნიცა კიდეთა ისდენ, ავიღად გაფრინდენ, და რომელნიცა საშუალ სხდენ, ფერსთა თაფლი შეეწება. რა გაფრენას ეცადნენ, ფრთენიღ თაფლსა მიეკრნეს და სიკვდილის მსხეში ჩაგვიდენ. მწირს გაეცინა და ხელი შეიტკეცა. რა მწირის უსილავი ზღვა დამშვიდდა და სიცილისა და განკვირების ღელვა დაწყებარდა, მეზუნგიაემ ჭკითსა:

— ეჭა, სასურველო! მე ხილული ზუნგია რომელი მქონდა, შენ გიძღვენი, და რაღაცა შენისა უხილავისა ზუნგისაგან სცას, მე გამომიცხადეო.

უთხრა ცაეში

აღაღე ტკბილნი ზაგენი, შაქრის გემოსა მავენი!

მწიკმა უთხრა: ეს სოფელი და მისი მოყვარე ამ თასში დავინასე, და დაფარული ცხადად მებეჭნა. ეს თასი ამ სოფლის მსგავსია: თაფლი სოფლის მოცემული კეთილი(ა) და ბუნნი—მისნი მჭამელნი და შეთვისებულნი, თასის კიდესა მსხდომნი—სახრადო გლასანნი, მცირისა საზრდელისა დაჯერებულნი, და თასს შუა მსხდომნი—სისარბისა და მოხვეჭის მოქმედნი კაცნი, რომელთა საწუთოს შუა ჟღომს კეთილი ჰგონიათ. მათვე სოფლის განწყობული მასე უადვილესად შეიპყრობსო.

უთხრა შაირო

რად შესვამ სოფლის ჭაშნივსა? თუ ესე გესაწყინარა მისგან, რომ სრულად დაება? მან შეაჭირვა ვინ არა? თუ გინდა შენი ცხოვრება, მშვიდობით დასაძინარა, და ეგრევე ცოტას დასჯერდი, რაღა მოგერთვას წინარა!

ამა არაგისა გაშირება ეს იყო: სელმწიფემ ჩემი ბოლო ფართა ამ სოფლის თაფლით არ შემწებოს, რომ რდესცა ჩემის სულის ამოხდის უამი მოიწიოს, საიწიოს გზას წამავალობა ადვილად შემქმლოსო.

უთხრა ლექსი

მომზადე შენი საგრობა: უამის სისწრაფის დრონია, გიწოდონ, წარსულა შეგემლოს, მგზავრობა საადრონია.

ქამიჯუმ უბასუს: თუცა კაცი თვალსა სიმართლისაგან იპყრობს და სამართლის გზასა არ გარდაუჭტევს, და წყალობისა და მოწყალებისა კვალსა არ დაჭკარავს, და უსამართლოთა და ბოროტის მოქმედთა ავის ჩვეულობისაგან მოაჭტევს, მისი სვე-სუიანობა ამავე სოფელს გაშიდიდრდება, და მას საუკუნოს მადლობა ხარისხთა აღიწევსო. ყირისამ მოასსენა:

— თუცა სელმწიფობის მოსავალი წესითა და რიგით იპყრან, მათ სამართლის სუნსელებითა სუნი ეწონებათ, მაგრამ მე ამ სოფლის საქმის სიმტკიცესა და სიმაგრის სასესა მინდობა არა მჭქს, ამაღ მისი დროსა და წესის მყოფობა უხანრა, და მის მდგომარეობას¹⁹⁸ გული არა სამს დააჯეროსო. — ქამიჯუმ უთხრა:

— რადგან ჩემი წადილი შენით აღესრულება, მით შენ უბადოდ შიშის მორქესა შინა თავსა ნუ აგდებო. შენ რადგან ეგეთი სიკეთე და კეთილი ბუნება გაჭქს, მაგას მტერისა ფარულისაგან არა ეწება რაო, და თუცა მტერის მონიე-

¹⁹⁸ ვარიანტი: და მის მე გო ბ რ ო ბ ა ს ა.

ბა რამე, მე მას უერთა მოკუეულარტნი, რომე მათი გჳა ჴეიკრას და ჴენ დიდებისა და სიკეთის სარისსთა აღვიყვანებო.

უთხრა ტაეპი

მტრის სრავსა რადღა ვეკრძალე, თუ მოყვარე მეყვს მეძალე?

ვირისამ მოასსესა: ესეთს წყალობას რომე მიპირებ, ხელმწიფურის მოწყალებსაგან ჩემთვის ის უმჯობესია, რომ გამიშვათ და ამა კელსა ჴედა განცხრომით ვიარგობდე, და ამა სწუთრას კეთილისაგან წყლითა და ბაღასით ვიშვებდე.

თქვა ჩანრუხაული

ერთს წამსა გუღით, ედემსა რგუღით, სისარული სჯობს მოწყუენინარად, ათასთა წელთა გაუზომელთა ხაღველთა ვიყო შენაყინარად.

ქამიჯუმი უთხრა: მორიდებისა ზრუნვა გუღით განიშორე და ჩემად მასლობელად თავი იჩინე და ყოვლისა საკარტავისა¹⁹⁹ ტაეპს თავს დაიდევო.—ვირისამ მოასსესა:

— რადგან ჩემი საქმე ესრე მოგიწადინებია, უარი და უქმნელობა რადღა გავწყო? თქვენგან ერთი პირობა მინდა, რომე ჩემთა ხელ-ქვეშეთა ჩემი იმედი ჴქობდეთ, და ჩემნი სწორნი და მოღარენი ჩემის შერისხვის მოშიშრნი იყვნენ და ხელმწიფის გუღი მათის საბერგლით არ გამოცვალონ. ამისი საგონებელი არ განიშორო, ჩემხედ მოწყუელს სერსსა და სრავსა ჩსრკვა დაუწყო, და ჩემის სიკუდილის მოწყადინეთა ყურის მიუზერობლობა რიგინად გამისრულო.

უთხრა ლექსი

ცილის წამების სიტყვითა გუღს ნუ განიწყობ ჩემადო,
მტერს მტრობა შეენის მოყვრისა, მეშინის გასასემადო.

ლომის მას დიდი პირობა დაუღვა და თვისი ქვეყანა, მოსავალი და საუნჯე ყოველივე მას მიანარა. ყოვლის თავის მასლობელთაგან იგი უადრესად გაამდიდრა და ძნელთა რჩევათა უმისოდ არ იქმნა. ხელმწიფის ჴვაშიადი მის მეტ-მას აღარავინ იცოდა, დღითი დღე ლომისა მასხედ სარწმუნოება ემატებოდა; ესრე შეთვისდენ, ვირისაგა მისად უმსახუროდ წამსაგა ვერ დადგებოდა, და ვერცა ლომი უმისოდ წუთს გასძლებდა.

უთხრა ტაეპი

სადაც მოჭერობა მოემატება, ყოველი ასრე დანსატება.

ბანამან თქვა ანაკი

უამბიათ: ანახის თემის ერთი ხელმწიფე იყო სანელოვანი და დიდებული.
მის უამთა ხელმწიფეთა მისის მოჩნილებისა საუური სულისა ყურთა შინა გუ-
ყანათ, მრავალთა მეზატრანეთა მისის როარტავის ბრძანება თავსა ზედა
დაედგათ.

უთქვამთ შაირი

მეფე ძლიერი, მოწყალე, უხვი და სანელოვანი,
ჭკეულისა მამუნბელი, ქალაქად შექმნის კლდოვანი.
მტრნი სულ დამონებოდენ, ვითა ზროხანი მძოვანი,
და სიბრძნე ზე ამალლებოდა, ჭკე ჭქონდა ცნობა მსცოვანი.

მას ერთი ასული ჭყვა ტან სარო, შირ მთვარე, სახე ნათელი, მზებრ
ბრწყინვალე, თმა მუშვი, ყოველთა მასუნელბელი.

თქმულა მრჩობელედან ჩახრეხანული

დალის ბაკნი, გულთ სადაგნი, ჯიმშედის ბუქდის თვალთა სანარი,
მის ბუქდის დერო თუ დადერო, ტური უმცროსად დასაქადარი.
შირის სახენი, ღრუბელს ვსასენი, ორიონისა უწითლედ მქნად,
თმათა დალაღნი, ტრთვალთ დამლაღნი, დაღს დასმიდა ზედ დასაჩენად.
შირ-მზე, ნათელი, ვითა სანთელი, ცუცხლის მსახურთა სათაყვანები,
მშვილდური წარბი, მისგან ვერ წარბი, ისრად წამ წამს გერავს, გექმნას საგნები.

მამად თვისსა ასულსა სსვათა უნახავად ინახედა და მას დაუფასებულსა
მარგალიტსა დატარვით სადავითა შიგან ზრდიდა. მის ქალისათვის სამკაულისა
შემზადება დაიწყო და ერთისა ხელოვნისა ოქრომჭედლისა მოყვანება ბრძანა. მას
ქალაქსა შინა ერთი უცხო ოქრომჭედელი იყო, რომლისა ოქროსა ბრძმედად
მზის დისკოს ბუდე და ვეცხლისა სანდობლად ახალი მთოვარე ეფერებოდა.

თქმულა შაირი

დღე და ღამე სწავლას ზომდა, ოსტატობით ინახებდა,
თვისსა ხელსა ოქროთ ჭხდიდა, ოქროს ყოფე შეიკრებდა,
მისსა ქმნილსა ვინც ნახვიდა, თვალთა განსაცრებდა,
და მისთა ბამთა ვერ შემძლენი უამთა ცუდად წარბებდა.

ხელმწიფეს მისი ჭკვა მოასსენეს და რავინდარა მისი შემზადებულიცა
ახვენეს, დიდად მოაწონა და მოაწოდდა, და საჯალბოთა სრათა მოიმო და
ასულისა სამკაულისა შემზადება უბრძანა. ოქრომჭედელი დია ენა შირიანი და
მცოდინარი იყო, და მისი საუბარი ხელმწიფეს მეტად იამა, და მისმა ბედნიერმა
გულმა მისი სლება მოინება, და იგი მიწვით უცხოასა და საკვირკულსა ამბებსა
მოასსენებდის სოღმე. ამით მის ზატრანისა გულსა შეითვისებდა, მანამდისა
შინა მოასმასხურე შეიქმნა, ხელმწიფის ასული, რომელსა მზისა და მთოვარის
შუქი არ მისდგომოდა, იგიცა მისი სასილველი შეიქმნა.

ტ ა ე შ ი

რაც გულისა შეემყისება, ჯალაბთა შეეთვისება.

მის ხელმწიფეს ერთი კეზირი ჭყვა ბრძენი, ჭკუა ჭებული, რხევაში სასელ განთქმული ესეთი, მისი გონიერებისა კალამი ჭყეყანას დაიპყრობდა, მისი წერილი გამარჯვებას წარმოაჩენდა, მისი საგონებელი საბედნიერო სამკაული და სვე-სვიანობისა შესამოსელი იყო; სჯულდერთა და დიდებულთა მისი ნათელი გზები დაუპყრათ, თემთა და ჭყეყანათა გამკებულთა მისი საწერელი წინა უძლადათ და სიბრძნითა და კეთილ ქცევითა ხტარებდა.

უთქვამთ ლექსი

მისის წერილის მდინარე ჭყეყანას ზედ მოჭყენია,
ას რიგს წყაროს სმენ მელხისგან, მწყურვალნი იგ მეფენია.

რამან კეზირმან სცნა ხელმწიფისაგან მის ოქრომჭედლისა ეგეთი ქცევა და დაჯერება და ზომისაგან მეტი ჰატივი და სიმაღლე მის ზედა მიღებული, მის სვე-სვიანობისა მართებულობისათვის საწვრთელად ენა ააღო და ესეთის სიტყვით მოიუბნა, რომელი ჰატიოსნისა ბაკთა არ გასცილებოდა, და სიტყვისა სადავე ოქრომჭედლისაგან მოიბრუნა და მოასუნა:

— ხელმწიფე, ცხონდინი ჰირველნი მეფენი ხელთ-უფალთა თვისად მოსამსახურედ და შინაურად არ შეიყვანდენ, მისს ალაგს ჰატივი რაღაცა ჭფერებიით მას უეფოდენ და მათს ამხანაგთა ზედა აამაღლებდენ; აწ თქვენ კაცი იგი შინაურად გაგიბნია და სიმტკიცის საკითხავად შეგიჭნია. ესრე სამდა, რომელიცა მაგისი საფერი იყო, მის გზით გამსახურებინა. მე ესრე მგონია, კაცსა მას კვარ-კეთილობა და ჯავარ სრულობა აკლდეს, ამისთვის არამც მისი სიტყვა ერთა შესაწერებელი იყოს? ესეთისა კაცისაგან წყალობისა მუქათვისა არ ველიო.

მოახსენა შაირი

გინცა მოელის უგვანთა კაცთაგან რასმე კეთილსა,
მას მიჭკავს— ძეწისა სილს სთხოვდეს არ მდგარსა, ჭვე მოკვეთილსა.

მე გამომიცდია, მეფენი რომელსა საბოძვარსა და ნიჭისა გაუმრავლებენ, მეშურნე კაცნი მეტისა წყენითა თვისისა თავისა სიკვდილსა მოიწადინებენ. ბრძენთ უთქვამსთ: ესე დიდი ბოროტიაო სსვისა მიცემა და საბოძვარი კაცსა მეშურდესო.

მოახსენა შაირი

მეშურნე კაცსა არა სთნავს სსვის საწადლისა ჰოვნანი,
ანგარი ცხიმსა დაიცავს, სძულს მწერთა მისი წოვნანი.
დაზოს ტაბლითა მუდომელსა ჭჭონდეს სანთადა ეოვნანი,
და საზრდოს ჭამისგან უფრო აჭკს გულთა შურისა ძოვნანი.

მეპატრონეთა მოალერსედ ესეთის კვარის კაცნი უნდა მოიძიონ, მეცნიერება სრული ჭჭონდენ და მაღლისა ჰატივისა ღირს იყვნენ. უკვაროსა და ყრმებ-

რეკსა ხილისა მოკრეფა არა გზინანა. ესეთისა გვართა შეთვისებითა მრავალი ავი აღიძვრის და ყოველი სასირცხვილო საქმე ორ-პირისა კაცისაგან გამოვა.

მოახსენა შიარი

გისცა მინდობა არა აქვს მას უპიროსა პირისა,
მისგან ბოროტი რად გიკვირს, ქმნადა დაიწყოს ძვირისა.
მუსთლობა უარესია ყოველის სიავის ძირისა,
და სამს მორიდება ღადრისა, ტებილისა, ენა ხშირისა!

სელმწიფემ უბრძანა: კაცი იგი სახითა შეენიერა და რომელსაცა კაცსა სახე კეთილი აქვს, ყოველისავე საქმისა კეთილად განგებისა ნიშანო. დიდთაგან ნათქვამია—უსტარ გარ წერილთა* მის უსტრის სიკეთე იცნობებისო.

უთხრა ლექსი

ჭკვიანნი კაცნი იცნობენ გარკვამ შინა წერილთა,
მისის საქმისა ამბავსა, სიკეთე სელთ დატყერილთა.

ბრძენთ უთქვამთ: საჭირო რუგა კაცმან უნდა აღმოიკითხოს. რომლისა სახე შეენიერებით შემკობილია, მისსა კარგ კაცობასა ახლის კეთილის პირით გამოელადე, რომლისა ამბოვისა პირი კეკლუცობისა სამოსლითა შემკობილი იყოს. ესე სიტყვა ამაღ უთქვამთ, სახისა სიშენიერე ბუნების სიკეთის ნიშანი არისო.

უთხრა ლექსი

რაც შეენიერი იხილო ბუნების გამოსახუნად,
ავს ეტყოსა ნუ დაადგრები მისის სიტყუდის დაჩენად.

გეზირმა მოახსენა: სიბრძნისა და ჭკვისა კაბადონთა შინა სიშენიერისა ქებასა არა აღმოიკითხვენ, სიკეთის დასაბამად სამართლის მეტი მოსაწონარნი და საქებარი არა უთქვამთ რა. მრავალი კაცი ესრე შეენიერა, მნახველთა გულისა მისტაცებენ, მაგრამ რა გასინჯვის ილკერო კიდონტის ქებას ეცემის, მაშინ გამოუსადეგად იცნობებიან.

ბრძენთ არაკად უთქვამთ: ერთმან ბრძენმან ერთი შეენიერი ჭაბუკი ნახათ, და გულისა მისისა მისი მეგობრობა მოუნდა. რა შეუარა და ახლეს მისი საქმისა ტვირთი გასინჯა და სისუფთავე, რომელი ეფერებოდა, იგი არა ჭქონდა, ბრძენი გაეშორა და თქვა: კეთილი სასლი იყო, თუცა შინაგან დებულ იყო რამეო!

მოახსენა ლექსი

იგავად ნახე ლერწამი, ორივე ადგილთა მდგომარედ,
ერთი შაქარსა გიკეთებს, სხვა—ჭიღობს დასაჯდომარედ!

სელმწიფემ უბრძანა: სახის სილამაზე ბუნების სიკეთის მოწმეა. ორტახა-

* უსტარ გარ წერილთა—უსტარის გარს წერილითა.

სის ბუნების ძქანებელი ბუნებასა მოერევისო. ამას მწერთელი არა ჭყლია, ამისთვის მისი სიკეთე კეთილობის გვიდამ გადრეკილა. აწ რა წყალობის მოიძევე შეიქმნების და ჭების და ძეგების სასესა გააჩნევს, სიკეთისა სარისსთა აღიწევასო. თუ წვრთასა ჩავარდნა ჭვასა სისარულია მოძმსტებელს იაგუნდად და გულის გამსსნელს წყლიანს ლაღად შემსადებს, და შავი სისსლი ბედისაგან სუნსელ მუშად შეიცვალების, და წვიმისა წვეთი აბოლს მარგალიტად იქცევის, —

თქვა შაირი

ბუნებით წყალი ნოტიო იქმნების მარგალიტა,
სისსლი გამუშადეს სუნსელად, უშემს ვერ დაიტა,
ჭიმიან შესტვლის ოქროთა, რკინის წაღვი თუ კლიტა,
და კაცი რა არის — ვერ მოვსწვრთნა, რა თვალნი დავატეიტა.

ვეზირმა მახსენა: ეჭა, სელმწიფეო! რომელსა გვარად გულ-მწერალობა სჭირს, იგი წვრთილთა მოიშლის და თუცა გულ-მწერალი არ არის, რაგვარადაც ყოველი სისსლი აფერივის მუშად არ შეიცვალების, აგრევე უგვარო და უგვარო ათასთა წელთა სწვართო და ჰატივი მიაჰვრო, მისგან კეთილს ნუ მოუღიო.

უთხრა ლექსი

ქეწნი თუ აღოდ მიგანდეს, ზარდო, შესწვართო, მობარო,
ვერ იუნოს სუნსელბასა, ქემელა გამომობარო!

გვარინი კაცი თუცა ას რიგად დაამდაბლო, მისი გვარი და ჯვარი არ გამოიტვლება. ერთს ჰატიოსანს კაცს ამსვედ

უთქვამს შაირი:

ვისცა რა გვარი არ შესწევს, უგვარო არ ტომოსანი²³⁰,
რავინდ შეამყო ოქროთა, შემოსად ჭყო სტაქროსანი,
ძაღლის მწერს კარდი დაუგდო, სედა დაბურო სოსანი,
და ძაღლის მწერსავე უწოდენ ყოველი ენა სმოსანი!

ოდესტა კაცმან სცნას, სამს უგვაროსა ვისმე არ შეეთვისოს, რომე დადაბლების მორეკში არ ჩაიქრას, რაგვარადაც ერთის სელმწიფის შეილი სარისის შეთვისებითა მონა შეიქმნა, და მონებისაგან სიკვდილის მინდროთა გაჩენასა მტერი დაუგლდაო. ხელმწიფემ ჭკითსა, როგორ ყოფილაო?

ვეზირმან თქვა არაკი

მოუარაკებით, სზარსთა ქვეუანსა ერთი სელმწიფე ჯდა სასელოკანი, ბუნება კეთილი, რომლისა თემთა მოკლისა საფუძველი გლესთ მოკლისა და მოწყალებსა ზედა დაეღვა, სელმწიფობისა სნატი სამართალსა ზედა გაეუინა.

²³⁰ ვარიანტი: უგვარო ა გ - ტ ო მ ო ს ა ნ ი .

უთქვამსთ ფისტიკაურბი

სამართლის ხელი ზე გაემართა, თემთა წყალობის მისაფერებად,
უსამართლობის ფერსი დაება, შეებორკილა მოსაწყენებად.

მისთვის ღმერთსა ერთი ვაჟი ებოძებინა, სიმხნისა და სანატიურობისა
ნიში შუბლთა ახნდა, ჭკუენის მზერობელობისა და თემთა უფლობისა სსაწყალო
პირის სასეთა შესტეობდა.

თქმულა ლექსი*

მზეს უგვანდა მოკანება, მთვარე გახდეს ნახვით შლეკად,
სხვათ ვარსკვლავთა მისი დარი არ ენასათ ჭკუენის ნერგად,

ამა ყრმასა მსარხედ ნების სიფართოვე შავი ნიშანი ახნდა. რა მამამან იგი
ნიშანი ნასა, ფერი ეცვალა და მის ყამის ბრძენთა მის ნიშნის ნიშატი ჭკითხა.
მათ მოასსენეს:

— ჩვენთა წიგნთა შინა ესრე წერილ არს: რომელსაც ვისმე ესეთი ნიშანი
ჭკონდეს, დიდსა საშიშართა საქმეთა შეკარდების, მაგრამ თემისა და ჭკუენისა
დამზერობელი და დიდებული შეიქმნებისო. სელმწიფე დიდად გასარებული შეი-
ქმნა და გასარდელად გამოსადა. მის სელმწიფისა მეზობლად ერთი ხარაზი
ესასლა, ავ-თესლი და არა-წმიდა. სელმწიფე მას სამადლოდ პატივსა უყოფდა
და რაჭიკსა და საბოძარსა აძლევდა. ამის გამო განსვენებით დღეთა აღამებდა.
რა სელმწიფის შეილი რვის წლისა შეიქმნა, თამაშობდის, იძლეკბდის და ზე-
დი-ზედ მის ხარაზისა დქანთა მივიდის ხოლმე, და ხარაზიცა შეაჭტეკედის და
ახალისებდის. გეზირმან რა სცნა, მისსა მოშორებდას (ზედა) ცდა დაიწყო და სელ-
მწიფეს მოასსენა: ყრმათა გული ცვილებრ რბილია, და სადეთაც გარდახრი,
მოდრეკება; და ესე არა სამს, შეფეთა შეილი ხარაზთა-თანა იყოფებოდეს, რა-
მე მისი უგვარობისა საქმე მასცა არ გარდევას და გულთა არ ეუფლოსო, და
სელმწიფობისა ვარსკვლავი უგვანისა დრუბლითა არ დაიფაროს და მისი მალა-
ლი რიგის გზა არ გაკვლიანდესო.

უოსრა ცაეზი

უგვანის ბუნებისაგან ქმნა ნურა გიგვირს ნურასი.

სელმწიფემ უბრძანა: იმა ყრმასა ხარაზი იგი შეუფარებია, და რადგან მე
შვილთ მოყვარე ვარ, და თურც მისი გაწყობა დაუშალო, ყმაწვილია და ეწუენი-
ბის, და მისი გულის კლება მე არ მინდა; მანამდისი დაჯალო, ვირე გაიხარ-
დოს და ვაი და ავი გააჩიოს, და მერმელა მის სწავლასა უძობესად გაავაგ-
ბო. გეზირმა აღარა მოასსენა რა და დადუმდა. სელმწიფემ ხარაზს მოუწოდა
და წყალობას დაჭვირდა, გულის დასადებელი იმედი უბრძანა: ჩემი მეზობელი

* მეორე ქმ-ის ვარიანტში სათაურად კი არის დაწერილი «თქმულა ლექსი», მაგრამ
გვით ლექსი კი გამოტოვებულია.

ხარ და ყრმა, ღვიძლის ჩემის ნაკვეთი, შენ შუგთვისებია და ესე მინებს, მას
აამბობდე და ტრცხლსა და წყალს მოარიდებდეო.—სარაზმა მიწას ავრცა.

მთასხენა ლექსი

მეფისამც კარდი წაღვოტი ქვეყნად ფშვის სამიწყაროსა,
მისის ღამისა ღამზარი დღის ფაკლად დაშრტეს აროსა!

მე მონა თქვენი თავსა ჩემსა ამა სასელოსა ღირსად ვერ ვხედავ, და ესე-
თისა ხარისხისა აღსკლისა კადრება ჩემგან შეუძლებელია, მაგრამ რადგან ხელ-
მწიფის გუგა ჭიმინასკით შავს მიწას ბრწყინვალედ რქროდ შესცვლის და უბ-
ვანსა ქვასა სპეკლად შეიქმს,—მეც ისრე ვარო.

მთასხენა ტაეზი

გაკლის—მიწას რქროდ შესცვლის, დახედაეს —ქვას გააღაღებს!

აჲ დიდი იმედი მქვს, რომე სელმწიფის წყალობითა მისი სამსახური ვა-
თაო, და რიგინ მკვანდინო და დიდი სასელი გავფინო. მასუგან მას ყრმასა
სამსახური დაუწყო, კანდიერად აიქვის და თვისთა სასლთა ზედა-ზედ წაიყუა-
ნის და ხან სელმწიფისა კართა მიიყვანდა, და ღამე და დღე თვისსა სასლთა
ამყოფის. ხელმწიფეტა სარაზსა მოწყალებისა თვალთა სჭკრეტდა და იგიცა
დღე ყოველ ყრმასა სამსახურსა ასეკნებდა, ვირე სრული მისანდობელი შეიქმნა,
და საქმიანც ზატვიის ჩოგნითა ამსხანგთ ბურთი მოსტაცა.

თქმულა ტაეზი

სამსახურისა ჩოგნითა ბურთი მალ მოიტაცების.

დღისით სელმწიფის სამსახურად მიიყვანის, და სადამო ვამ წაღ-
ვოტთა და საფუნდრუგოთა ადგილთა დიდსა ხანსა შექტევდის. მას სელმწიფე-
სა შორი მგზავრობა რამე მოუსდა და მსეელებისა და ხადუმებისა წავიდა; სა-
რასსა მოუწოდა და შეიღი გულით შეეგდრა და მისის მოკლისათვის შეესეწა,
ხარაზმა სამსახურს ვამტა. და ქალაქს ახლო ერთი წაღვოტი იყო,* სამოთხესა
ჭკვანდა: მისი ერთმანერთში გაბმული ვარჯები დიდის ნიავსა მიგრეს-მოგრესით
მუშესავით დაეფანსა, ჩრდილლას სუნსელებსა ხანჩანის პირისაგან სველი ამბა-
რი ატაცა; მის წაღვოტისა სურვილსა ყოველი სუნსელი და შენიერნი ყვაილ-
ნი ცნობილად გამოყვანს და დას-დასად მუნ მკვიდრობა მოეწადინათ, ნებით თუ
ძალად თითოსა ადგილსა დაზრობას ცდილობდენ, შრომანი გასუნსელებული
ბრწყინვალედ მდგომარე იყო, სარდიონი სსუა და სსუაობითა ყნოსასა ფშვიდა,
ყარამფილისა ყვაილისა უცხოდ-და-უცხოდ მთვარლივით თვალები ასჭკრელებოდა,
ტუხტსა, კველუტს ქალსავით, ფერად-ფერადი შეემოსა; ნარგიზი მათს წამწამს-
ვით სშირად ვარე შემოსეოდა, სანთელა მათსავე ღაწვთაებრ ტრცხლებრ ეტყინე-

* მთნთავე ვარიანტების არშეიხე ამ ამბვის პირ-და-პირ მიწერილი არის (ორზე სუ-
ცურის და ორზე მხედრულის ასობით) შენიშნვად სიტყვა: «ჩ ა მ ა ტ ე ზ ე ლ ი ა».
რედ.

ბოდა, ლაზარდის ყვაილი სარინოდ ყველას აშენებდა; ოღენას ფეროზის ალ-
 მადი ჩაეკვამ, ია მორცხვად დამხუროთ ისეღვიდა, უდი ალაღებით ზე იჭკრიტე-
 ბოდა, კონივარდა მონურად თავ მადრეკით დგა; ადრეგური მათის შურით
 გამწერალიყო, ნასრანსა მრისსახებთა მრავალი ლასკარი მოესხა; ფური-სულს
 ჟარად და ჟარად დარაძმებულყო, იასამანი მებრძოლსავით ზღუდეს შესეოდა;
 სვართქლა მოშათისავით საბელზედ გასრულ იყო; იაკოსტასა ხრმალი მოეწვადა,
 მრეს-უჭკრიტესა დარაკა დაუთარებინა, სუგო ლასტითა იცემებოდა, ხაშხაშას ბუმ-
 ბასასროლად მოემზადებინა; არღვანნი, დაგოდელსა მემარსავით, სისხლით
 შესვრილ იყო, ყაყაროსა გუშტობით საყულო გარდახევა, კარდსა ფრჩხილითა
 ღაწვი დაესოკა; შაშხა გაცვიფრებით ფერ-მისდილ იყო, ქურქუმს გუელსა შე-
 მოჭყრად და სოსანსა სამგლოვიარო შეემოსა. ყოველთავე თვის თვისი ადგი-
 ლი დაუხურათ და სამოთხის სის საფურის ყვაილითა დაჟღაჟობათა კაცის გუ-
 ლი მასეთა შივა გაებათ.

მრჩობლელი თისტიკაჟრო

სიკეთით ბალი სამოთხეს ჭკვანდა, — თუ არ იქნას რას შევადარო?
 მის სამოთხისა ვარდი ქაჯს ჭკვანდა, შენებით სრული დასაქადარო.
 იასამანი ღვინოსა ასიქვდა ნარგინს, ფილა ზელთა ეჭირა,
 ია დამთვრალი მიგდებულ იყო, ვარდსა მიბრუჟით ჭირი ეჭირა.
 ნარდიონს თმანი მისარედ გარდგდო, ღვინოს გაქსნას ნარგინთა ყური,
 ბულებულთა ხმასა კელარ ისმენდა, ესრე შესვლოდა აშოთა შური!

სელმწიფის შილი მალ-მალე მის წალკოტისა ნახვად წავადის და სელმწი-
 ფეცა სსვანს წასულოყო. რა ყრმა იგი, წესისაებრ, წალკოტად მივიდა, თვისნი
 მსახურნი და ხადუმნი თან ახლდენ, მოთვალული გვირგვინი ეღვა და მომარგა-
 ლიტული სამოსელი ეცვა. რა თვალ-ბორბოტისა სარაზმა ნასა, უგვარობისა სი-
 ხარბება თვალნი დაუბრძო, ორგულეებსა და ხრესსა სელი მიჭყო და საგონე-
 ბელთა თვისთა იტყოდა: ესე გვირგვინი და შესამოსელი ასის დიდ კაჭკასსა სა-
 თაგნოდ ეკმაების და ათასსა დუქანსა აავსებს. მამა ამისი ქალაქს შორავს, და
 დედა და სხვანი მონანი მე სარწმუნოდ მსედვენ; აწ მას ყრმასა მოვიტაცებ და
 ძვირფასად გავყიდი, და რაცაღა დღენი დამჩრომი სისარულითა და შეებით
 დაჯაღამებო.

ჭკვა ღექსი

რა დრო მოგეტეს, ეცადე, სელთა ჩაიგდო უნჯია,
 ბუდი კარს გირეკს, სვეს გაძლეკს, რა რეკარდამო ლურჯია.

მან უწმიდურმან თვისი უმსგავსი ბუნება ეთერის ცუცხლით ალატენა, და
 მინდობის შირის-წყალბ მიწათა დასთნია, და თვისსა უთელის წელსა ბორბო-
 ტი შეამთხვია: ერთი მონათავანი მოიბირა და სხვით ყოველთა საძილო წა-
 მალი შეასვა, და ყრმა მშინარი ერთსა კიდობანსა ჩააწვინა. ღამით ერთსა ჟამს
 აქლეშა აჭვიდა, რომელთა სისწრაფით მოთვარესა მოეწოდა და ქვეყნის მზომე-
 ლიცა მისსა სიძალესა ჭკვირობდა.

უთქვამსთ ფიბტიკაურნი

ცისა უსწრადე, მთვარის უმალე, დაღმა ღვარულად ჩასაქანულად,
სან ორთქლსაკითა აღმა ამბენი, ღრუბელსა შერთვის არ შერებულად.

თვითცა ერთსა ტაიქსა აღჯდა, კაცის სიტყვასლესაკით ჩქარა მავალსა,
ისრის სკლისათვის ფერსი შეეშურა და მესის ელვისათვის სინანტე თავსა დაე-
დვა. თუცა სადავესა დააფრიდა, ბურთსა შიშით გასტატებდა, თუცა მათრასსა
ჭკრეკდა, ჭკურთა აიჭრებოდა!

უთქვამსთ შიარი

ყურ გრძელი, ქანჩი მახვილი, ჩქარი, ქარულად მავალი,
გაუჭირებულად გამბედი, ედავ რაც წინა სავალი,
თუკზურად ზღვაში მტურავი, ხმელსუდ ერბინა მრავალი,
და სრულობით დაუღალავი, ვით სარბს ჭყოფს შემოსავალი.

მონაღ იგი ერთს სხვას ცხენსა შესვა — ქარფესსა, ბასრის მღებელსა, ელ-
ვის მსგავსსა და ხმა ქუხილიანსა.

უთქვამსთ ლექსი

ვით მონაზარდი გავასი, ჭკურთა დაუშრომელი,
ღრუბლისა უსუბუქესი, ნიავს დაჭქონდეს რომელი.

ორი სხვა ცხენი დამარქვამს და საგზალი ზედა აჭკიდეს და შირი გზად
დააბურეს, და მას ღამეს გათენებამდი შორი და გრძელი გზა გაუღეს. დილას
შცირეს ხანს შესვენეს, და ესრე სწრაფად იარეს, ორსა დღესა მის ხელმწიფი-
სა საზღვარი გაუღეს, და სხვისა თემს მივიდნენ. მას წალკატსა შინა სადუმ-
ნი და მონანი შუადღემდე უნრობო ევარნენ. რა მებაღემ საჭმე ესე სცნა, ნუ-
შისა ზეთი ცხარს მძარსა არივა და ყოველთავე ცხვირთა აწკეთა, ეგრე ცნობას
მოიყვანა. ხელმწიფის ძე და სარაზი კელარსად ჰპოვეს. ქალაქად შევიდეს და
დედას მისსა აცნობეს. მამინე დედა მისი ცხენსა შეჯდა და მას წალკატსა
შინა მივიდა. რა ვარდის სუნი საყნოსელსა მისსა აღარ ეცა,

თქვა შიარი

ბაღს მიუელ, სარო არ დამხვდა, მომაკლდა თვალთა ჩენანი,
გაშლილის ვარდის სიტყვისა აღარ შეღირსა სმენანი,
თვალნი ცრემლსა წვიმს უმისოდ, ვითა ღრუბელი ზენანი,
და რით შეღინება გულ-წყლულსა ეს უღსენელი წყენანი!

რა დედამან მისი თვალის სინათლე კელარ ხასა, შექმნა ტირილი და კა-
ლაღება, მისისა დადაგულისა გულისა სულთქმა ზეცად აღიწოდა. ყოველთა ად-
გილთა და გარემოთა აძებნებდა. რა ჰოვნისა საწადელი კელარ აისრულეს და
მალე მსროლნი და შიჭრეიანი ცუდ მამკალნი მოკიდნენ, დედა მისი მომორკე-
ბისა ცეტხლითა ვითა სანთელი იწებოდა.

იტყვად ლექსსა

მომშორდა, სული გამქვტა, გულსა შედების ალები,
თუ საყვარელსა ვერ ვხედავ, რადღა მისხენან თვალები!

ღამესა გულის წვით ათეხება, და ღვიძლი ღიფსავით ენთებოდა და ფირ-
ტვიდამ მწუხარე სულთქმს ამოუშვა.

და თქვა ლექსი

სულიდა მიდგას მტკუნვარე საყვარლის მოშორებულად,
ესეც მას უგან მივსწივო, ხორცი დაკავდო ვებული!

რა ესე თქვა, საუკუნოს გზასა მიმართა და წასულის დრო მოუვიდა, და
სულისა მიმტაცებელი ბრძანება ზეგარდამო მოუვიდა და სიცოცხლის სანთელი
სიკვდილის ქარისაგან დაუშრტა.

ითქვა ტაუბი

წავიდა ვარდი აქადამ ესო, მისი კვლი გულსა დამესო!

ხადრეთა და კარის მცველთა საქმე ესე ყოველივე ხელმწიფეს მისწირეს და
რა აღმოვიტოს, გამობრუნდა და თვისსა ტასტას და ქალაქსა მოვიდა. ცოლის
სიკვდილის და შეილის დაკარგვის გლოვა გარდაიხსნა, და მერმელა დათმენის
ბაკთა შევიდა და ნუგეშინის ცემასა მოაჩილ ექმნა.

თქვა ლექსი

ესეთი საქმე რა კვითხე ჭკვიანთა მოხუცებულთა,
მითხრეს—წასულსა ნუ მისდევ; გაქცევით გამალეულთა.

მას სარაზმა ხელმწიფის შვილი შამს მიიყვანა, სამკაული გასძარცვა და
ერთს დიდ ვაჭარს მონად მიჰყვიდა, და ათსა წელსა მას მონებდა და ნებისაუბრ
ქმსახურებოდა. მას ყრმასა შეუნება იოსებისა ჰქონდა და გასყიდვაცა მისი მოუხდა.

უოსნა ლექსი

იოსებ მისრეთს გაჰყვიდეს ზომად ოქროსა წონითა,
შენ გფერობს სულით გიყიდო გულითა მოსაწონითა.

რა იგი სასურველი ახალ ნორჩი კვიზაროზი ვარ გამოვიდის, ყოველნი
ტრფიალებითა შეიფრფინეკვიდინ და დას-დასნი მის საროს ტანისათვის ხელ აწ-
ყრობით ილტყვიდინ.

ღექსი

ქალაქს ვაგლიდის—აქებდენ, ავს თვალთა არიდებდინ,
სულსა წინ სახლად უშლიდენ, გულს იგებს ქვეშ დაუფენდინ.

დიდ-ვაჭარი იგი კეთილი და მეტნიერი იყო, საგონებელსა ჩავარდა და თქვა:
ამას იქით ამა მონისა ჩემთანა ყოფა უმსგავსოაო. თუცა სახლთა ფარულად
შევიხსნო, ვერა კეთილსა ისწავლის, და თუცა ვარე ვატარო, არამც კშმაურისა
საფრხითა ცეცხლი რამე აღვგზნას, რადგან ესრე უსწორად ტურფა რამეო.

ლექსი

მოიწიფა გულთა ღსინი, მადლით სედავს ქვე ზენარი,
ნურვის თვალსა ნუ აჩვენებ, სულს არ მისვდეს სსწენარი.

ესე ესრე სჯობს, ყრმა ესე სზარსთა სელმწიფესა შეკძლვან: იგი სიუხვით
გარდამატებულია და რაცა ამა მონისათვის ფასი მიმიცემია, უმრავლესსა მომა-
ნიტებსო. მან დიდ-ვაჭარმან სზარსეთად წაიყვანა და სელმწიფესა უძლვან. რა
ათისა წლითგან მამასა გაჭყროდა, კელარ იცნა, რადგან გავსილი მთვარე ათოთს-
მეტისა (დღისა) შექმნილ იყო.

მოახსენა ლექსი

ათოთსმეტის წლის ჭაბუკი, ჩაუჭი მოუწყინარე,
მოჩნილი მოსამსახურე, მთვარე მოგვიძვენ წინარე!

კელავ თვისსა ქვეყნასა მისვლა ედირსა, და სელმწიფემან, შვილად უმე-
ცარმან, შინა მოსამსახურეთა თანა დააწესა. უყვარდა და დღე და ღამე წყალო-
ბასა და ნიტთა უმრავლებდა. მტირეს სანთა ამსანაგთა ზედა ზატოვი გარდაემატა.

ერთი სპეკალთა მსუიდეული (იყო), რომელი მიწით მეფისა საუნჯეთა შინა იმ-
სახურებოდა და სამკაულებიცა რამე ებარა. ყრმა იგი მას ეწყობოდა და ზატოვი-
სა უყოფდა, და სელმწიფის საბოძარისაგან მისცა წილსა დაუდებდის სოლმე-
რა მესპეკალემან მისი სელმწიფის გულთადობა ნასა, მისს უკვაროსა და უგბი-
ლსა ბუნებსა ბოროტი სისარბე მოუნდა და ამას იგონებდა: ყრმა ესე მოკაც-
დუნვო, და თუცა სელმწიფისა ბეჭდები დაგაზარებინო, ყოველსა საუნჯისა ბეჭდუ-
ლობასა ატყე და რაც მინდა, სამყოფინარსა ამოვიღებ და აგრევე დაბეჭდავო.
მერმელა ყრმასა უთხრა:

— ჭი, ჩემო საყვარელო და მოწყალებისა და კეთილის მყოფელო! შენისა
ესოდენისა ვალისა დადებითა მეცა მნებაჯს მუქათად შემოგზდლო რამეო. აწ სელ-
მწიფისა ბეჭდვასა ზედა ნიში რამე გამოსახულია, რომელსაცა ბეჭდთა იგი სა-
სე უზის, მისი სიტყვა არ დასტდების, და ბრძანება გაკლენილი იქმნების და
ყოველნი თემი დაემოჩნილებოსო.

უთხრა ლექსი:

ვით სოლომონის ბეჭდი ეგრე გეგონოს სასითა,
მის მქონებელსა ყოველი თემი დაუბამს მასითა!

თუცა შენ ამს ეტდები—რა სელმწიფემან დაიძინოს, მამინ ბეჭედი იგი
თითთა წაჭყარო და მე მომიტანო, სახესა მას შენთვის გარდამოკსასავ და მოგ-
ცემ. უცილოდ ადრე სელმწიფობისა სნატთა შენი შეენიერება ადრე დააშვენებს.
ამა ბირობითა ვიქ, შენი კეზირობა მე მომცეო.

უთხრა ტაეზი

მეც გავძლე შენის ნამუსით, ტაბლათა შენთა ნამუსრით.

მესპეკალემ სელმწიფის შვილი სცდურით მოატყუა, და ღამით უდროოდ

მამისა საწოლის შუიდა და მინაწის თითთა ბუკდისა წაურა დაუწყო. მას ზედა ხელმწიფეს გაეღვიძა, მას, მონად საგანებულსა, შერისხს: ბუკდისა წაურა ვით იგადრეო, ანუ რა საქმე გეღვაო? და მან სირცხვილუელმან ჰასუსი კელარ გასცა. ხელმწიფესა გულის წერომისა ცუცსლი მოეგზნა, ქონდაქარს მოუწოდა, მისი სიკვდილი უბრძანა. რა გააშიშვლეს სისიკვდილოდ, მხარათა ზედა შავი იგი ნიშანი ხელმწიფემ დაუნახა, მასინვე იცნა და სისარულით ცნობას მიჭსდა. რა ხელმწიფე ქონდაქარმა ესრე ნახა, გაჭკვირდა და ყრმისა სიკვდილი დააცადა. რა შუბნედილი მოზრუნდა, წამოიტყა, ყრმისა მოესვიდა და უთხრა:

— ჰი, შვილო ჩემო, თავლთა ნათელო, უგვაროსა ხარზისა შემეცნებამა შენისა მომორგებისა ცუცსლითა დამწვაო! შვილმაც ბოდიშითა მოახსენა:

— მეცა ავ-გვარისა მესპეკლისა გაწეობამა უწესო საქმე მაქმნვეინაო.

ხელმწიფემ მესპეკალე დასჯა, და შვილსა სწავლა და წკრთა დაუწყო. უგვაროსა და ავ-თესლსა ნუ გაიშინაურებ, რომლისაგან ზიანის მეტი სარგებელი არა გქონია რა, და მისთანა ალერსისა და გაწეობისაგან კალთა კარდაიკეთეო, რომე ესეთსა საქმესა აღარ შევარდეო.

ამა არავისა სარგებელი ესე არს, რომე ყოველთა მეპატრონეთა სცნან: უგვაროსა და უმართებულსა კაცისა გაწეობა და შეთვისება მეპატრონესა მონად შესტვლის, და მონასა უელ კარდაგდებულადო. ესე რქრომქედელიცა ერთი მისთანა ჩანს, და მისსა საქმესა მორიდება უნდა. აწე ხელმწიფესა მისი შინაურობა და გულითადობა დაუყინია... უძვობესად ამას გხედაე—მისსა ამპარტავანებსა გაუფრთხილდეთ: არამცა ესეთი ბორორტი ქმნას, რომე მისი მოკლა აღარავის შეეძლოსო. — ხელმწიფემ მის კეზიონისა სიტყვასა ყური არა მიუზურა და ესრე უბრძანა:

— მეფენი თუცა საბედნიეროსა და სამკობინარსა საქმესა არ დანახვენ, მას საქმესა არ იქმან, და ანუ თუ განგებით გულთა არა მოეცა, არცა საზიანოსა საქმესა დაიყინებენო. გვარ დიდობასა და კეთილსა მოდგმისა აღამიანის სიკეთესა და ქველისა მოქმედებისა შინა რა საქმე უცნ? სიდიდისა, მორტმისა და პატრიონობის მიზეზი ცოდნა-მეცნიერება და მართებელი საქციელი არის, არა თუ გვარო, მოდგმა და ნათესავობაო!

უთხრა შაირო

კაცი თუ ვარცა, რად უნდა მისის მოდგმისა ცილობა,
 თუ თუით არ ვარცა, რას არგებს მამა-პაპათა შვილობა?
 რა მარგალიტი დაბურდეს, შეუძირდეს ფასთა წილობა,
 და რაცა არა ჩანს, რას ვაჭებ? რაცა ჩანს—მიეყარს ზრდილობა!

სიკეთე და დიდება მათი აჭგ რომელსინცა კაცი ხელმწიფეთა შეიყვარონ და გამოიჩინონ. ერთსა ძალასა და დიდსა ხელმწიფესა უთქვამსა:

— რომელსაცა ჩვენ ავამაღლებთ, მისი თავი ყოველთა უმაღლესი შეიქმნებისო, და რომელსაცა ჩვენ დავამდაბლებთ—მისისა ბედისა ვარსკვლავი მწვირეთა სიღრმეთა ქვეშე ჩაიჭრებისო. ჩვენმა წყალობის ნიაჟმა თუცა მლაშესა ადგილსა

იქროლა, იგი ერძის წაღვრისადაც ნაღვლიანად შეიქმსო. ჩვენი გულის წყრომა
რა მესის ცუცსლები განიბნევის, მისი ბურჟუაზიული ათასის სოფლის საყანურსა
მოსწავსო.

თქვა შიარი

მეუენი ვისცა შერისხევენ, სასიწცხოდ გააწილებენ,
სიმაღლით ჩამოაგდებენ, სგორეთა ჩააცილებენ;
ვის მოწყალებით შესედვენ, სიმაღლეს უნაწილებენ,
და გლასხეთა გამდიდრებენ, ბრმათ თვალთა აუხილებენ!

ჩვენცა კაცი იგი აღკვიდგინებია, თავი მისი პატივთა აღკვიმადლებია. სარ-
წმუნოდ იუა: ჩვენი ბუნება უმართებულად არასა იქმსო. რა გეონიძინ დასედა,
სელმწიფეას მისი გადიდება ზომისაგან მეტად ენება, აღარა თავი აწეინა და დაი-
დუმა. მერმელა მცირემა ხანმა გავლო, ოქრომქედელმან თვისისა საწადლისა სე-
ლი გაიწყო. ერთსა დღესა სელმწიფის ასულისა სამეაულისა შემსადება მოუნდა,
ზოგი რამე თვალთა პატიოსანი მოინება. მისთანა არცა საუნჯეთა იზოკებოდა, და
გერცა სავაჭროთა შინა იშოვნეს. მას ოქრომქედელსა ერთისა დიდ კაჭკრის ქა-
ლისა ძვირფასთა სპეკალთა ქონება ესმა, კაცი მიუგლისა და ფასს დაჭვირდა და
მოლება შეუთვალა. მოვიდა ქალი იგი და ფიცი უთხრა. რა არ იქმნა, სელმწი-
ფის ქალთან წაიყვანა და მოასხენა:

— მასშია, ამა ქალსა რჩეული სპეკალი აქვს-ეე, რომლისა მსგავსი ცათა მე-
სპეკალესა ვარსკვლავთა სპეკალთაგანი ბეკმედის ცის ტახათა ზედა ბრწეინვალე-
ბა მიუცემა. მათგანი სინათლითა და წყალ-ვარითა მას არ ედარებოდეს და
ზღვისა ძიძასა, რომელსა ობოლი მარგალიტი სადაფის აკენითა აღუწრდია,
თვალ მასვილს შემარგალიტესა მისთანა რჩეული არ ენასო.

უთხრა ლექსი

კრონოსის უბრწეინვალესი სხივი, მთიების ფერი,
სიმრგვლე, სისწორე, სითეთრე მთვარესა გარდაერია.

ამისგან იშოკების ელვარე იაგუნდები, რომელი მზისა დედან ლითონის
მუცელსა. შინა ასისა ღვიძლისა ხისხლისა დათხევითა შეუმსადება, და ტინისა
ტუინსა მისთანა თვისითა გულმარობითა მისსა მგერდსა შინა ათასისა სათუ-
თობითა სხვა არ აღუწრდიაო.

თქვა ლექსი

მაჭრის ცვაქსა ჭკაკს წითელსა, ზამთრისგან შეეინებულსა,
სხვა-და-სხვა რიგსა უინტორსა, ლადის ფრად ჟამში დებულსა.

მრავალი მწკანე ხამის ფერი ზურმუხტი, რომელი მსკრეტელთა თვალსა
გაცვიფრებს და მის გულის გამსხნელის სიმწკანის ნახვითა კაცსა თვალისა ჩე-
ნასა მოუმატებსო.

თქვა ჩახრუნაული

მისგან ვსტან ესე, რგებად გაწესე, თვალის სინათლის მოსამატებლად,
თურე მწკანენი, მოლთ საგვანენი, გუგასა გასწმედს გასანათლებლად.

ამის სპეკლისა სკიერსა შინა რამოდენი ბადასშანის ლაღი ძეგს, რომელი, სპარსეთისა ბრწყინების ყვაილსავით, კაცთა თვალთა წინაშე ცაცხლსა აანთებს, და რამდენიდაც ფერ შვენიერი ფეროზი, რომელი მინასა ჭკავს და ცა მისგან ფერსა სესხულობს.

თქვა ლექსი

ლაღი დანიშნავს ცაზედა ორიონს ცაცხლ მოდებულსა,
ფეროზნი სფეროს ბრუნვასა მალ შეიქმს ლურჯად დებულსა.

ბატონის-შვილისაგან სამი ბრძანება, — თვალნი იგი რადგან გუხმარებთან, ამჟამდინ მოგვიდოს და ფასი სრული მივსცეთო, და თუცა ნებით არა ქმნას, უნებურად მოვადებინათო. მან ქალმან მოწადინებით ვაჭრის ქალს თვალების თხროვნა დაუწყო. ვაჭრის ქალმა ფიცი შექმნა, რაცაღა ჭკონდა აჩვენა: ამის მეტი არა მაქვს-ყო. ოქრომჭედელმა არ მოიწონა. სელმწიფის ქალმა სინაზებით მისი ჯაჯა მოინება, და უმეცრების ბიდანითა გღისპობის ღვინით დაითრო, და კმმაკთა მიმყოლთა კაცთა შესმამა მობერა, და სვაობისა და ამპარტავანებისა სილაღელმა ბუნების ცაცხლი აუგზნო და მის ვაჭრის ქალისა ჯაჯის ქმნა ბრძანა. მან ქალმან ფიცხელი ტანჯვა ვერ შესძლო და მცირესა სანსა სიკვდილის ჭანგსა გაუბა. მის ქალის მოძმენი და ნათესავნი შეიყარნენ და მათი ტიჩილი და ვაება ცამდი აღიწივა. ბრძენმან და გულ ღმობილმან კეზირმან ესე საქმე უოკვლევე სელმწიფის გულის ფიცართა დაწერა. რა ესეთი უსამართლოების კვამლი მისის საჯალაბოსა სასლით გამოჭნდა, სელმწიფემ სინაზულითა და სიბრალულითა მათ მოხიკართა მრავალი უბოძა და მათი გული შეიფერა, და თვისისა ქალისა სიფუკარულსა თვალი აჭყარა, და ესეთისა უმსგავსოსა და უგზოსა ქმნისათვის სიმაღლის სარისით ჩამოაგდო. უგვარო და ბორბოტი იგი ოქრომჭედელი ნაცვლის მიგებისა შიშით გაიპარა, დედოფალმა ქალისა ქალაქს გარედ დაუყენა აჭყარბინა, და სადაც სასელმწიფო ოთას-წაღოტი იყო, მუნ დაადგინა, ვიერე მამე გულს მოიბრუნებდეს და რისხვასა მოიძღვრებდეს, და მას-გან დიხსნი კაცნი შუა შემოიყვანონ მესვამხედ და მამას მასსა შუარიგონ და შინავე შემოიყვანონ. ქალი რა მუნ შეიყვანეს, ოქრომჭედელი მის სამსახურად მივიდა. ქალმა რა ნასა, გარისდა, დია ავად მიეპყრა. უთხრა: ავ-გვარო, ბუნება ბორბოტი, თესლ გარყენილო!

უთხრა ლექსი

სად შენი სატი ესასოს, კვდელთა შესაჯვრებელი,
მისი მხედველი თვალმცა ხუმც არის დაუმრეტელი.

აწცა ამაღ მოსრულ სარ, კვალდა უარესი საქმელი შემოკვამინო, და მაცდურობითა უძნელესი ბორბოტი აღადგინო. გამრიდე, შენი ხემთანა ყოფა აღარა-ოდეს იქმნების და არცაღა შენი საუბარი შემოიძლიაო, — ოქრომჭედელი იქითა გამოძებული წავიდა, და იმედ მოწვევტილმან პირი უდაბურთავეს დააპყრა, მწუსარე და შეკმუნებული ვიდოდა. რა დაღამდა და შავმა ღრუბელმა წაბლა სარის

ფერი ფარდაგი ბრწინვალეს ჭკერს ჩამოაფარა და ვარსკვლავთა სსიენი უჩინო ჭყო, საწყალი ესეთის დროსა შეესწრა, რომე ლილასა სტრიდენ, კვამლსა და ნსხშირსა წვიმასა შესწორობდენ.

ოქმულა ლექსი

ღამე სანგისა უშაკე ეთიოპისა მსგავსია,
თვენი სურგს შესცილებოდა მას მისი ივ სისხლისა.

გულ-შემოურილსავით ბაზბაცებდა. მუნ მონადირეთა ნადირთათვის თურქ ორმო ჩაეთხარათ. მას შინა ერთი გველი, და ერთი ყაზუსუნა და ერთი გვე-ნი ჩატვირთულ იყვნეს. ოქრომცქედილი, სხვისათვის სხარტვის მოხრელი, მკსავრ მიძავალი, შირუტყუელად მას შინა ჩაიტრა.

უთქვამთ შიარი

ვინ სხვასა მოხრებლსა მოუთხრის ჟსამართლობის სახითა,
მის თავსა უხამს ზიანსა საქმიისა დასანახითა:

ვით ყაჭის ჭია ვარემოს თავს მოიბლარდნის მახითა,
და მხტ თვისი ზომს მოთხაროს, ბარი თუ ჭქონდეს რა სითა.

რა ესენი მას მოხრებლსა ჩატვირთენ. თვისისა მწუხარებისაგან სხვათა სავ-ნებულად ვერ მოიცაღეს. რაცაღა ხანი ერთგან დაჭყვეს, ერთმანერთისა უწყენ-ლად იყვნეს. მამინ ერთი მოქალაქე მკსავრი მუნ წარმოვლიდა და მას ორმოსა მოადგა. ჩაიხუდა, ნასა კაცი იგი, შეებრალა და თქვა:

— კაცი ესე ადამის სათესავია და ამა შეჭირვებისა მოხრეკსა ჩატვირთა, და სი-კვდილის მინდროსა მისწორვია და სიტოტსლის სვანე დაუგდია. ამას ვეცდები, ეს აქედამ ამოვიყვანო, და ამა საქმისა მადლითა სულსა სავსალსა შეუეკრობო-მის კაცის ამოსაყვანლად იოკი ჩაუშვა. ყაზუსუნა შემოასლტა, ამოვიდა და ორ-მოსა შირსა დაკვდა; და მეორედ ჩაუშვა თოკი, გველი შემოესვია და იგიცა ამოძვრა; მესამედ თოკსა გვესმან ჭანგი მოჭკრა და იგიცა სე ამოიჭრა. სამთა-ვე მას მკსავრსა მადლი მოასსენეს.

უოხრეს ლექსი.

ბედს ვეწიკეთ: ღმერთმან მოგვცა, არა ჩვენმა ცდა და სეჩხმა,
რაცა მადლი შენ ჩვენსედ ჭქენ, დასავალად შენმა ფერხმა.

შენ ჩვენზედა დიდად დაძვირ, და თავს დიდად გარდასასადი ვალი დაგვა-დეკ, აქა ამისი მუჭათა და ბოდიშის მოხდა არ მალ-გვიცხო. ყაზუსუნამ უთხრა:

— ქალაქს რა კლდე ახლოს ახლავს, მე მის ძირს ვსადგურებ, და თუცა სი-ყვარულით დაძვრები და ჩემსა სახლსა განახათლებ, სიკეთესედ სიკეთეს დაძატე-ბო.— გვესმას უთხრა:

— მეც მის ქალაქისა მახლობულად ტყესა შინა ვმკვიდრობ, და თუცა მუნით გამომეგსავრებ, სამსახურს ვეცდებიო.— გველმა უთხრა:

— მე ქალაქისა ზღუდესა შინა სორო მამქს, და რა იქ მობრძანდები, ვეცდები ჩემი ვალი გარდავისადო. მაგრამ ამა სამთავე ერთი ანდერძი გვაქვს,

თუცა ამას დაგვიჟერებ, შენთვისვე სჯობიაო: ყმა კაცსა მას ორმოთაგან ნუ ამოიყვანო. თავად ადამის ტომთა შირობის გათავება არ იცინა, და კეთილის ნატვლად ბოროტსა მიაგებენ; მათის საცხადოს საქმისაგან ნუ მოსცდები და მათის ფარულის სლათისაგან და უწმიდურის გულისაგან ნუ დამშვიდდებო.

უთხრა ლექსი

სიმ-უსთლეს და უნდობლობა უგვანთა კაცთა წესია,
მათი საქმე და ბუნება მსვენთაგან უარესია!

ამ უამის კაცნი სასითა კეთილად გეჩვენებთან და სიმართლისაგან შორს აწიანო.

უთხრა ცაეში

სასით ცხრავარს მიტგვანს, საქმიითა—მიგელს მიკინვარეს!

კაცი იგი, რომელი ესოდენტა უამთა ჩვენთანა იყოფოდა, მისი გზა კეთილად ვსცანით: მის აგებულებასა შინა მოწყალებისა და სობრალულის ნიში არა ჩანსო.

უთხრეს შიარი

კაცი სოფელს ჰგავს, სოფელი შეენის და ჭრელბს ფერითა, სიმწუსრით ნუ მიენდობი, თუ ვერ გიცხია ფერითა. სოფლის საშრეშე მოსხსრეო, ძირთა სუხევედ წვერითა, და ნდობისა სუნი არ უდის, —ესე სცან დასაჯერითა!

თუცა ამ ჩვენსა სიტუვასა არ დაიჯერებ, ესეთსა დღესა შეესწრები, დიდად ინანდე და არა გერგოს რაო. —მან მოგზაურძინ მათ არ მოუსძინა, და თოკი ჩაჭვიდა და ოქრომიტვლელი ამოიყვანა. რა ამოვიდა, მადლი გარდისადა და სელმწიფის წყალობისა და თვისისა უბედურობისა ამბავი მოკლედ უამბო, და მას დღესა მასთან წაყოლას შეესწრეს: ნუ თუ მეცა მიუჭათა რამე შემოგიზღოო. მგზავრმა უთხრა: აწ ღვთის ძალით, გზას მივაღ, და საშიოდე დღენი მინებს მივლამოკლად და თუცადა დმერძინ დღენი მომცა, ჰემინი დამიდებია, მეტმელა ადრე გაახლებო.

უთხრა ცაეში

თუცადა დღენი მისხენან, მის კარ-ეე სამსახურადო.

ესეთისა ჰემინითა ერთიმანერთს დაესაღმინენ და მის-მის გზას დაემართნენ. ოქრომიტვლელი მისვე ქალაქსა შევიდა და ერთსა ადგილსა დაიძალა, და სელმწიფეცა მის გაშინაურებასა და წყალობასა სედა ინანდა და კეზირის სწავლისა დაუფერებლობასა სედა ირცხოდა. ქალი აღარ ინახენა, და რომელნიც დიდებულნი და წარჩინებულნი მესხვისედა მივიდნენ, არ ახატოვა. მართ ერთი წელი წარსდა. მან შირველ სსენებულმან მოგზაურძინ თეპი და ქალაქნი მოიარნა და სამასი ფლური იშოვნა, და ბოლოდ სამკვიდროვე მოავლანდა და კერე იტყოდა:

თუცა აქ ნებიერად ვარ და არა მკვლია რა, მაგრამ სამშობლომს ჭკუნი კაცთათვის მისწენა და სიმბრთელეს იგი უყოფსო, და მუნებური გემო უფრორე გეგებვის პირთაო.

თქვა ლექსი

რა უნდას მიწის სანაცვლოდ თვალ მარგალიტი დაუგო,
უნდას მიწავე სურთან, არ უხანს იგ საუგო.

მერმე შემოიქცა და სამკვიდროსაგან სწრაფად წამოვიდა და მომავლის ყა-
პურუნას სადგურის სიასხლეს დაუღამდა და მუნ გარდასდა. რა ღამემ უამი რა-
ბე გაივლო, სისხლისა მღვრელი ორნი მწინბი, მასვილ მოწვდილნი, რომელი-
სა შიშითა მარისი ღვიძლის გაზობისათვის ფრთხილობდა და ოროლოსანი
თვესი სულის მომნადირებელის მათის ზრმლის რიგით პირსა ფარსა იფარებდა.

თქმულა ლექსი

გულთ განმკვრემელსა თვალთაებრ მუშურნეთ სისხლთა მღვრელის,
ბანაკთა სისხლის სმისათვის სრმალ მოლესვიდა მსვრელისა.

მას კაცსა თავსა დაესხნენ, შეიპურეს, გაძარცვეს, და გაშიშვლებული საბ-
ლებით მაგრად შეკრეს, და გზას გარდაცლივეს და მთის ძირად დააგდეს და წარ-
ვიდენ. შეკრული იგი ამას იგონებდა და იტყოდა: ვიდრეა სულნი მიდგენს,
ერთსა უსტარსა ჩემსა თავსა წაუგუითსაო.

თქვა ტაეში

ნულარ იმდურვი, ჭე, მწირო, მადლობა გმართებს შესწირო.

მას ღამეს შეკრული ესეთის მოკლენისათვის დმერთსა მადლობდა. რა კა-
თენდა, ხელფების ტვივილმან დიდად შეაწუსა, ყვილი და კვალება იწყო.

იტყოდა ლექსსა

გულთ გტვივისან, ასონი, დაიწვევ ღაღადბანი,
მაგრამ შემწესა ვერ ვსედავ, შემჩნეს აქავე დებანი.

ცრემლსა მწარესა თვალთაგან ანჩქრევდა და იტყოდა: ვამე, რასა სისი-
გვდილოსა ადგილსა ჩამოვარდი—ჩემსა ამბავსაცა გეწავინ სტრობს და სულისა
შემაწირებელისა კეშნითა სიკვდილისა უფსვრულად დავინთქმი

თქვა ლექსი

გულ-მტვივარისა ტვივილი რა იცის გულ-დადებულმა?
ჩემს კიდე ვინ სტანს რა მქირან, გლესმა თუ გადიდებულმა.

მას უამსა ყაპურუნას საზრდოჲ სამებრად დაიარებოდა და მის კაცისა ას-
ლორე გაულო. რა მისი მწარე ვაება მიესმა, მიბრუნდა და თვისი კეთილის მყო-
ფელი ჭირში გაბმული ნასა, თვალთა სისხლისა ნაკადულმა გარდმოსხქევა და
უთხრა:

— ეჭა, სასურველო მოყვასო, ჩემო ჭირისაგან გამომსხნელო! ამას ჭირსა ში-
გა ვის ჩაუგდისარ და ესრე რა მოგველენიო? გეწავრმა უთხრა:

— ეჭვს, საყვარელო, ამს საცმ-უნჯაროდ აშენებულსა სოფელსა რაჲცა საუკეთესო სისარულია, იგი უფრო რე ჭირითა და ზრუნვით სავსე არისო!

უთხრა ლექსი

ამ საფუტყრინადმი ვინ უფიტოდ თათული გოლია,
რომე ფუტყარმა არ უცა, კელის უწლოსი სოლია?!

რომელსაც კაცსა ამის სიტყვისა გულის ხმის ყოფა აქვს და ამს საქმისა სიმართლე გამოსცხადება, არცა ამ სოფლის ჭირის კელის ჩხვლეტისა სიმწუნარისათვის შემოდგომის ღრუბელსავით სიმწარის ცრემლთა ჰყრიდეს, და არცა ასალ-ნოაჩს ვარდებრ განაფსულის ყამსა ღხინსა და შებებს აუფადდეს, ამისთვის რომე არცა ზრუნვა და არცა სიმისარულე სან გრძელად არ დაადგრებოსო.

უთხრა შაირი

ესე სოფელი ერთ შირსე მიწვივ არს დაუდგრომელი,
მოგცემს და მალე წაგართმევს სიღრუვე მოუწდომელი!
რაცა არს გაქვს, რას გარგებს? წაგერთმის გაქვსღა რომელი,
და რადგან ვერც ერთსა შერჩება, რადიცა სარ მას ზედ მწერომელი?

მზირთავან მისი შეზურება, გაძარცვა, საქონლის წართმა, და შეკრვა და დაგდება ყოველივე უამბო. ყაზუნუნამ ნუგემინი სცა და

უთხრა ლექსი

უმიდლოთა იმედი ბუღია ღუთის მოცემული,
დღეს დამე მოსდევს ნათელი, ნათელსა—ბინდი ცემული.

მე რაცა ძალ-მაცს ამს შენსა საქმესა ვეცდება, მაგრამ შირველად საუკეთესოდ ეს მგონია, შენ ამს კრულებსაცან გაცხსნაო. მიჭყრინდა კბილითა და თოკები შეაჭრა, და ასლოტე ქოსი რამე შეემზადა, მუნ მიიყვანა და ნუღლი და ხმელი სილი მიაართვა და მუნ მას დღეს მოცდას ეკედრა და განსიკერების წესითა შებების სასთაულთა თავის დადება მოასსენა, —ვირე მე მოკიდოდე, მომილოდინო. თვით მუნით ჩქარად წაჰიდა და მზირთა მათ ეწივა. მათ დამე და დღე მოუსვენებლად ეკლოთ და ერთსა წყაროსა ზირსა მამკრალნი მიწოლაყვნენ და ძილი მოსულოდათ. ნაალაფვეი და საღთები სურვთაცან მოქსნათ და უმიშრად და მშიდად დაწოლილ იყვნენ, სამსრობისას ყაზუნუნა მოეწივა. რა ივინი ეგრე ნახა, დიდად იამა, და მათი ზარტუკები დახსნა, და ფლურები იგი ამოიღო და ერთსა ადგილსა დაიფლა, და მასუკან გამობრუნდა და რაც მათი საჭურველი და სამოსელი იყო, დაჭმარა და სსვაცან დამალა. თვით ერთისა ფარულის ადგილით ჭურჭელა დაუწყო. რა მზირთა მათ გაეღვიპათ, მათის ტვირთისა და საჭურველისაცან კვლარა ჰხოკეს რა. აქა-იქ ეძებდენ და შელონებულნი კვალსაც ვერ შესვდენ. ერთმა მათგანმა თქვა:

— მძანო, წყარო ესე კაცთა სავალი არ არის. აქა გზა წასავალი შორავს და ადამიანთა კვალი არა ჩანს, და არცა კაცთა ნაქმარი მგონია. წყარო ესე ნუ თუ

დეკ-ჭჯთა იუოხ? ჩვენ უმეტრებით ესეთი საქმე თავს შევამთავრეთ. აწ ჩვენ მადლი ღმერთს მივცეთ, რომელმან შათის სელისაგან გვისსნა და ცოცხალი დაგ-
წინით. ადრე ვივლტოდეთ აქათ, რატლად სულისა ნაწილი შეგერწმობა, სწრაფად
იგი გარდავსვენოთ!

თქვა შაირო

უდაზნოს ჭჯით საესეს მკუდრით, შევიფარებით,
გული ვიწრონი ხალხლისა სიფარდით გავამწარებით.
სოფელმა აწსად დაგვიდო, სადაც რომ შევეწყარებით,
და უცბოთა გოსათა მავალთა თანხი სულ დავიმწარებით.

მასუკან მათ მზირთა შიშისა მისგან გულ-აღძვრით ზირი სინჯარის გოსსა
დააბურეს და ვლეს.

უთქვამთ ტაეში ჩახრუნსაული

რაც ცისა ველსა, გრილსა და სველსა უნჯი იზოვა მიწას დებული.
ეაზურუნამ მგზავრი იგი მას წყაროსთან მიიყვანა და მისი წანართმევი
ფლურები და რაც მათ მზირთათვის დაეზარა ყოველივე მას კაცსა უძღვნა. მან
მგზავრმან თვისი იგი ფლურები აიღო და მათ მზირთა ნამდრტევეი არა რა ინ-
დომა. ეაზურუნას მშვიდობა მისცა, ქალაქსა მას მომართა. მისი გზა ტყისა
მის გამოსავლელი თურე იყო, სადა ვეფსი იგი გვარობდა. შორით ვეფსი დაი-
ნასა, ლომისა ამსგავსა, დიდად შეეშინა და დამალვა ეწადს. ვეფსისა უყივლას: ნუ
იშიში, მე შენი მოყვარე ვარო!

უთხრა ტაეში

უველა მასსოკს ნაკეთვარი შენი, ჩემსკედ დანაკალი!

რა ახლოს მოვიდა, ეთაყვანა და დიდი მადლობა მოასსუნა და მცირესა
ხანსა მუნ განსვენებსა ეაჯა. რა მგზავრმა დაიტადა, ვეფსი ჩქარად წავიდა, სტუ-
მრისა სამაზინძლოს შოკრისათვის აქა-იქი კლიდა. თურე მას უამსა სელმწი-
ფის ქალი მას წალკოტს გარე სეირნობდა; სკედ შესვდა ძვირ ფასის სამკაუ-
ლითა შემკული. ვეფსი შესთქრა და თავი მოგლიჯა, და სამკაული აგლიჯა და
მას მგზავრსა მოუტანა და მიართვა. მგზავრი დაესალმა და ქალაქსა მას წამო-
ვიდა. რაჭრომსკედ სკედ ვალდებულობა მოაგონდა და თქვა:

— მსეტას ესოდენი სიკეთე შემომსდგესო და ესოდენი სიმდიდრე შემ-
ძინეს, თუცა რაჭრომსკედელი მნასავს, იგი გონიერი კაცია, თუერთა ქვეშეა გა-
მეგების, არამთუ სსვა ზატოვი და მასზინძლობა დამაკლასო. ამა ყოველსა ჩემ-
სა ნაშოკარსა მას მივუტან და იგი ღირებულად გამიყიდის და დიდად მასარგუ-
ბლებსო. — რასაცა უამსა სელმწიფისა ქალისა სიკვდილი ქალაქში გაცხადდა, მას-
ვე უამსა მგზავრი იგი ქალაქად შევიდა, და ყოველი სიმრავლე დარბაზს შეკრე-
ბულიყო. მაშინ რაჭრომსკედელი სამალავის კუთსიდამ გამოსულიყო, თვისსა მო-
ყვარესა ვისმე ნასკად ეძებდა: ამა ამისა გამოკითხვა ენება. მაშინ მოგზავრი
იგი, მასსკედ ვალდებული, შესვდა, დიდად გაინარა და ზატოისნად თვისსა სად-

გომის შეიწვივა. რა დასვა და მოაღერისეს, მერმე თვისი ამავე და სელმწიფის სამსახურით გამოვარდნა და ყოველივე ყოფილი წვლილად წარმოუთხრა. მან მოვარდნის ნუგეში სცა, და გული დაუღვა და მერმე უთხრა:

— ეჭა, ძმაო! თუცა სოფლის უსანობისაგან სვასტანგი და სიმდიდრე მიგლებია, მე რაქროთა და თვალთა ჰატიოსანთა და უფასოთა მარგალიტისაგან ფარღული მსჭეს, და შენ თვალთა მინობელი ხარ, — ესენი დამიფიდე და რაცა გინდა შენთვის აიღე, სხვაჲ მე მარგუნეო. — რაქრომჭედელმა ყელსაბამი იგოსოსოკა და მოვარდნა მოართვა. მამინვე იცნა, რომელი მას სელმწიფის ქალისთვის შეეძინა. მერმე უთხრა:

— ესე ჰატიოსანი სამკაული ფას-დაუღებელია. აწ შენ გულ-ღებულ იყავ და მსიარულ: ამა ცოტასა ხანსა შენა დიდსა დიდებსა შეგძინებ, და შენ აქა გულ-ნებიერად იყავ, ვირე მე მოვიდოდეო. მერმე ესე მოიგონა და იტყოდა: ესე კაი ბედი მომეტა. მე რადგან სელმწიფე მრისსავს, და აწ თვისისა ქალისთვის მწუნსარეა და თვისისა ქალისა მკვლელსა ეძიებს, აწ მე ხერხისაგან უცდელად არ დაკდები და ამის უგეტესსა გერას მოვიხრობებ: ამა მოვარდნას სელმწიფესა სელთა მივსცემ და ყელსაბამს ვანკენებ; ამას მოჭკლავს და მე ჩემსა დანაშაულსა მამატივებს, და ამა ფარღულსა სამთსრობლად მომცემსო და პირველსავე ჰატიოსისა და სარისისა აღმიყვანსო. — მივიდა დარბაზისა კარსა და დაიძახა:

— სელმწიფისა ქალის მკვლელი დამიჭერია და მისი ყელსაბამი სელთ გამომირთმევიანო. სელმწიფეს რა ესმა, ფარღული ითხოვა. რა ხანსა, იცნა და მანდატური გაუსივა და მოვარდი ჰურობილი მოიყვანეს. რა სხობლად თვისი თავი ესრე მყოფი ხანსა, რაქრომჭედელსა უთხრა

ლ ე ქ ს ი :

მოყვარე, მომკალ უწყალოდ მოყვარულად აქა ღებითა,
მტერი არ მოჭკლავს ამ გვარად მტერობის დაქაღებითა!

ამისთანა სარეწავი არ გმართებდა ჩემთვის მოსაცემლად! სელმწიფეს გარისსებულსა ესე ყოველივე მართალსავით დანასკეო? რადგან ყელსაბამი ნიშანი სელთ ეჭირათ, აღარ აუბნეს რა, ჰატიომად წაყვანა ბრძანა — ადღეს უცალოდ ვარ, ქალისა მწუნსარება მსჭეს და მისის დაფლვისა და სულის გაკებისა. აწ ქალაქი გაბანსრულსა მოაგულთ და იგრე საზურობილესა დაბით და სვალე მოკალთ! მას კაცსა რა აქა-იქ ატარებდენ, მან გველმან სოროთ თავი გამოყო. თვისი მომჩინელი კაცი ვანჭიჭებული და შეკრული წასა, უმსირდა და საზურობილესა მას შენა შეჭყვა. მივიდა და ჭვითხა, და მისი ამავე სცნა. დიდად დაუძმინდა და უთხრა:

— მე გითხარეე, მას კაცსა მინდობა და პირის-წყალი არა ამოიყვან მეოქი, და არ დამიჭერეო!

უთხრა ლექსი

მე მასვე დღეს ფარადის იმედი გარდამივარდა,
რა შეიდი გული სადვე შეინისის სელთა მივარდა!

მგზავრმა უთხრა: ეჭა, საყვარელო მოყვასო! ჩემს დაკოდელს გულს, რომელს საღბუნსა გურნებად ადებ, ეგე უფრო რე აწელულებს და სხვა სარგებელი არა რა აქვს. მე რაცა მჭირს, მეყოფის, შენისა სიტყვის უსმენარობითა.

უთხრა ცაქში

ქალაქთა საკიცხველი ვარ საქვეყნოდ შერცხვენილია.

სხვა რამე მოიგონე, ნუ თუ შენითა შეწვენითა სული მოვაჩინო. გველმის უთხრა:

— გუშინ სელმწიფის დედას დაკვებინე და მის წამლისათვის ქალაქი ესე შეაჯერეს და ვერა რა ღონე დაიდგეს. ესე ბაღასი შეინასე და სვალე შენ მოგძებნიან და გკითხვენ გველის ნაკებისა წამალსა, და შენ ცოდნა იხიე, და რა სელმწიფეს ამას მოასსენებენ, მიგაწოდეს; და რა მისვიდე, პირველად შენი სარჩელი წარმოუთხარ და მერმელა წამალი დედასა მისსა ასვი. ეგურნება და ამი ფათურაგსა გარდაჩნებო.

მგზავრმა მადლი ჭკადრა და გველი თვისსავე ადგილს წავიდა.

დიღასა ადრე გველი სელმწიფის დედისა სახლთა ერდოთა აღსდა და სავკამლურისაგან ჩამოჭყვივლა: გუშინ რომელი მგზავრი უბრალოდ სახურობილესა ზატიმარ ჭყავთ, მან გველის ნაცემის წამალი იცის და იგი გეურნებსო! — მამან შვილიცა დედასა თავით უკდა, რომლისა მწუსარებითა ქალისა გლოვაცა დავიწყებოდა და მეურნადნი უსსდენ და მისსა წამალსა ჭკითხვიდა. რა სმა ესე ესმა, ერდოთა კაცი აგზავნეს, — ვინ არის, მოუწოდეთო! სულიერი ვერ ჭზოკეს, და მათ ზეგარდამოსა სმასა შესწამეს და გული დააჯერეს. მამისეკ ზატიმარი იგი გახსნეს და სელმწიფის წინ წარმოადგინეს. მგზავრმა თავის მართლობად ესა აღძრა და მოასსენა

შ ა ი რ ი:

ეჭა, მეფეო! სამართლად მსჯავრნიცა შენნი დიდობენ, შენს კართა წინა მუხთაღნი და ცრუნი ნუძცა ფელიდობენ; ეოჯონი მტყუანნი საჩქელსა შენისაძც სმლითა რიდობენ, და ჩემი სტან სწორი სიმართლე, საკვდავად რად მიმზიდობენ?

გველ - ნაცემისა წამალი დია გამოცდილი მაქვს და ქვეყნისა დედოფალი ღსინებასა ადრე ჭზოკებს; მაგრამე პირველად ჩემი სიმართლე, ანუ შეცოდება თქვენმა მალაღმან გულმან სტნას და სელმწიფურისა მსჯავრითა ორიოდენ სიტყვა მისსა სვე-სვიანობისა შემკრებელს უურსა მოასმინოსო.

მოახსენა შაირი

ეური მოუზვარ, მადლო, ამ საჩივრისა სმენასა, ბლებსო. — აწვი, კითხოვ ვედრებით, სურვილით აღვსძრავ ენასა: ვე ვამსა მგზავრნიცა არ არის, უდავად წიქს მიწვივ ქვენასა, ბულიყო. მამინ მითილსა ვერ ჭზოკებს აღსაფრენელად შენასა! ევარესა ვისმე ცგულთა მის მგზავრის სიმართლის ეჭვი შევიდა და საჩივრის იგი, მასზედ ვა დასცა. მან მგზავრმან კადნიერად და პირ-სწორად და სრუ-

37
ქვედა
და ავი

იქნის ჩაქუჩი

ლის წესითა თავისა გარდასავალი უოკლეივე მოახსენა და მისი სიმატლვე ხელ-
მწიფის წინაშე გამოხრწინდა, მერმე ბალახი იგი რძითა შეაგბო, შეასვა
სნუელსა და მასინვე საკურნებელი ნიშანი გამოაჩნდა. ხელმწიფემ ზატოასანი
სამოსელი შემოსა და მრავალი უბოძა, და მისი სარჩობელი შიშთილი რქო-
მჭედელსა ელოდა. რომელსა ფლურთა და ფარღულისა და ხელმწიფისაგან ამა-
ღლებისა იმედი ჰქონდა, მას მრისხანე მანდატურნი მიუხდენ და მგზავრისა ნა-
ცვლად იგი ჩამოჭვიდეს. მას უამსა ეკეთისა ცილის შემწამებელსა კაცსა ძელზედ
დააშთობდენ, მისსა საკიცხელსა გკამსა ცილის წამებისა და მიუნდობლობის ნა-
გავთავან სავსესა განავაეს და მისი საფერი მისავებელი მიაგეს.

თქვა შიარო

ნაცვლის გეზისა სოფელსა თუცა ესხლო მშვიდობით,
სხვასა ბოროტსა ნუ უსამ, სული დაიცვე რიდობით;
კეთილი გინდეს, კარგი ქმენ, იყავ უფლისა მინდობით,
და თვარა რასაც იქმ, მოგსვდება უნამეტნავე დიდობით.

ესე არს სამეფო არაკი კარის გამკეთა და უმათა და მოსამსახურეთა რი-
გინად გასინჯვა, რომელ მეფეთაგან ხამს გამოუცდელად არავინ დიდსა საქმესა
არ შეახან და არცა გამოუკვლეულად რისხვა წარმოთქვან, და ამას ცდილობდენ—
თვისთა სიმაღლისა დროსა და უამსა სააქაოსა სახელოკუნად იყვნენ, და საიქიოსა
ამ საქმით კეთილად დაიმკვიდრონ.

თქვა შიარო

ცა მიწევი ბრუნავს, თითოლსა აძლევს უამ-უამად შრომასა,
უის რა ნობათი მიხვდება, თუცა სცნობს მისსა ზომასა,
არცაღა იგი შეჩება, შეჭკრვია რისაც ნდომასა.
და ნეტავი მას კაცს, რომელი განერას ღვთისა წერომასა!



კ ა რ ი ი ლ .

მოსულს საჩემოდ კაცის ვაჟაშვილსა და დას
მოვლინოს, მოითმინოს და ვაჟაშვილსა.

რა ჭკუენისა განმგება რაიმ სარგებლით სავსე ესე აჩაგები და სწავლები,
რომელი დიდსა საუნჯესა უშირ-ოვსე იყო და სიბრძნისა და მეცნიერებისა სპე-
გალითა სავსე სკოერი წარმოყრილი ნასა, და მის ბრძნისა ენითა სუელითა და
გულითა განისვენს,

უთხრა შაირი:

ვისცა სურვიან მწუერვალთა ურწუელთა გელთა მკვალთა,
გულის ზღვისაგან წყაროთა სწავლის წყალს ჰპოვებს მრავალთა,
გულ-სსნილნი გონებისაგან გვითხრობს თავს გარდასავალთა,
და ცოდნას შეუერებს ყოველთა, ვითა მუჟირი სჩავალთა.

უთხრა: შენგან ჩემთვის გარკვილობისა სსქმენი სსზღვართა გარდასცილდა
და მრავლისა გამოკითხვისა დაუნებითა უგატრობისა მითათა აღიწივა. აწ შემო-
გლებულა და ამზვისა სიგრძისა თოკი გაწევეტას ღამისა რადგან ესოდენი დაშ-
ვერ, მეთასმმეტე ანდერძის თარგმანი წარმოაჩინე — მეფეთ ქტევისა, რომელი გვა-
რინათა და ბუნება-კეთილთა კაცთა უსამსთ გადიდება და წყალობა, და უგვარო-
თა და აბუნებათა და შეუგებულთა მის გვარად შენსავა, ესენი რაც ბრძანეთ,
მოვისმინეთ. აწ ამისიცა წყალობა მოიღე ჩვენ ზედა, ბოლოსა იგი ანდერძიცა
გამოგვიცხადე, მას რა იგავი აქვს. ჩვენი და მშვიდი, კეთილ-მეტნიერი და
მცოდნინარე ჭირთა მასეთა გაებმის და გულ-კოდლობითა შესტირდების, და
უგუნური უმეტარი, უცოდინარი და გაუსინჯავი შებითა და მოსვენებითა თვის-
თა დღეთა დასაძებენ, და ვერცა მას პირველსა თვისი ჭკუა და ცნობა შეეწე-
ვის, და ვერცა მას მორკესა უჭკუობა და უგუნურობა აზიანებსო; და ესეცა გვი-
ბრძანე, სერსითა და ეშმაურობითა რომელნიმე სარგებელსა შეიძენენ და ჭირი-
საგან მორჩებოან, რისაგან არის, და ანუ კაცი რომლის გზითა სსწადლის ად-
გილს მიიწვიოსო? ბარამან მოასსენსა:

— ეჭა, მეფეო იგინი ბედისა და ბედნიერობისა ასპარესთა რბიან, და
მით მისვლებისა დიდებასა და ჰატოვსა, მაგრამე მისის მოსავლის მოსთვლება
ღვთის განკებულებასა ზედა ჰკვიდაო. ყოველისა კეთილისა სსქმის მიწეზი ღვთის

განგებულება და მისი ბრძანება არის, და სოფლისა კამით კითხვებითა მოსაყ-
ლის წესია, რომე მათ შუა მიწისუბი და ესეთნი საქმენი გამოიჩინებინ და მით
იქმნებინ. მრავალნი მცოდინარენი, ბუდნიერობის შესაფერენი, ერთისა დღისა სს-
ზრდელთა ნატრულნი არიან, და მრავალთა უფუნურთა, რომელთა არა შეენის—
ტიოხსნად სიმიდღრის სნატათა სსქანაო.

თქვა შიარი

უძეკრათ მისცა დიადი, ბრძენთა ანატრა პურია,
უგვანნი სეკით თაგს დასსსა, ქველთ არ მიუზურა უურია;
ლომს ჭაბუგს ავი მეუღლე, ცუდს მისცა მოსასურია,
და სოფლისგან ნურა გიკვირს რა, ეს ასრე საცნაურია.

რადგან ესრე არს, მაშე არა რა არს კეთილი ღვთის მოწყალების კიდე, და
მას უნდა მივუნდოთ. თურც კაცსა სრული სიბრძნე ჭქონდეს, მით სიტყვსლე და
სიმიდღრე არ იქმნების, და მრავალ საზგებლანი სულოვნება თუ იცოდეს, მის-
გან საწილსა სამოსელი არ მოიქსოვების; გინა სატილთა შენიერი იყოს და
ფრად კველური, არავისი საწადელი შეიქმნებისო. რაცა ღვთის ნება არ არის,
მოსავალს საზგებელი არა აქვსო. ერთსა უფლის-წულსა ესე არავი კარზედ დაუ-
წერია და სასსოკრად დარწმინდა, და ამ სიტყვასა ფერ-კეთილი არავი და
ტკბილი იგავი აქვსო. რაიმ ჭკითსა, როგორ უფთილან?

ზარამან თქვა არაგბ

უთქვამთ, საბერძნეთს ერთი ცამდი ამადლეული მეფე იყო,—

თქმულა ლექსი

ძალადი, ბრძენი, მდიდარი, უხვი და განგებანი,
ძალ-დიდი, მებრძოლთ დამცემი, გონებას ნათელ-მზანნი.

არნი ძენი ესსნეს ყოვლის კეთილით შემკობილნი; ძნელთა საქმედა კამ-
კველნი და მცოდინარობით გარდამატებულნი.

თქვა ლექსი

ძას ერთსა გულნი კაცთანი ლხინით აეკსო, შევბითა
ძეორის სამართლისაგან არ ვინ ჭკუნესოდა ვებითა!

რა მეფე იგი ამიერ სოფლით გარდაიცვალა, უფროსმა ძმამა მამის საუნ-
ვე სელთა დაიზურა და ბუდნიერობის განმკეთა გულნი ალერსითა, ლიქნითა და
ფერობითა მოინადირა, და საბოძრის საგდებლით შეკრა და ამ საქმით მამის
ტასტათა დაჟდა.

თქვა ლექსი

სვე მღვიმარე მხიარულად მამის ტასტას დაემყარა,
სმანი სრულად მოიმტკიცა, უჩხნი მისნი გაცაჭყარა.

უმცროსმა ძმამა რა ნსსა—სამეფო ბოლოკარკაძის ჩრდილი უხუცესსა
ძმას თაგსა დააყენა, და სვეთა განმანაწილებულმან ბუდნიერობის ცხენის სადავე

მას ხელთა მისცა, მას შიში რამე შეუვიდა: ნუ თუ მიზეზი რამე მოიგონოს?
ამისთვის მოშორების ბარგი გზას აჭკიდა და მწირობა იტვირთა. მგზავრ-
ბის მატყვი აღიჩია, ტირილითა და მწუხარებითა საგზალი აიღო და შირი
გზას დააპყრა.

იტყუდა შაინსა

მოგშორდი, სამკვიდრებულა, ვირნიე მგზავრთა რიგია...
გელარ დაკდგები, წაცვალა სად მივალ, ვერ გამოვია...
შემუნანი ნუზლად შემოიკრავს, ურავ საგებლად მივია,
და სულთქმის მასვილსა ლესულსა გლას გული ზედ ამივია!

მან ურმამან მარტომან შორსა და გრძელსა გზასა დამართა. ერთსა ად-
გილსა რასმე გარდასდა, თვისსა მარტობასა და უცხოობას ტირილად და
მოსთქმიდა.

იტყუდა შაინსა

თვალთა მდის ცრემლთა ნაკადი, შივა სისხლია რეული,
გული ნაღვლითა სასუე მძქეს, ურვანი ზედ მარეული;
მძისა შიშითა გაჭრილი, იაკობ ვით ებრაული,
და ბოლოდ არ ვიცი რა მიძქეს, აწე ვარ გარდასრეული!

მან ღამე იგი მარტომან გაათენა. მუარესა დღესა რა გულისა გამამხიარუ-
ლებელმან შირ-შენიერმან მზემან ცისკრისა შემდგომად ნათელი დისკო აჩვენა,
ნინოფის ფერად სიჭრელემა ფარდასა უკანით ელვარე სასუ მოთქმეთა აღმოუ-
ბრწინვა,

თქმულა ლექსი

წყალობის კარი გააღო, ცამან უხვობის მთაველმა,
მისგან მიიღო შენება მიწისა შირმა ყოველმა.

მან ურმამან სვლა იწყო. მგზავრ ერთსა ჭბუგსა შესვლა. ახალი წვერგა-
მა, ბეწვ სათსა, ტურფად შენიერსა, დია სუფთასა, დიდად კველუცსა, მისი
შეურა და მეგობრობა დიდად გაესარა. რა თვალი შეადგა, მეტად გაჭკვირდა:
სილამაზითა სრული, რომელსა ტანადობითა შემწვანებული კვიპაროზი დაეჩაგრა,
მისის სახისა შენიერებისა შურის ცუცხლსა მთვარის გული დაეშინათ; მისი
ახალ აშლილი წვერ-ულვასი საშროშინის ბიბინსა ჭკვანდა, მისი შირი—ვარდი-
სა სუნელსა ფურცელსა და ამბარ ცხებულსა გაეჩაჩოსა.

თქმულა შაირი

ვარდთა, ჟინჯულა შეერილთა, უგვანდა ღაწვთა არენი,
შროშინზედ ამბრის მარცვალი ევარნეს მისაჯარენი.
რკინისა ჟაჭვთა შეპურობით შუა შეეგდო მთვარენი,
და განცვიფრდის მძისა მჭკრეტული, თუ ნასის მოცინარენი!

მეფის მემან რა გულისა გამამხიარულებული მისი ნათლის მსგავსი სასუ
გაიტადა,

თქმულა ლექსი

სათსა და გიშერს გაეწნა ბროლ ლაღთა მიდამონია,
ვეცხლს გარე სავსი მოჭკროდა თვალთათვის საამონია.

გონებსა ეგრე თქვა: მწარისა ცეცხლის დაგვა ამა გაყისა შეერამა დამიშრი-
ტაო, და ამა კელისა მძაფრისა სიცხისა ჭკრტილმა საროსა ჩრდილსა ქვეშე მო-
მიგრილათ.

ტ ა ე შ ი

დიდი არის შესაწყევნად ამსანაგი ჭპოვოს ვარგო.

მერქე ორნივე იგი ჭბუგენი, ვითა შემწკანებულნი იასამანნი და მრნობლი
სამოთხის ნერგნი, ერთმანერთის შეთვისებითა და ალერსითა საზრუნავი აზო
უდაბურნი სალხინოდ წალკოტად შექმნეს და ეგრე ვიდოდეს.

უთხრა შაირი

ჯოჯოხეთისა სიმწარე ნიადაგ მოსაგონია,
სშირი გაუბა უღსენი სადგურად დასაღონია,
იქიცი მოალხენს თუ ჭპოვა მოყვასი მოსაწონია,
და რადგან აქ გნასე, ეგრე ვარ, ვით ჩემი სახლი მქონია.

მცირე რა გლეს მეორესა სავანემდის, ერთი დიდ-ვაჭრის შეილი შეემგ-
ზავრა მეცნიერი, თვალ-მასვილი, კეთილად მჩრეკელი, ჭკუისა შორს დამნახვე-
ლი, რომელი საქმის გამჩრეკელობითა და სიბრძნითა დამისა თოქსა დღეს კი-
სურთა მოახამდის, და გაჭირებისაგან მოჩინისათვის მისის სივისკასითა მეო-
თხეს ცათა მეოფსა მზესა სფეროსა კიდითგან ხელსა მოჭკიდებდის.

თქმულა ლექსი

ამსანაგი მოუვიდა კისკასი და ენა ტუბილი,
ბრძენი, სვანჯთა გამოძგები, ვით სული და ვითა ტუბილი.

იგიცა მათ გაჭყვა, და მისი ბედნიერი თვლი მათის ჭკრეტითა გამხიარულ-
და. შესამესა დღეს ერთის გლეხის შეილი, ძლიერი მუშაკი, მხუნელად ვარგო
და გამოცდილი, და წალკოტისა სული და დასხმაცა დია კეთილად იცოდა, ესრე
ბედნიერი იყო, თუცა სმელი სეჲ მიწათა დაერგო, მენაყოფესა ნერგსავით ხილ-
სა მოახსამდა, და მხუნელობით მისი იერსი ესრე დაცდილი იყო, რომელსაც
მიწათა ორნატსა გააკლებდა, დაუთესკვლად ნაყოფსა მოსცემდა.

თქმულა ლექსი

ხილი დარგის და შესწავართის, გაახშირებდა ბაღებსა,
